წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მიმართულება

ლუიზა გორგილაძე

ბავშვთა აღზრდა ოჯახში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი:პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი სამონაზვნე ბარბარე (მეგრელაძე)

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ლუიზა გორგილაძის სამაგისტრო ნაშრომში ,,ბავშვთა აღზრდა ოჯახში" განხილულია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემა.

კვლევის მიზნის_ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრობლემების მოგვარების გზების ხედვა ზნეობრივი აღზრდის სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის გაუმჯობესებით მისაღწევად შერჩეული კვლევის მეთოდები განაპირობებს შედეგის მიღწევას.

კვლევის მეცნიერული სიახლეა:ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხების განხილვა არსებული პრობლემების ხედვით,გაცნობიერებულია წმინდა მამათა სწავლების მნიშვნელობა მშობლების როლისა და მოვალეობების შესახებ.ნაჩვენებია სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლების გზები და საშუალებები.

ნაშრომში თეორიული მხარე წარმოდგენილია პედაგოგიური, ფსიქოლოგიური წმინდა მამათა მოძღვრების ანალიზით, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უახლესი მოთხოვნების განხილვით.

მოცემულია გამოცდილების შესწავლის ანალიზი,დამუშავებულია ნიმუშები,აწერილია გამოცდილება,რაც ნაშრომის პრაქტიკულად გამოყენების ხარისხს ამაღლებს.

წარმოდგენილია რჩევები დანგრეულ ოჯახურ ატმოსფეროში მყოფ ბავშვებთან მუშაობისათვის,მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დეფექტების დასაძლევად.დამუშავებულია პროექტები მათემატიკური დღე ოჯაშ, ფოტოები მშობლებთან ერთად, ლექცია შეკვეთით ,რატომ ცრუობენ ბავშვები,რეკომენდაციები შვილებთან მშობლების კეთილურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის.

Annotation

The current problem of modernity is discussed in Luiza Gorgiladze's master's thesis "Raising Children in a Family". The aim of the research is to find the ways to solve the problems of raising children in the family. Research methods selected to improve moral upbringing, school, and family collaboration will determine the outcome. Discussing the issues of raising children in the family with a view to the existing problems is the scientific novelty of the research. The importance of the teachings of the Holy Fathers on the role and duty of parents is completely foreseen and apprehended. Ways and means of raising parental awareness on pedagogical issues are shown in order to improve school-family collaboration. The theoretical side of the thesis is presented by analyzing the pedagogical, psychological, Holy Fathers' teachings, discussing the latest requirements for parental involvement in school life. An analysis of the study of experience is given, samples are processed, and the experience is scheduled, which practically enhances the quality of use of the paper. There are some tips for working with children in divorced family atmosphere to overcome the flaws of a lack of parental love. The projects "Mathematical Day in the Family", "Photos with parents", "Lecture by order", "Why children lie", recommendations for establishing good relations between children and parents have been developed.

შინაარსი

შესავალი..... 4

თავი პირველი: „ოჯახი ღვთით კურთხეულია"

1. ბავშვის უპირველესი აღმზრდელი ოჯახური გარემოა..... 10

2. ოჯახისადმი თანადგომის პრობლემა..... 17

3. დანგრეული ოჯახური ატმოსფეროს უარყოფითი გავლენა

   აღზრდაზე..... 25

4. მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დეფექტები..... 34

5. სევდაშეპყრობი ბავშვი..... 43

თავი მეორე: ოჯახი და სკოლა

6. წმინდა მამა იოანე ოქროპირის მოძღვრება ბავშვთა აღზრდის

   შესახებ..... 46

7. მშობლის ლოცვა არის ბედნიერების მომაპოვებელი..... 53

8. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ჩართვა სასწავლო-

   სააღმზრდელო პროცესში..... 60

9. პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლება.....66

10. დასკვნები.....79

11.ლიტერატურის დასახელება..... 86

შესავალი

ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრობლემა ოდითგანვე დგას ადამიანის წინაშე.მეოთხე საუკუნეში წმინდა იოანე ოქროპირი ამბობდა:მთელი სამყაროს მოშლის მიზეზი ისაა,რომ ჩვენ დაუდევარნი ვართ ჩვენი საკუთარი შვილების აღზრდის მიმართო.

ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებზე მრავალფეროვანი და საინტერესო მასალებია პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.

დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა უშანგი ობოლაძის წიგნს ,,დედაშვილობა" გამოცემულია 1988 წელს,დიმიტრი დარჩიას ბავშვთა აღზრდა ოჯახში (1984),ვ.ზენკოვსკის პედაგოგიკა (1995),ლ.ანზორგი ბავშვები და ოჯახური კონფლიქტი (1988).საყურადღებო კვლევები აქვთ ჩატარებული ფსიქოლოგიაში დიმიტრი უზნაძეს,შალვა ჩხარტიშვილს.

მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებანი. ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხები განხილული აქვთ თავიანთ შრომებში,პედაგოგიკაში_დავიტ ლორთქიფანიძეს,ალექსანდრე გობრონიძეს, ვლადიმერ გაგუას, შოთა მალაზონიას,ნოდარ ბასილაძეს,ივერი ბასილაძეს.

წყაროების შესწავლით ცხადი ხდება,რომ ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრობლემა ერთნაირად საზრუნავია როგორც ოჯახის,ასევე სახელმწიფოს,სკოლის,მთელი საზოგადოების,რათა ოჯახში ჩამოყალიბდეს ბავშვისის ძვირფასი ყლორტები,რასაც პატიოსნება,სიკეთე,ერთგულება,სიყვარული,სათნოება და სიბრძნე ჰქვია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმინდა მამათა სწავლებას ბავშვთა აღზრდის საკითხებთან მიმართებაში.დიდ პასუხისმგებლობას ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე წმინდა იოანე ოქროპირი მამებს ანიჭებს.

ადამიანის აღზრდა გამუდმებული ძიებაა, რთული შემოქმედებითი პროცესია,რომელსაც თან სდევს გამარჯვებაც და მარცხიც.ბავშვის აღზრდა მარტო დიდი სიბრძნე როდია,იგი უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს მშობლებს,დიდ სიხარულს განიცდის ის მამა და დედა,რომელთაც წარმართეს აღზრდა მიზანმიმართულად და გაზარდეს თავისი ოჯახის,სამშობლოს,სხვებისთვის სასარგებლო კარგი ადამიანი.

მშობლები კმაყოფილებას განიცდიან, როცა შეძლებენ შვილებს ააცილონ შეცდომები. აღზარდონ ზნეობრივად სრულყოფილები. საამისოდ წყაროებში შემოთავაზებულია სხვადასხვა მეთოდი: დარწმუნების, შეჩვევის, ნდობის მოპოვების, დასჯის, წახალისების, მშვენიერების შეგრძნების, ქცევითი კულტურის ჩამოყალიბების. შემოთავაზებულია გზები და საშუალებები ისეთი ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის,როგორიცაა:პატიოსნება,თავმდაბლობა,პატრიოტიზმი,ინტერნაციონალიზმი,შრომისმოყვარეობა,ურთიერთობის კულტურა,სწავლის სურვილი,წიგნების წაკითხვის სურვილი და სხვა.

იწერება წიგნები, შრომები,ტარდება კვლევები,მაგრამ ოჯახში ბავშვთა აღზრდის მდგომარეობა,სამწუხაროდ,სასურველი არ არის.სოციალურმა გარემომ დიდი გავლენა იქონია ოჯახურ არზრდაზე,მხედველობაში გვაქვს ის გარემოება,რომ ოჯახებიდან ქალი-დედა გავიდა ან მთელი დღე სამუშაოზეა,მათი ადგილი ბებიებმა,უმეტესად კი ძიძებმა დაიკავეს,რომლებიც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ცვლიან დედებს.ხშირია შემთხვევა ოჯახიდან მამის გასვლის საშოვარზე სხვა ქვეყანაში ან სხვა ქალაქში.ოჯახი თანდათან კარგავს შვილების აღზრდის ფუნქციას.თითქოს იკარგება ფიქრიც კი იმაზე როგორი დედა ან როგორი მამა ვართ.თვით ცნება ოჯახიც საკამათო გახდა.

ასეთ ვითარებაში ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხი მეტ ყურადღებას მოითხოვს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილიაII მშობლებს სთხოვს მეტი ყურადღება დაუთმოს შვილების აღზრდას,ოჯახში ისეთი გარემოს შექმნას,რაც შვილებთან დაახლოების საშუალებას მისცემს,ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებას განაპირობებს

ოჯახური აღზრდის საკითხებზე ბევრს ვფიქრობ როგორც მასწავლებელი და როგორც ხუთი შვილის დედა. ვეძებ გზებს, რომელიც შემაძლებინებს სამშობლოს, მოყვასის მოსიყვარულე, სარწმუნოების ერთგული ადამიანების აღზრდას.

აღნიშნულმა განაპირობა ჩემს მიერ საკვლევი თემის არჩევა.

კვლევის მიზანია: ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრობლემების მოგვარების გზების ხედვა ზნეობრივი აღზრდისა, სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის გაუმჯობესებით.

კვლევის ამოცანები:

- ✓ ,,ღვთით კურთხეული" ოჯახისადმი თანადგომის პრობლემის განხილვა.
- ✓ ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ წმინდა მამათა სწავლების მნიშვნელობის გაცნობიერება.
- ✓ სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის საკითხების გარკვევა.
- ✓ პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლების ფორმების არჩევა და გამოყენება.
- ✓ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გამოცდილების შესწავლა.

კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი, დაკვირვება,გამოცდილების შესწავლა, სამაგიდო კვლევა, ანალიზი, ინტერვიუ.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხები განხილულია არსებული პრობლემების ხედვით,გაცნობიერებულია წმინდა მამათა სწავლების მნიშვნელობა მშობლების როლისა და მოვალეობების შესახებ,ნაჩვენებია

სკლისა და ოჯახის თანამშრომლობის გაუმჯობესების, პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლების გზები და საშუალებები.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: ნაშრომში ოჯახური აღზრდის შესახებ განხილულია პედაგოგიური ლიტერატურა,წმინდა მამათა მოძღვრება, შეხედულებები,რითაც უკეთ წარმოჩნდება ოჯახში ბავშვის ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელობა,სირთულეების დაძლევის გზები.

გაანალიზებულია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის საკითხები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მოცემული მასალები წარმოდგენილია ნიმუშების აღწერის,რეკომენდაციების სახით,რაც ამაღლებს მათი პრაქტიკულად გამოყენების ხარისხს.

კვლევის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა: წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა,ელექტრონული ბიბლიოთეკა,წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლა,ბიბლიოთეკა.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალის,ორი თავის,ცხრა პარაგრაფის,დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი:

ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში განხილულია ოჯახური გარემოს როლი ბავშვთა აღზრდაში.საუბარია თუ რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა ოჯახში და რა მოვალეობა აკისრიათ მშობლებს. გამოკვეთილია გლობალაზაციის ფაქტორები,რომლებმაც დიდი გავლენა იქონია ოჯახის ცვლილებებში.

მეორე პარაგრაფში ოჯახისადმი თანადგომის პრობლემა განხილულია თანადგომის სამი ძირითადი ტიპი: განვითარებადი, კომპენსატორული და დაცვითი.ასევე საუბარარია სკოლაზე,როგორც თანამდგომის ტიპზე.სკოლები არა მხოლოდ იცავენ ბავშვებს,არამედ ეხმარებიან გადაიტანონ ტრამვები, ხელს უწყობენ მათ კეთილდღეობასა და განვითარებას.

მესამე პარაგრაფში ,,დანგრეული ოჯახური ატმოსფეროს უარყოფითი გავლენა აღზრდაზე" განხილულია ოჯახური თანაცხოვრების როლი და მიზნები. ,,ქმრისა და ცოლის უპირველესი საზრუნავი შვილებია. ქორწინება.ოჯახი,შვილები,ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა ადამიანთა ცხოვრების წესია"-ქადაგებს უწმინდესი და უნეტარესი ილიაII.აღწერილია ერთ-ერთი გამიკითხვა და მისი შედეგები.

მეოთხე პარაგრაფში ,,მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დეფექტები" განხილულია თუ რას მოიცავს იგი,რა ახასიათებთ ასეთ ბავშვებს და,რომ სხვა ბევრ მიზეზთან ერთად იგი არის ოჯახიდან გაქცევის მიზეზი.

მეხუთე პარაგრაფში ,,სევდაშეპყრობილი ბავშვი" განხილულია სევდიანი მდგომარეობის შემცველი ოთხი ძირითადი გრძნობა:მწუხარება,დარდი,ბრაზი, სირცხვილი და ბრალეულობა .დასახელებულია სავარაუდო ვადები მათ დასაძლევად.

მეორე თავის ,,ოჯახი და სკოლა"მეექვსე პარაგრაფში ,,წმინდა მამა იოანე ოქროპირის მოძღვრება ბავშვთა აღზრდის შესახებ"მოყვანილია წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვა აღზრდის შესახებ და განხილულია დღევანდელობასთან მიმართებაში.წმინდა მამა მშობლების უპირველეს საზრუნავად შვილების სულის კეთილშობილებით,სიბრძნისმოყვარეობით და სათნოებით გამდიდრებას სახავს.

მეშვიდე პარაგრაფში ,,მშობლის დალოცვა არის ბედნიერების მომაპოვებელი" განხილულია თუ რა ძალა აქვს მშობლის დალოცვას, მოყვანილია ამონარიდები უწმინდესის ქადაგებებიდან.

მერვე პარაგრაფში ,,წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ჩართვა სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში" განხილულია წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება აქტივობებთან ერთად.

მეცხრე პარაგრაფში ,,პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლება" განხილულია მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის აუცილებლობის არსებობა. მშობელთა ჩართულობა მოიცავს სამ მიმართულებას: კომუნიკაცია,

პერსონალიზაცია, შობელთა პედაგოგიური ცნობიერების ამაღლება. განხილულია ჩატარებული კვლევები .მოცემულია მშობელთა ცნობიერების ამაღლებისთვის ჩატარებული სემინარების მასალები.

დასკვნებში ასახულია კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს როგორც ბეჭდურ რესურსებს, ასევე ინტერნეტ წყაროებს.

ნაშრომის აპრობაცია შდგება:

- მშობელთათვის ორგანიზებულ სემინარზე
- უნივერსიტეტის ბაკალავრის სტუდენტებთან შეხვედრა-დიალოგზე
- უნივერსიტეტის ბაკალავრის სტუდენტებთან სემინარზე
- მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებთან სემინარზე
- წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის პედაგოგებთან ლექცია შკვეთით

თავი პირველი

ოჯახი ღვთით კურთხეულია

§1. ბავშვის უპირველესი აღმზრდელი ოჯახური გარემოა

ოჯახი ღვთით კურთხეულია და ბავშვი იქ უნდა აღიზარდოს.ოჯახი ტრადიციულად ფლობს აღზრდის ეფექტურ საშუალებებს.მეტად მნიშვნელოვანია თუ საითკენ იქნება მიმართული ოჯახური აღზრდა,რამეთუ ოჯახში აღზრდილები ქმნიან ერის მომავალს.

ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემები ფართოდ არის გაშუქებული ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში.იაკობ გოგებაშვილის ნაშრომებში ასახულია მშობლის როლი ღირსეულ ქართველთა აღზრდის საქმეში. იგი თვლიდა,რომ ბავშვის უპირველესი აღმზრდელი-ოჯახური გარემოა,რომელსაც უდიდესი აღმზრდელობითი გავლენა აქვს ბავშვის სულზე და თუ გვსურს ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესება,ეს პირველ რიგში ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით უნდა დაიწყოს.აუცილებლად მიაჩნდ,რომ ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესება მშობლის შეგნებაში მათი შვილის კარგად აღზრდის გაცნობიერებითა და განმტკიცებით დაიწყოს.იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთ გზად მიიჩნევდა ოჯახის სულიერი პრობლემების მოგვარებას.ოჯახში ბავშვის სულიერი და ფიზიკური წრთობის პირობებს ვერც გადაჭარბებული სიმდიდრე და ვერც სიღატაკე ვერ შექმნის.მშობლებს მინიმალური საშუალება მაინც უნდა ჰქონდეთ,რომ ბავშვები ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებად აღზარდონ.

აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა უშანგი ობოლაძის წიგნი ,,დედაშვილობა”.მრავალ საკითხთა შორის ავტორი ყურადღებით ეკიდება ოჯახში სოციალური პრობლემების არსებობას,რომელიც ხშირად მრავალშვილიანობის შემცირების მიზეზი ხდება და

საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოსაგან ოჯახისადმი მეტ დახმარებას. ქართული ოჯახი ისტორიულად დაფუძნებულია ერთ ცოლ-ქმრულ კავშირზე,წარმოადგენს ქართველი კაცის გვარის,ერის,სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის,აწმყოსა და მომავალში მისი კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველს და ღირსების საზომს,აქედან გამომდინარე ბავშვი ეკუთვნის ხალხს,მამულს და მისი მობრძანება ამ ქვეყნად,მისი აღზრდა ერის ინტერესების შესაბამისად არის ეროვნული და პირადი მოვალეობა თითოეული ადამიანისა (უ.ობოლაძე დედაშვილობა).

ოჯახური აღზრდის შეცდომებისა და ნაკლოვანებების დაძლევის გზების განსაზღვრას მიეძღვნა ტიტე სარიშვილის მრავალი ნაშრომი.იგი ფიქრობდა,რომ ურთიერთობის მოგვარება და შვილების აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნა,სოციალური საკითხების მოგვარებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია, რათა შემდგომ მშობლებსა და მასთან ერთად საზოგადოებასაც სანანებელი არ გაუხდეს საქმე.

,,მშობლიური მოვალეობის შეუსრულებლობა ან ცუდად შესრულება-ეს უდიდესი დანაშაულია საზოგადოების,საკუთარი ხალხის წინაშე,ბოროტებაა სამშობლოსა და ქვეყნის წინაშე.უნუგეშოდ მიტოვებული თვალცრემლიანი ბავშვი დაეძებს მამას,ზოგჯერ-დედას,უარეს შემთხვევაში-ორივეს.ისინი ავადმყოფურად აღიქვამენ მშობლების სისასტიკეს ,დაჩაგრულად გრძნობენ თავს,დაურბიან ადამიანებს,უხეშობენ,ცუდად სწავლობენ,სურთ ჩამოსცილდნენ სკოლას.'-წერს ტიტე სარიშვილი.

ალაქსადრე გობრონიძის ნაშრომებშიც გარკვეული ადგილი დაიჭირა ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებმა.იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახური აღზრდის საკითხების შესწავლას მომავალ მასწავლებელთა მიერ,რათა პედაგოგს შესძლებოდა დახმარების ხელი გაეწოდა მოსწავლესა და მშობლისათვის წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.აღძრდაში ზნეობრიობის ძირითად ასპექტში ჯანსაღ ოჯახურ ატმოსფეროს მიიჩნევდა და ოჯახისადმი თანადგომას საზოგადოების უპირველეს მოვალეობად თვლიდა(ალ.გობრონიძე პედაგოგიკა,ბათუმი 2002).

ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხები დიდ ადგილს იჭერს მართლმადიდებლურ ლიტერეტურაში,ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში წმინდა იოანე ოქროპირი თავის ნაშრომში ,,ბავშვთა აღზრდის შესახებ",აღნიშნავს აღზრდაში მამის როლს და მიმართავს მას ნუთუ შენ არ წითლდები და არ გრცხვენია,როცა სხვისი გამოსასწორებელი ხდება ის,ვინც თავიდანვე შენთან ცხოვრობდა?როგორ არ იმალები?როგორ ბედავ შენს თავს უწოდო მამა,როცა არ აიძულე უკეთესად მოქცეულიყოდა ამით უღალატე კიდეც,რადგან მის გამოსასწორებლად ყოველგვარ საშუალებას არ მიმართე და უყურადღებოდ დატოვე.

ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდაში სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირის აუცილებლობას,საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების ხელშეწყობის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები ვ.გაგუამ, ბ.კიზირიამ, ა.მიშველაძემ, რ.საყვარელიძემ, ა.ჩხიკვაძემ, შ.კუჭუხიძემ, ნ.ფანოზაშვილმა, გ.სიხარულიძემ, გ.ნიკოლაიშვილმა და სხვებმა.ოჯახური აღზრდის საკითხებზე ცალკე წიგნი გამოსცა დ.დარჩიამ.

მეცნიერულმა კვლევამ მოიცვა ისეთი საკითხები,როგორიცაა ოჯახში სამშობლოსადმი სიყვარულის,ესთეტიკური აღზრდის,შრომისმოყვარეობის გამომუშავება და სხვა.აღზრდის ყოველდღიურ ამოცანებში ადამიანის აღზრდას უნდა დაექვემდებაროს ყველა საქმიანობა.

ოჯახის პრობლემები შეისწავლება სოციალური ლინგვისტიკის კუთხით.არის ქვეყნები,სადაც ოჯახია-დედა,მამა,შვილი.ჩვენთან,საქართველოში კი ოჯახი მოიცავს მთელ თაობებს.განსაკუთრებულია და დიდია ბებიისა და ბაბუის როლი.

უფროსი თაობის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა,რომ მშობლების რჩევას ყურს უგდებენ.დღEმდე საოცარი რუდუნებით იცავენ მშობლებისადმი მორჩილებით დამოკიდებულებას აჭარის მაღალმთიანეთში.ხანდაზმულებიც კი,თუ მშობლები ცოცხალი ჰყავთ განსაკუთრებით მამა,დიდად პატივს სცემენ მის აზრს.მათი აზრით მშობლების რჩევა-დარიგება ტვირთს უმსუბუქებს და წინსვლაში ეხმარება. თანამედროვეობა კი ცდილობს უფროსების დახმარებაზე უარი თქვას და

დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უფლება მოიპივოს.ყოველივე ეს კი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი პრობლემათაგანია.

გლობალიზაციის ეპოქის გავლენა ოჯახური ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე ოჯახის სიღრმისეულ ცვლილებებში აისახა,განვიხილოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ფაქტორი.

პირველი-ესაა ოჯახურ გარემოში შრომის თითქმის სრული გაქრობა.ადრე დედა,როგორც წესი,ყოველთვის სახლში იმყოფებოდა და წარმოადგენდა ოჯახის შინაგანი მეურნეობის უმთავრეს გამძღოლს.არც თუ ისე შორეული ხნის წინათ, ოჯახი წარმოადგენდა შრომით ერთეულს.იგი შრომობდა როგორც მთლიანი ორგანიზმი.ამჟამად ოჯახი უმთავრესად ოჯახს გარეთ მუშაობს.აქედან გამომდინარე,ოჯახი იწყებს გარდაქმნას შრომითი ერთეულიდან მომხმარებლურ ერთეულად.ანუ თუ ოჯახს წინათ,როგორც შრომით ერთეულს,ჰქონდა შესაბამისი ფსიქოლოგია,ახლა იგი იწყებს მისი გარემოდან გაქრობას.ოჯახი ეწევა მომხმარებლურ ცხოვრებას უახლოესი მაღაზიის გამოყენებით.

ცივილიზაციასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს გააქვს შრომის ფაქტორი ოჯახს გარეთ.ამას ამტკიცებს ის,რომ საცხოვრებელი შენობის სისუფთავეზე ზრუნვა გაადვილებულია,თეთრეულის რეცხვას სარეცხი საშუალებები ასრულებს,ხოლო საკვების მომზადებას ულტრათანამედროვე ელექტროღუმელების მეშვეობით მინიმალური დრო სჭირდება.ან არის მეორე უკიდურესობა:უჭირთ და ოჯახში შრომას სახლის გარეთ სამუშაოს ძიებას არჩევენ.ბოსტნის დამუშავებაც კი აღარ სურთ.

მეორე ფაქტორი-ურბანიზაციაა,ანუ ქალაქის მიერ სოფლის მოსახლეობის შთანთქვა.ქალაქშია დასახლებული მოსახლეობის ის დიდი ნაწილი,რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ სოფლურ ცხოვრებასთან.ბუნებრივია ამით შესუსტდა სოფლისა და ქალაქის კავშირი,რადგან ქალაქის მოსახლეობას ძირითადად ნათესავები ქალაქგარეთ ჰყავდათ,რომლებმაც უკვე ქალაქში დაიმკვიდრეს ბინა და ამით სოფლური ცხოვრება საბოლოოდ დაიკარგა.

ქალაქში დროებით სამუშაოზე ჩამოდის დედა ან მამა,ან ორივე ერთად.შვილები სოფელში რჩებიან ერთ-ერთ მშობელთან ან ბებია-ბაბუასთან.ასე გრძელდება წლობით.

მესამე ფაქტორს წარმოადგენს ქალის მდგომარეობის შეცვლა.ადრე ქალის საქმიანობის ძირითადი სფერო ოჯახი იყო.ამჟამად სახლში საქმიანობის შემსუბუქებამ,ცხოვრების მექანიზაციამ მას საშუალება მისცა თავისი ძალა მომგებიანად გამოიყენოს ოჯახს გარეთ,გამოვიდეს საზოგადოებრივ არენაზე. მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ საქმიანობაში.ჩაებას ვაჭრობასი,აწარმოოს ბიზნესი და სხვა.ქალების დამოუკიდებლობასთან ერთად მიმდინარეობს ცვლილება მათ ფსიქოლოგიაშიც.ქმრისგან მატერიალური დამოუკიდებლობა უფლებას აძლევთ ქალებს თავიანთი სურვილის მიხედვით მოაწყონ შინა ოჯახური ურთიერთობა.

მეოთხე ფაქტორი არის გარემოება,რომელშიც იგულისხმება ნატურალური მეურნეობის პროცესის კვდომა და მის სანაცვლოდ სასაქონლე მეურნეობის განვითარება.ყველაფერი რაც წინათ ოჯახს ჰქონდა ,როგორც საკუთარი შრომის პროდუქტი,ამჟამად ძნელად მოსაპოვებელი გახდა.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე,ოჯახს აღარ შეუძლია შეასრულოს თავისი წინანდელი ფუნქცია.იმდენად შეიცვალა ოჯახის ხასიათი,რომ იგი უფრო და უფრო იძენს სასტუმროს ხასიათს.ამასთანაა დაკავშირებული კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის,რომელიც ზოგჯერ ბავშვის ოჯახიდან წასვლითაც მთავრდება.

ქალაქური ქუჩის გარემო იმდენად საინტერესოა,მრავალფეროვანი და მიმზიდველია,რომ ბავშვის შეჩერებისათვის ძნელია შეცვალო იგი ოჯახის საინტერესო შინაგანი ცხოვრებით.

ოჯახის დანაწევრებასთან ერთად მიმდინარეობს ერთგვარი გაორება.როცა ბავშვი და მშობელი სხვაა გარეთ და სხვაა-სახლში.

ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო გასაძლიერებელია ოჯახის პრობლემების სხვადასხვა ასპექტში განხილვა,მათ შორის პედაგოგიურ,ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტში.

ოჯახის პედაგოგიური ფუნქცია შეიძლება გაიყოს ფიზიკურ და ფსიქიკურ სფეროებად.უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს ბავშვის ჯანმრთელი ორგანიზმის არზრდისათვის.დედის როლი ჯანმრთელი ბავშვის აღზრდაში არაფერს შეუძლია შეცვალოს.ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ოჯახურ აღზრდაზეა დამოკიდებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახის სოციალური ფუნქციაც.ეს უკანასკვნელი ანვითარებს ბავშვებსი მთავარ სოციალურ ჩვევას,მორჩილებას ან მბრძანებლობას,აყალიბებს სულიერ და მორალურ გარემოს,აღვიძებს სულში სიცოცხლის სიხარულს,ხალხისადმი სიყვარულს,ქმნის რელიგიური ცხოვრების საფუძველს.

ოჯახში ვითარდება ის ძირითადი უნარ-ჩვევები,რომელიც შემდგომ მთელი ცხოვრების მანძილზე ახასიათებს ადამიანს.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნებისათვის ისეთი უნარის გამომუსავება,როგორიცაა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.ამ ჩვევით ყალიბდება პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველი დაწყებული საქმის მიმართ.ოჯახში უნდა გამომუშავდეს სურვილის შესაძლებლობისადმი დაქვემდებარების უნარი.უნდა ითქვას,რომ უნარ-ჩვევების განვითარების დროს არ უნდა მოხდეს ბავშვის განებივრება,მაგრამ არც დაძალებაა სასურველი,რადგან ძალდატანებით მიღებული ჩვევა შენარჩუნებული იქნება მხოლოდ ოჯახის ჩარჩოებსი,მის გარეთ კი ხალისით იქნება უკუგდებული.ოჯახში მიღებულ გონივრულ ჩვევებს ბავშვი დიდხანს შეინარჩუნებს.ასეთია მაგალითად,აქტიურობის ჩვევა.ასევე მნიშვნელოვანია იმავე წიაღში შემოქმედებითი სითამამისა და პასუხისმგებლობის შეგნების უნარ-ჩვევის განვითარება.ოჯახმა შეიძლება განავითაროს ბავშვის შემოქმედებითი უნარები ან ჩაკლას იგი.

ოჯახში ხდება ბავშვის ენის,მეტყველების განვითარება,აქვე ყალიბდება მისი გემოვნება.ბავშვს უნდა სეეძლოს თავისი თავის პოვნა.ცუდია,როცა ოჯახში იმსხვრევა მისი ოცნება,რასაც მიჰყავს შინაგანი შესაძლებლობების შებოჭვასა და საკუთარი ინიციატივის აკრძალვამდე.

ოჯახში ხდება ხასიათის ჩამოყალიბება.ბავშვები სწორედ აქ ავლენენ სრულად თავის თავსა და ისწრაფვიან სულიერი და ცხოვრებისეული განვითარებისათვის.

ოჯახური ცხოვრება არის წმინდა,ბავშვების ურთიერთობა მშობლებთან ერთადერთი და განუმეორებელია.

ოჯახური სივრცე-ესაა სივრცე რელიგიური გრძნობებისათვის.ოჯახის მეშვეობით ღვთის უდიდესი ძალა ანათებს ყველგან და ყოველთვის.

ამგვარად,ბავშვის უპირველეს არმზრდელად ოჯახური გარემოა მიჩნეული ტრადიციული,ხალხური შეხედულებით,წმინდა მამათა სწავლებით.ოჯახის აღმზრდელობით ფუნქციასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში.

- დღევანდელობისათვის მნიშვნელოვანია იაკობ გოგებასვილის სწავლება მშობლის როლის შესახებ ღირსეული ქართველის აღზრდის საქმეში.თუ გვსურს ბავშვის აღზრდის საქმის გაუმჯობესება ,ეს პირველ რიგში ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით,მშობლის შეგნებაში შვილის კარგად აღზრდის მოვალეობების გაცნობიერებითა და განმტკიცებით დაიწყოს.
- აღზდაში სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა დასაბუთებულია პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.
- ოჯახური ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე გლობალიზაციის ეპოქის გავლენა ოჯახის სიღრმისეულ ცვლილებებში აისახა.პროტოპრესვიტერი, პროფესორი ვ.ზენკოვსკი ამ მიმართულებით რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს:ოჯახურ გარემოში შრომის თითქმის სრულიად გაქრობა,ურბანიზაცია,ქალის მდგომარეობის შეცვლა(დატვირთვა საზოგადოებრივი საქმით,საშოვარზე უცხოეთში წასვლა,ოჯახის ძირითადი მარჩენალის როლი).
- მწვავე პრობლემად წარმოჩინდა ოჯახის სოციალური ფუნქცია,სოციალური ვითარების ასახვა ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე.

წმინდა მამათა სწავლებით ოჯახური ცხოვრება არის წმინდა.ბავშვების ურთიერთობა მშობლებთან ერთადერთი და განუმეორებელია.შვილების აღზრდაზე პასუსისმგებლობა მშობლებს ღვთისაგან დაეკისრა და ისინიც ვალდებულნი არიან ყველაფერი იღონონ შვილების კეთილად აღზრდისათვის.

§ 2. ოჯახისადმი თანადგომის პრობლემა

ოჯახი ბავშვის აღზრდის საქმეში საჭიროებს მხარდაჭერასა და დახმარებას სხვადასხვა კუთხით.ოჯახი საზოგადოების,სახელმწიფოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია და იგი საზოგადოებისგან და სახელმწიფოსგან თანადგომას მოითხოვს.

ოჯახი,როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი,მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და გაეწიოს თანადგომა,რათა მან თავის თავზე სრულიად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებები.-ნათქვამია ბავშვთა უფლებათა კონვენციის პრეამბულაში.

ბავშვს აქვს უფლება იცხოვროს მშობლებთან ერთად.სახელმწიფო კი ვალდებულია პატივი მიაგოს მშობლების,ოჯახის წევრების,მეურვეების ან სხვა პირების უფლება-მოვალეობებს,პატივი სცეს ბავშვის უფლებას,რეგულარული პირადი ურთიერთობები და კონტაქტი ჰქონდეს დაცილებულ მშობლებთან, თუნდაც ისინი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობდნენ.ბავშვებსა და მშობლებს უფლება აქვთ დატოვონ ნებისმიერი სახელმწიფო და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში ოჯახის გამთლიანების ან ბავშვსა და მშობელს შორის პირადი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით.

ოჯახური ატმოსფეროს სიმშვიდეში ბავშვი ცხოვრობს უზრუნველად.მშობლები მათზე ამყარებენ თავიანთ იმედებს,მასში ხედავენ სულიერ ძალას,ქორწინების გამართლებას.ოჯახის დანიშნულების შეცვლა არაფერს არ შეუძლია.ბავშვისთვის დედასთან და მამასთან ურთიერთობა ყველაზე საჭირო და აუცილებელია.

ნაშრომზე მუშაობისას გავეცანი კვლევებს ოჯახური გარემოს აღზრდაზე გავლენის შესახებ.საყურადღებოდ მივიჩნიე დაკვირვება,რომელიც ჩაატარა სოციალურმა მუშაკმა და მკვლევარმა ხათუნა მახარაშვილმა 2009 წელს.იგი შეხვდა 70-80 წლის 18 ადამიანს.საუბრის თემა იყო ,,მშობლების გარეშე".რვა მათგანს მშობელი დედა გარდაცვლილი ჰყავდა თორმეტი წლის ასაკამდე.ორი დედ-მამით ობოლი იყო 10 წლიდან,ოთხის მშობლები განქორწინებულები იყვნენ და იზრდებოდნენ ბებიასთან და ბაბუასთან.ორ მათგანს მამა გარდაცვლილი ჰყავდა 9 წლის ასაკამდე.ათეული წლების შემდეგაც მეხსიერებას შემორჩენილი ჰქონდათ მშობლებთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი დეტალიც კი.მძიმე მოსაგონებლად ასახელებდნენ ობლობის სიმწარეს,თუმცა მატერიალურად შეძლებულად ცხოვრობდნენ.ყველაზე უფრო დარდიანი მოგონება იმ ოთხ პირს ჰქონდა,რომელთაც ფაქტიურად მშობლები ცოცხლები ჰყავდათ,მაგრამ მათთან არ ცხოვრობდნენ.

ამავე პრობლემაზე ფოკუსირებით ჩავატარე კვლევა 2019 წელს,შედეგი თითქმის იგივე აღმოჩნდა.დადასტურდა ცნობილი ვარაუდი:ოჯახური გარემოს გარეშე არზრდილ ადამიანს მთელი ცხოვრება თან მიჰყვება ვერ განცდილი მშობლიური სიყვარულის სევდა.

ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა მსოფლიოსათვის გლობალურ პრობლემად იქცა. მოქმედებს სხვადასხვა სახის მიმართულებები და პროგრამები,რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის უსაფრთხოებას და მის განვითარებას,აგრეთვე ბავშვისა და ოჯახის წევრების ცხოვრებაში სტრესული სიტუაციების შემცირებას,მათთვის დახმარებისა და რესურსების გამოყოფას,მშობლების მორალურ თანადგომას,ბავშვის ოჯახში დარჩენას...

ერთი შეხედვით ქართული ოჯახური ტრადიციები ჯერჯერობით შორსაა ბევრ იმ პრობლემასთან, რომლებმაც მოიცვა მსოფლიო,მაგრამ ყოველდღიური დაკვირვება და საკითხის სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს,რომ დროულად არის საჭირო რიგი პრობლემების გაცნობიერება,რათა მისი თავიდან აცილება შევძლოთ.

საჭიროდ მიგვაჩნია გავიცნოთ ოჯახის თანადგომის ის პროგრამები, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა ქვეყანაში.ამ მიზნით გთავაზობთ მომზადებულ მასალას ჰიუ სალმონის,პიტერ ევანსის (დიდი ბრიტანეთი), თ.შალვაშვილის, ი.შეყრილაძის,მ. შალიასვილის (საქართველო)და სხვათა სემინარების მიხედვით.

ოჯახის თანადგომა. ოჯახის თანადგომა უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და მის განვითარებას,ბავშვისა და ოჯახის წევრების ცხოვრებაში სტრესული სიტუაციების შემცირებას,მათთვის შესაბამისი დახმარებისა და რესურსების გამოყოფას,ბავშვის თვითაღქმის განვითარებას და მშობლების მორალურ თანადგომას,რითაც ხელს უშლის ბავშვის ოჯახთან დაცილებას.

არსებობს ოჯახის თანადგომის სამი ძირითადი ტიპი:

1. ოჯახის განვითარებადი თანადგომა,რომელიც მიმართულია ბავშვებისა და მოზრდილების ბრძოლისუნარიანობისა და განვითარების საშუალებების გასაძლიერებლად და აგრეთვე ოჯახის წევრებსა და მეზობლებს შორის სოციალური კავშირების დასამყარებლად.ეს პროგრამა განკუთვნილია იმათთვის,ვინც ბავშვების აღზრდასთან და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სირთულეებს ყოველდღიურად ხვდება.

მაგალითად:პიროვნების განვითარების ჯგუფები,გასართობი პროექტები, ახალგაზრდული პროგრამები,მშობლებისთვის საუბრები ოჯახურ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე.

2. ოჯახის კომპენსატორული თანადგომა ოჯახის წევრებს სთავაზობს კომპენსაციას იმ უხერხული მდგომარეობის ან ხელისშემშლელი გარემოების გამო,რომელიც წარმოიშვა ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შედეგად მათ ცხოვრებაში ამჟამად

ან წარსულში და განკუთვნილია სოციალური გარიყულობის დამღუპველი გავლენის გასანეიტრალებლად.

მაგალითად:დღის განმავლობაში მაღალი ხარისხის მოვლა-პატრონობის პროგრამა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის,სპეციალური ახალგაზრდული პროგრამა რიკის წინაშე მდგომი საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის.

3. ოჯახის დაცვითი თანადგომა აძლიერებს ბავშვებისა და მოზრდილების წინააღმდეგობის უნარიანობას იმ ამოცნობილი რისკის ან საფრთხის მიმართ,რომელიც განიცადა ინდივიდუალურმა ოჯახმა,აღიარებს ურთიერთობების,რუტინული საქმიანობის და რიტუალების(მაგ.დაბადების დღე,შობა)მნიშვნელობას სტრესულ ოჯახურ გარემოცვაში მყოფი ბავშვის ოჯახურუ ცხოვრების მოწესრიგებასა და სტაბილიზაციაში.

მაგალითად:ნარკომანი მშობლების ბავშვების განთავსება-შვილობილობა ოჯახებში დღის განმავლობაში,რთული ქცევის ბავშვების მშობლების თანადგომის პროგრამა,თავშესაფრებით უზრუნველყოფა და თანადგომის ჯგუფების შექმნა ქალებისათვის,რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან.

ოჯახური თანადგომის არმოჩენის ძირითადი სფეროები ძლიერი მხარეების მოძიება და შეფასება ოჯახის პოტენციურ რესურსებზე,როგორც განკურნების და განვითარების პოტენციურ წყაროებზე ყურადღების გამახვილება,წახალისება და ყურადღების ნაკლებად გამახვილება ნაკლზე და რისკზე.

მაგალითად:მშობლის,როგორც ნიჭიერი მუსიკოსის,ან როგორც საზოგადოებრივი აქტივისტის როლი.

ბავშვის ინტერესი სპორტის ან ბუნების მიმართ.

სოციალური კაპიტალი. ოჯახი აქტიურად უნდა იყოს ჩართული მიკრორაიონის საქმიანობასი,ამით ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე ნაკლებად დაემუქრება.სოციალური კაპიტალის მაჩვენებლების მაგალითები შემდეგია:

მიკრორაიონის მიხედვით სხვადასხვა სპორტული წრეების,შემოქმედებითი კლუბების მუშაობაში მონაწილეობა,ეკლესიაში სიარული,მეზობლებთან კარგი დამოკიდებულება.

საიდუმლო საფუძველი იქმნება სტაბილური ურთიერთობებით,იგი ბავშვს ასწავლის,რომ ხალხს და გარშემომყოფთ შეიძლება ენდოს და რომ ის უყვართ. ბავშვი აყალიბებს ახალ ურთიერთობებს და იკვლევს გარემომცველ სამყაროს.მსგავსი სწავლება იმედს უღვიძებს პატარებს და ამით ხელს უწყობს მის ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებას.უსაფრთხოების გრძნობა შეიძლება განმტკიცდეს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან ურთიერთობით.

კომფორტის სფეროები.თუ ბავშვს სახლში აქვს თავისი კუთხე,მაშინ სახლში განცდილი სტრესი შეიძლება უფრო ასატანი გახდეს.მსგავს პრობლემას ადვილად უმკლავდება იმ შემთხვევაშიც,როდესაც დაკავებულია სიამოვნების და სიხარულის მომგვრელი საქმით,როგორიცაა სპორტი,მუსიკა,სახელოსნოში მუშაობა ან საყვარელი საქმიანობა.

შემობრუნების მომენტები ცხოვრებაში.ბავშვები ზრდის პროცესში განვითარების ბილიკებს მიჰყვებიან-ხშირად გვესმის ეს ფრაზები.ბილიკიდან ისინი ზოგჯერ შეიძლება გადაიხარონ,დაშავდნენ.ბავშვს შეიძლება ჰქონდეს დადებითი შემობრუნების მომენტები ცხოვრებაში.ამაში იგულისხმება მის ცხოვრებაში მომხდარი დადებითი მოვლენა ან ურთიერთობა,რომელიც შემთხვევით მოხდა და სარგებლობა მოუტანა.ასეთმა ურთიერთობებმა შეიძლება დიდხანს არ გასტანოს,მაგრამ ისინი ბავშვს სწორ გზაზე აბრუნებენ.ზოგიერთი შემომაბრუნებელი მომენტი შეიძლება არ იყოს შემთხვევითი,მაგალითად როგორიცაა დაწყებითი სკოლიდან საშუალო სკოლაში გადასვლა.შეიძლება წარმოიშვას იმ ადამიანთან შეხვედრიდან,რომელიც დაინტერესებულია,რომ დაეხმაროს ბავშვს.შემობრუნების მიზეზი შეიძლება მისი სანდო მეგობარი და დამრიგებელი გახდნენ.

ამ დადებითი ურთიერთობების გავლენა ბავშვებისათვის შემდეგშია:მას უჩნდება გრძნობა,რომ ის თავის ადგილზეა,მას აქვს რაღაც წონა და რომ ის, რასაც ის აკეთებს,მნიშვნელოვანია სხვებისთვის.

ნათესავები და ფართო სოციალური გარემო.მშობლები,და-ძმა,ბებია,ბაბუა, სხვა ნათესავები,მეგობრები და მეზობლები შეიძლება იყვნენ თანადგომის წყარო და წარმოადგენდნენ საფრთხეში მყოფი ბავშვისთვის ძლიერ დამცავ ფაქტორს. ისინი მოწოდებულნი უნდა იყვნენ იმისთვის,რომ გაიზარდოს ბავშვზე მათი დადებითი გავლენა

ინდივიდუალური მოვალეობების მრავალფეროვნება. პიროვნების სულიერ საჯანსახეზე დადებით გავლენას ახდენს განსხვავებული მოვალეობების არსებობა.მაგალითად,თუ მარტოხელა დედას ბავშვის მოვლის გარდა არანაირი ფუნქცია არ აქვს,თუ ყურადღებას ამახვილებს ერთი მშობლის როლის უარყოფით ასპექტზე,მას უჩნდება იზოლაციისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ბავშვისათვის ნაკლებად ეფექტური და მზრუნველი მშობელი ხდება.მაგრამ თუ დედას შეუძლია მისდიოს სხვა საქმიანობასაც,როგორიცაა მუშAობა დროგამოშვებით ან სწავლა,მისი სულიერი ჯანმრთელობა და საკუთარი თავის,როგორც მშობლის,რწმენა იზრდება.

მკურნალი მოკავშირეები შეიძინება ოჯახის წევრების ურთიერთობებით ოჯახის დახმარების სპეციალისტებთან და მოხალისეებთან.ასეთი თერაპიული კავშირების განვითარების ნდობისა და ერთგულების მოპოვებისათვის დრო არის საჭირო.ყველაზე უფრო სასარგებლო ურთიერთობები ყალიბდება რეგულარული და საიმედო კონტაქტებით და არა ერთჯერადი დახმარებით კრიზისულ სიტყვაციაში.

სკოლა. სკოლებიდან ბავშვებმაც და მშობლებმაც განათლების მიღების შესაძლებლობის გარდა,შეიძლება ბევრი სხვა სარგებლობა მიიღონ.

სკოლამ ბავშვს შეიძლება შესთავაზოს:

- ✓ სოციალური ურთიერთობების ფართო წრე;
- ✓ სხვადასხვა სახეობის სპორტს,ხელოვნებაში,მუსიკაში,ხელსაქმეში მონაწილეობა და წარმატების მიღწევა;
- ✓ თანადგომა;
- ✓ თვითმართველობაში თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა;

- ✓ მასწავლებლები,როგორც ბავშვის დამცველები,დამრიგებლები და მესაიდუმლე,საუკეთესო მეგობრები.

სკოლამ შეიძლება შესთავაზოს მშობელს:

- ✓ ადგილი პრობლემების განსახილველად,სადაც შეიძლება სხვებს აღმოუჩინო დახმარება და აგრეთვე,სხვა მშობლებისგან მიიღო თანადგომა;
- ✓ ოჯახსა და ფართო საზოგადოებრივ ქსელს შორის კონტაქტის ადგილი(მშობელთა სამეურვეო საბჭოები),სოციალური მუშაკები ან მრჩევლები.
- ✓ შეხვედრების ადგილი,რომელიც მიკრორაიონის სკოლაში შესაბამისი რესურსების ნაკლებობის დროს ხელს შეუწყობს სხვა დაწესებულებებთან კავშირების განვითარებასა და გაღრმავებას.

სკოლები არა მხოლოდ იცავენ ბავშვებს,არამედ ეხმარებიან გადაიტანონ ტრამვები,ხელს უწყობენ მათ კეთილდღეობასა და განვითარებას.

მეზობლებთან ურთიერთობა და სოციალური გარემოს განვითარება. ვ.ვილსონმა აღწერა სოციალური გარემოს დადებითი გავლენა ბავშვებსა და ოჯახზე.მან სამი ძირითადი კანონზომიერება ამოიცნო:

1. სოციალური ქსელის სიძლიერე და ურთიერთდამოკიდებულება.

2. მაცხოვრებლების კოლექტიური ხელმძღვანელობის და მიკრორაიონში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პირადი პასუხისმგებლობის დონე.

3. მოსახლეობის ჩართვა მოხალისე და ფორმალურ ორგანიზაციებში.

ეკონომიურმა ან სოციალურმა იზოლაციამ შეიძლება საკუთარ თავში რწმენის შესუსტება გამოიწვიოს.მეზობლური ურთიერთობების სურვილის გაძლიერებას შეიძლება უფრო დადებითი შედეგები მოყვეს,ვიდრე ფართო გეოგრაფიულ ზონაში ცალკეული დაუცველი ოჯახების დახმარების მცდელობას.

ოჯახური შემადგენლობა.ბავშვები უკეთესად არიან დაცულნი ისეთი მშობლების უარყოფითი გავლენისაგან,რომლებიც ბოროტად არ იყენებენ ალკოჰოლს,როდესაც

ოჯახი არის საკმარისად ერთსულოვანი და შეკრული გარკვეული რიტუალების,ცერემონიების,ტრადიციებისა და ყოველდღიური საქმიანობით იცავენ წესრიგს.

მამაკაცები.ოჯახის თანადგომის პროგრამებში უფრო ხშირად ქალები მონაწილეობენ.ფაქტია,რომ მამა-შვილის ურთიერთობას ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის უკეთესი შედეგი მოაქვს,ვინაიდან მამებს ბავშვებზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა აქვთ,მოვიდა დრო იმისათვის,რომ გამოვიყვანოთ მამები სიბნელიდან და დავუბრუნოთ ისინი მათ შვილებს.

- ოჯახისადმი სპეციალისტების თანადგომის რამდენიმე გზა არსებობს სპეციალისტების აქტიური თანადგომა,როდესაც პროფესიონალები უზრუნველყოფენ პრაქტიკულ დახმარებას ან ინფორმაციის მიწოდებას.
- ემოციური თანადგომა,როდესაც სპეციალისტი ყურადღებით ისმენს, განიცდის ტკივილს,ტანჯვას და გამოხატავს თანაგრძნობას რათა პიროვნება გამხნევდეს,თავდაჯერება და საკუთარ თავში რწმენა დაუბრუნდეს.

პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა უმჯობესია საწყის ეტაპზე, როდესაც დამხმარებელი გარკვეულ დონეზე აკონტროლებს სიტუაციას და შეუძლია რაღაცის გაკეთება გასაუმჯობესებლად (მაგ.პრაქტიკული დახმარება საცხოვრებელი ფართის მოძებნაში ოჯახისათვის,რომელსაც სახლი დაეწვა).

ამრიგად, ოჯახის თანადგომის განხილული საკითხები მრავალფეროვანია: ოჯახის განვითარებადი თანადგომა,ოჯახის კომპენსატორული თანადგომა,ოჯახის დაცვითი თანადგომა.მათი გაცნობა საჭიროდ მიგვაჩნია,რათა კარგად გავიაზროთ რა საქმიანობები მიმდინარეობს სამყაროში,როგორია მათი განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში ოჯახური აღზრდის ტრადიციების დაცვასთან მიმართებაში.ეს საკითხი ფართო კვლევის თემა შეიძლება გახდეს.მიმოხილვა ჩავრთეთ,რათა წარმოგვეჩინა ოჯახის წინაშე არსებული პრობლემები.

პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან გზად მიმაჩნია,საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის სურვილი,რომ სახესახელმწიფო უნდა დაეხმაროს ოჯახებს,პირველ შვილზე გაეწიოს დახმარება და ყველა მომდევნო შვილზე ეს დახმარება გააორმაგოს.ოჯახისადმი თანადგომის ეს გზა მრავალშვილიანობას შეუწყობს ხელს.

§ 3. დანგრეული ოჯახური ატმოსფეროს უარყოფითი გავლენა აღზრდაზე

დანგრეული ოჯახები თანამედროვეობის უდიდეს ნაკლად იქცა.

დაქორწინებულ წყვილს ახსოვდეთ უნდა,რომ ქორწინებას პირადი თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვა მოაქვს.თუმცა შეზღუდვა ურთიერთპატივისცემითა და შვილების სიყვარულით ანაზღაურდება.

ოჯახს ერთი თავი უნდა ჰქონდეს,გამომდინარე იქიდან,რომ ოჯახი ერთი ორგანიზმია და ეს ერთი თავკაცი-ქმარი უნდა იყოს.

ოჯახთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნაშრომებში და ქადაგებებში განფენილი მოსაზრებანი,გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

ქმრისა და ცოლის უპირველესი საზრუნავი შვილებია.ქორწინება,ოჯახი, შვილები,ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა ადამიანთა ცხოვრების წესია. იგი გულისხმობს მამაკაცსა და ქალს შორის უმწიკლო ურთიერთობას, ურთიერთნდობას, ურთიერთთავგანწირვას, ურთიერთმსხვერპლგაღებას. ოჯახი მცირე სახელმწიფოა,სადაც არ შეიძლება სუფევდეს ანარქია.ბავშვი უნდა აღიზარდოს

სიყვარულში,მშვიდობაში,თავმდაბლობასა და სიმართლისმოყვარეობაში,რათა შეითვისოს ეს სათნოებანი.

ქორწინების შემდეგ ოჯახურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს ქალისა და მამაკაცის გათანაბრების ტენდენცია.ეს თეორია ქალისათვის მაცდუნებელ ძალად იქცა.ქალის წინაშე წამოიჭრა უამრავი პრობლემა:ვინ არის იგი,რა როლი აკისრია ოჯახში,საზოგადოებაში,რისთვის არის მოწოდებული,რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი და ცხოვრებისეული ცვლილებები მის სულიერ სამყაროზე,გარეგნულ იერზე?

ცივილიზაციამ,ცივმა განსჯამ,პრაქტიციზმმა გამოიწვია მისი ფაქიზი ბუნების რღვევა.მან დაიწყო თავისი ადგილის ძებნა ოჯახს გარეთ.მას გაუნელდა შვილების ყოლისა და მსთი აღზრდის სურვილი.ქალები მიდიან ოჯახიდან,რადგან იგი მათთვის მძიმე ტვირთად იქცა.ოჯახიდან გამოსვლის შემდეგ ქალმა დაკარგა შინაგანი სიმშვიდე,კლდემამოსილება,შეიცვალა მისი მიმოხვრა,მზერა,იერი.

თანამედროვე ქალის სახიდან თანდათან ქრება სისადავე,შინაგანი სიღრმე,იდუმალება,გაუმჟღავნებელი განცდა.ამავე დროს ქრება ის მომხიბლელობა,რომელიც ყოველთვის იყო მისი კუთვნილება.დროსტარების სურვილი,მოდის აყოლა,ხვალინდელი დღის შიში,საკუთარი თავის უნდობლობა, ყოველდღიური უარყოფითი განცდები თანდათან დევნიან მის სილამაზეს.

განვიხილოთ ერთი ფსიქოლოგიური დაკვირვების მაგალითი:ძველ ფოტოსურათებზე დააკვირდით ქალების ბავშვისებრ შუქჩამდგარ თვალებს, საიდანაც სისპეტაკე იმზირება,მორცხვ ღიმილს,რომლისგანაც გული ნათდება.ამ სახის გამომეტყველებაში არის რაღაც განუმეორებელი,თვიტმყოფადი.ამ სახეზე აღბეჭდილია საკუთარი ღირსების შეგრძნების ნიჭი.დააკვირდით მის ჩაცმულობას,როგორი სადაა,დახვეწილი,დარბაისლური.სამოსიც კი აიძულებდა მამაკაცს თაყვანი ეცა ქალისთვის.

ჭეშმარიტი სიბრძნე გვასწავლის,რომ ქალი დაჯილდოვებულია თავისი მისიისადმი განსაკუთრებული ერთგულების უნარით.ის შეიმეცნებს თავის დედობას

პირველწყაროდან წარმომდინარე წყაროდ ცხოვრებისა.მას ვერ დაიმონებ,ვერც დაამცირებ,რადგან ბუნებრივი,თანდაყოლილი სიმდაბლე აქვს მომადლებული.

ცოლ-ქმარს ერთმანეთის უნდა სჯეროდეს და ერთად ზრუნავდნენ შვილებისათვის.ის,ვინც ოჯახს ქმნის,მზად უნდა იყოს მსხვერპლად გაიღოს ყოველივე სხვისი ბედნიერებისათვის,უნდა შეძლოს ებრძოლოს ეგოიზმს,დასძლიოს მავნე ჩვევები,მოთხოვნილებები.

ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევა,სამწუხაროდ არც თუ ისე ცოტა,როცა ქლ-ვაჟი სიყვარულით ქორწინდება,მერე კი ცხოვრებაში სიძნელეები ხვდებათ,როცა რაღაც მოუშუშებელი ტკივილის გამო კაცი იწყებს სმას,კარგავს ჯანმრთელობას,სითბოს,სიყვარულს,თანაგრძნობის ნაცვლად მეუღლისგან მხოლოდ განკითხვას და შეურაცხყოფას ისმენს და ბოლო არ აქვს ოჯახში უსიამოვნებას.

ხშირია ისეთი შემთხვევაც,როცა კაცი ეჩვევა უზრუნველ ყოფას.მთელ საქმეს ქალის იმედზე ტოვებს,თვითონ კი იმაზე ფიქრობს,დრო როგორ გაატაროს,როგორ გაერთოს,მაშინაც კი,როცა ცოლ-შვილს უჭირს ეკონომიურად,ფიზიკურად და სულიერად.

ასეთი ოჯახები ხშირად ირღვევა,მეუღლენი ერთგულებას რომ უმტკეცებდნენ ერთმანეთს,შორდებიან.ღვთის ანაბარა რჩება ერთ დროს საყვარელი ცხოვრების მეგობარი და რჩება იგი თავისი უბედურებით,მარტოობითა და შეურაცხყოფით.ასეთ ვითარებაში ბავშვის სულიერი განცდები უმძიმესია.

დანგრეული ოჯახური ატმოსფერო თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივი გახდა.აქ იგულისხმება,როგორც განქორწინებული მშობლები,ასევე ოჯახები,სადაც ბავშვთა აღზრდისათვის არ სცალიათ.

ბავშვისათვის დანგრეული ოჯახური ატმოსფერო იქმნება,მაშინაც როცა მშობლებს შორის კონფლიქტური,დაძაბული ვითარებაა.დანგრეული ოჯახური ატმოსფეროს გავლენით ბავშვს შეიძლება ჩამოუყალიბდეს აგრესია საკუთარი თავის ან სხვების

მიმართ:ეს იქნება მეზობელი,თანაკლასელი თუ გარესამყარო,ის შეიძლება ან ჩაიკეტოს თავის თავში ან გულჩათხრობილი გახდეს და ა.შ.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით განქორწინებულ ოჯახთა რიცხვი დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდება.ერთგვარი ლოზუნგი გახდა ,,ცუდ ქორწინებას ნორმალური განქორწინება ჯობია".საოცარია,მაგრამ თუ 20-30 წლის წინათ განქორწინების ინიციატორები ქმრები იყვნენ,ამჟამად ეს ადგილი ქალებმა დაიკავეს.ამის მიზეზი,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქალის,როგორც დედის როლის დაქვეითებაა.თანამედროვე საზოგადოებაში ქალი-მოქალაქე უფრო მნიშვნელოვანი გახდა,ვიდრე ქალი-დიასახლისი.თუ ადრე ქალი თავის მთელ დროს შვილებს უთმობდა,ახლა ამ მოვალეობას ძიძას ან ბავშვთა სხვადასხვა დაწესებულებებს აკისრებს.დედა წყვეტს შვილთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.ის ირჩევს შვილის აღზრდის ამა თუ იმ გზას.

ყოველივე ეს იწვევს მამისა და დედის როლის შეცვლას.განქორწინების ზრდას მოჰყვა დედასთან მარტო დარჩენილი შვილები.იმატა მარტოხელა დედების რიცხვმაც.გაიზარდა შვილზე დედის გავლენა.ყოველივე ამან კი ერთგვარი ტრადიციული მნიშვნელობა დაუკარგა მამას.

თუ ადრე განმტკიცებული იყო აზრი,რომ მამაკაცების გარეშე ქალს არ შეუძლია ოჯახის შენახვა,რომ მას მარტო არ შეეძლო თავის თავზე აეღო ოჯახში პრაქტიკულად არსებული საზრუნავი და ამასთან მატერიალურად უზრუნველყო ოჯახი,ახლა ბავშვები მშვენივრად ხვდებიან,რომ დედას შეუძლია იმუშაოს დღეში 8 საათი ან მეტი და ბავშვებზე იზრუნოს მამის გარეშეც.

კვლევების გაცნობისას საინტერესო იყო ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.კითხვაზე: ყველაზე მეტად ოჯახში რა გაღელვებს? 50%-მა 100 გამოკითხულიდან უპასუხა: სამუშაო არ დაკარგოს დედამ; 40%-მა უპასუხა: სამუშაო არ დაკარგოს მშობლებმა.

კითხვაზე: ოჯახში რა პრობლემების შიში გაქვთ? 38%-მა უპასუხა: მეშინია,რომ მამას არ ჰქონდეს ფული; 62%-მა უპასუხა: მეშინია,რომ დედას ფული გაუთავდეს.

დამახასიათებელი გახდა,რომ ქალი შეიძლება განქორწინდეს,მაგრამ რაკი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა არ იცვლება,შვილის თვალში მან ავტორიტეტი არც დაკარგოს.

თუ წინათ განქორწინება საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო და ქალი კარგავდა თავის საზოგადოებრივ ღირებულებას და სოციალურ სტატუსს,განქორწინებული მშობლების შვილები იწვევდა გარშემომყოფთა გაუცხოებას.ახლა განქორწინებული დედა,რომელიც თვითონ ზრდის შვილებს, უფრო პატივისცემას იწვევს,ვიდრე გაკიცხვას.

საზოგადოება გულგრილი გახდა განქორწინების მიმართ და მას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს.

ზოგჯერ ბავშვი ადრეულ ასაკში ვერ აცნობიერებს,რომ მისი მშობლები განქორწინებულები არიან,იშვიათად ნახულობს მამა ან დედა.შემდეგ გადის დრო,წამოიზრდება და აღმოაჩენს,რომ დედა და მამა ცალკ-ცალკე ცხოვრობენ,ჰყავთ სხვა შვილები.მსგავს სიტუაციებს ბავშვები საშინლად განიცდიან,იკეტებიან საკუთარ თავში,თავს ზედმეტ,ცუდ შვილად წარმოიდგენენ. მიმდინარეობს პიროვნული ნგრევა.შეიძლება მძიმე ავადმყოფობაშიც ჩავარდნენ.

გამოკითხვა ჩავატარეთ 21 დანგრეული ოჯახის შვილებთან.ასაკი 6-12 წელი.მათგან მხოლოდ სამს აკითხავდა მამა დროულად(2 მათგანს ოჯახი ჰონდა და შვილებიც ჰყავდა).5 ბავშვს სამი წელი არ ენახათ მამა და ამას შეჩვეულიც იყვნენ.დადიოდნენ ეკლესიაში,ჰყავდათ მოძღვარი და მას მიიჩნევდნენ სულიერ მამად.თერთმეტმა განაცხადა,რომ სულ მოლოდინში არიან.შაბათ-კვირას სახლიდან არ გადიან,რომ მამას შინ დახვდნენ.მამა კი ხან მოდის ხან არა. 2 ბავშვი იზრდება ბებიასთან(მამის დედა),მათთან სანახავად დედა მოდის ყოველ ორ კვირაში ერთხელ და საჩუქრებიც მოაქვს.მამა სახლიდან წასულია სამუშაოდ და შინ იშვიათად ბრუნდება.

ყველა შემთხვევის დაკვირვება და ანალიზი ცხადყოფს,რომ დანგრეული ოჯახის ბავშვი მძიმე განცდაშია,მოუსვენარია,სევდიანი,მუდმივ მოლოდინშია, პატარა რამეზე უარის თქმა აღიზიანებს.აქვთ შიში არ დაკარგონ დედაც(მამა ან ბებია).

განქორწინებას თან სდევს პრობლემა:ხელახალი ქორწინება ან უზნეო ცხოვრება.ხელახლა ქორწინებას შეიძლება თან ახლდეს სხვისი შვილებიც.იწყება შეუგუებლობა,აგრესიის ზრდაც,უნდობლობა,ეჭვი,რომელიც შეიძლება დედისთვის შეუმჩნეველიც დარჩეს ან ვერ გაუგოს შვილს და მათ შორის კონფლიქტიც წარმოიშვას.

პრობლემა იქმნება ახალი ქორწინებით დაბადებულ ბავშვთან დაკავშირებითაც.

დავინტერესდი დაკვირვებით,რომელიც წარმოებდა 10 ოჯახზე,სადაც ერთად ცხოვრობდნენ პირველი და მეორე ქორწინებით გაჩენილი შვილები.მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოვლინდა,როცა უმცროსი დის მოვლა არ იყო უსიამოვნო პროცესი.უმეტესად თვლიდნენ,რომ დედას ახალი შვილი ,როგორც თვითონ უწოდებდნენ,უფრო უყვარდა,ვიდრე ის.ირჩევდნენ ეცხოვრათ ოჯახს გარეთ,თუმცა დედისგან მთლად მოშორება არ სურდათ.

სამ ოჯახში,სადაც მეორე ქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ ორი დამხვდური და ერთი, ახალი ბავშვი,მამინაცვლის კეთილგონიერების გამო სიყვარული და პატივისცემა სუფევდა.ერთ ოჯახში კი ორი ბავშვისგან ერთმა,რომელიც 11 წლის იყო 3 წლის მანძილზე ვერ შეეგუა მამინაცვალს,ზიზღი ეუფლებოდა მის დანახვაზე,ებუტებოდა,გაურბოდა,მაგრამ მამინაცვალს თავისი შვილები არ ჰყავდა და ბავშვებსაც მზრუნველობით ეპყრობოდა.

ძალზე საინტერესო იყო ერთი ოჯახის ისტორია:ცოლ-ქმარს,რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა,განქორწინდნენ.ერთი შვილი მამასთან დარჩა,მეორე დედასთან.დედა გათხოვდა.ხუთი წლის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა.დაობლებული 14 წლის ბიჭი მამის ოჯახმა არ მიიღო.იმ პერიოდისათვის მამა რუსეთში იყო წასული და საერთოდ არც უნახავს შვილი.ბიჭი სკოლა-ინტერნატში ჩააბარეს.ერთი წლის შემდეგ ბავშვის თხოვნით მამინაცვალმა ბიჭი თავისთან წაიყვანა,ცოლი აღარ უთხოვია და ბიჭის აღზრდის პასუხისმგებლობა აიღო.ეკონომიურად უჭირდათ,მაგრამ ბიჭს მაინც მასთან ყოფნა ერჩივნა.ხანდახან სტუმრობდა ბებიას და ძმას.

ბავშვებისათვის საიმედო წყაროს წარმოადგენენ ბებია და ბაბუა.ამის მიზეზი ისაა,რომ მათ უყვართ შვილიშვილები,ეხმარებიან შეიცნონ თავიანთი ფესვები და

ტრადიციები.მშობლების განქორწინების შემდეგ,სწორედ ბებია-ბაბუას უახლოვდებიან ბავშვები.წინათ ისინი ოჯახის განუყოფელი ნაწილი იყო.ახლა უმეტესად ცალკე ცხოვრობენ და მათ მოსანახულებლად სპეციალურად გამგზავრებაა საჭირო.მოხუცებისათვის კი შვილიშვილების სტუმრობა დღესასწაულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,დანგრეულ ოჯახურ ატმოსფეროში იგულისხმება ის შემთხვევებიც,როცა მშობლები ერთად ცხოვრობენ,მაგრამ ბავშვისათვის არ სცალიათ და ბავშვი სახლში მარტოა,მათი მოუცლელობის გამო.იმატა იმ ბავშვთა რიცხვმა,რომლებიც სკოლაში თავისით მიდიან და სახლში დაბრუნებისას შინ არავინ არ ხვდება.ბავშვები თვითონ იკეთებენ საჭმელს,თვითონ იცვამენ და ყველაფერს თვითონ აკეთებენ.

ბავშვები თავისით იზრდებიან,ნაკლებად ესწრაფვიან დაიჭირონ ადგილი ცხოვრებაში.ძალიან ძნელია მარტოობიდან საზოგადოებაში დამოუკუდებლად დამკვიდრება.

ისინი თავისით ახერხებენ,მათ ჩვენ არ ვჭირდებით -ხშირად ამბობენ მშობლები.ისინი თავს იკავებენ რაიმე საკითხის ბავშვთან განხილვისაგან.

აღზრდა მეტად რთული პროცესია,თავად ბავშვს კი,დამოუკიდებლად არ ყოფნის გამოცდილება თვითაღზრდისათვის.

როგორ ისწავლონ საზოგადოებაში თავის დაჭერა,თუ მშობლები ამას არ ასწავლიან,არ უჩვენებენ თავიანთ მაგალითს.საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის ბავშვს ერთადერთი წყარო –ტელევიზია რჩება.სწორედ ტელევიზორთან და კომპიუტერთან ატარებენ ბავშვები უმეტეს დროს.ისინი ტელევიზიას იღებენ როგორც ვიზუალურ ფონს,მათ აწყობთ კლიპების ცქერა. ისინი,ვინც უფრო ძლიერია სულიერად,შეიძლება არ მოექცნენ ამ ფონის ტყვედ.ხანდახან ისინი უყურებენ გამოსახულებას რადიოს ხმაზე და მის ხმას თიშავენ.ბევრს არ შეუძლიათ ასეთ ვითარებაში იმუშაონ კონცენტრირებული ყურადღებით.

საღამოს დაბრუნებულ მშობელსა და შვილს სიტყვიერი გასაუბრების სურვილი არ უჩნდებათ.ბავშვები არ არიან მზად საუბრისათვის.სახლში ყოფნისას დედა

სამზარეულოშია,მამა თავისი საქმითაა დაკავებული,ბავშვი ისევ ტელევიზორთან რჩება მარტო.ასე ხდება სტუმრების მოსვლის დროსაც.ხშირად იკარგება ურთიერთობის შესაძლებლობა მშობლებსა და შვილებს შორის. უსიტყვო ურთიერთობის ატმოსფერო შეუმჩნევლად ანგრევს შვილებისა და მშობლების კეთილურთიერთობას.მათი ერთად ყოფნა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით შემოიფარგლება.დადგება დრო და მოზარდი სულიერ თანამგრძნობს იპოვის თანატოლებთან ან სრულიად უცხო ადამიანებთან.ეს კი ყოველთვის სასურველი არ არის.

კომპიუტერი ასევე ერთ-ერთი მიზეზია მშობლებსა და შვილებს შორის უსიტყვო ურთიერთობის გამძაფრებისა.ბავშვებმა ტელევიზორიდან კომპიუტერთან გადაინაცვლეს,თუ აქამდე მხოლოდ მაყურებელი იყო,ახლა თანამონაწილე და ზოგჯერ თანაავტორიცაა ამა თუ იმ მოვლენის.კომპიუტერში ყველანაირი თემის ხელმისაწვდომობა,მიწერ-მოწერა მაინც და მაინც სასურველ შედეგს აღზრდაში ვერ იძლევა.

გავესაუბრეთ 40-მდე ბავშვს,რომლებიც მთელ დღეს ტელევიზორთან ან კომპიუტერთან ატარებენ და ჩავატარე გამოკითხვა.კითხვაზე შენ სკოლის შემდეგ ხვდები მეგობრებს?-90%-მა უპასუხა: არა,მე ეს არც მსურს.

ბავშვების მარტოობისაგან დასახსნელად დროებითი ღონისძიებანი ვერ დაგვეხმარება.მათი სპორტით დაინტერესების საკითხის შესწავლამ დაგვანახა,რომ უმეტესწილად ისინი ინტერესდებიან მაგიდის ჩოგბურთით ან სპორრტული სიარულით.პირველ სახეობას ეგოისტურ ხასიათს მიაკუთვნებენ,მეორე შემთხვევაში კი სპორტსმენი იზოლირებულია ქუჩაში მიმავალი ხალხისაგან,მით უფრო თუ ყურზე მოსასმენები აქვთ.

ჩავატარე ანკეტური გამოკითხვა მარტოობაში მყოფ ბავშვებთან: ,,რისი გაკეთება შეგიძლია ოჯახში?”.65%-მა უპასუხა: სახლის დალაგება,საუზმის მომზადება,გარეცხვა.

კითხვა:რომელს ასრულებ დიდი სურვილით?

პასუხი:არც ერთს.

კითხვა:არ გწყინდება მთელი დროის ტყუილად ფლანგვა?

პასუხი:დრო ჩემია და როგორც მინდა ისე გამოვიყენებ,მე ცუდს არაფერს ვაკეთებ.

დანგრეული ოჯახური ატმოსფეროა იქაც,სადაც ბავშვები განიცდიან მშობლიური სიყვარულის ნაკლებობას.

ამრიგად,დანგრეული ოჯახური ატმოსფერო იქმნება სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით:

- მშობლების განქორწინებით
- მშობელთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში
- მატერიალური გაჭირვებით
- მშობლებსა და შვილებს შორის უსიტყვო ურთიერთობით, რომელიც გაამძაფრა კომპიუტერთან და ტელეფონთან მიჯაჭვულობამ.

პედაგოგები,აღმზრდელები გაცილებით მეტი ყურადღებითუნდა იყვნენ განქორწინებული ოჯახის ბავშვებთან.ჩაატარონ მათთან პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საქმიანობა.დაეხმარონ მათ დაძლიონ წამოჭრილი პრობლემები.საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ფსიქიატრს,ფსიქოლოგს.

სახლში მარტოობაში აღზრდილი ბავშვი ძალიან ძნელად იტანს გარდატეხის პერიოდს,ვიდრე დიდ ოჯახში აღზრდილი.მარტოსული ბავშვი დიდხანს ცხოვრობს მშობლების ოჯახში ან ტოვებს ოჯახს,რათა შეუერთდეს სხვა უფროსების კომპანიას.

მარტოობაში აღზრდილ მოზარდს ზოგჯერ უჩნდება სურვილი გაექცეს თავისი ოჯახის დამანგრეველ ატმოსფეროს,მაგრამ თავისი სისუსტის გამო წარმატების ნაცვლად მახეში ებმება.

აუცილებლად მიმაჩნია მასწავლებელმა ყურადღებით შეისწავლოს მარტოობით არასასურველ გარემოში მყოფი ბავშვები.გამოიძებნოს მათთვის ისეთი საქმიანობა,რომელიც დააინტერესებს,დაეხმარება მოზარდს დადგეს ცხოვრების პირისპირ.

ოჯახის დანგრევა ეს არის კატასტროფა მშობლებისა და შვილებისათვისაც.შედეგი არაპროგნოზირებადია.როცა ოჯახი ინგრევა,ბავშვს მთელი სამყარო თავზე ენგრევა,შემდგომში მისი აღდგენა და შეკოწიწება ძალიან ძნელია.ბავშვი კარგავს უსაფრთხოების შეგრძნებას,რომელიც მანამდე ჰქონდა.ეკარგება მომავლის იმედიც.ის პიროვნულად თავის თავსაც აბრალებს ამ ნგრევას და თვითშეფასება ძალიან უქვეითდება.ეს კი პიროვნული განვითარებისათვის მეტად შემაფერხებელი ფაქტორია.

§ 4. მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დეფექტები

წყაროებზე მუშაობისას გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც აქამდე თვალთახედვის მიღმა რჩებოდა, რადგან ტრადიციულ ქართულ ოჯახში მშობლიური სიყვარულის გამოვლენა ჩვეულებრივი მოვლენაა და არც მსმენია ვინმესგან საყვედური ან წუხილი მშობლისაგან სიყვარულის დაკლების შესახებ. შვილებში გამორჩეულობა იყო და არის,მაგრამ მშობლისაგან სიყვარულის მოკლებაზე არ დავფიქრებულვარ.

ნაშრომებმა, განსაკუთრებით უცხოელი ავტორებისა: ფრანსუაზა დალტი, ვიქტორ დავიდოვი,ვასილ ზენკოვსკი და სხვები,აღნიშნავენ მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის გავლენას ბავშვთა ზნეობის ჩამოყალიბებაზე,ჯანმრთელობაზე შუა ხნის ასაკშიც კი.

1950-იან წლებში მოღვაწე ბრიტანელმა მწერალმა და ბავშვთა განვითარების მკვლევარმა ჯონ ბაულბიმ აღნიშნა,რომ ბავშვები,რომლებსაც აკლიათ მშობლიური სიყვარული,ძნელად შედიან სხვა ადამიანებთან კონტაქტში. ასეთი ბავშვების მშობლები თვლიან,რომ ეს ბავშვები არიან ძნელად სამართავნი,არაკეთილსინდისიერნი,არ არიან გულწრფელნი გრძნობათა გამოხატვაში.მშობლები ხშირად ამბობენ: რაც არ უნდა გავაკეთოთ მათთვის,არფერს აზრი არ აქვს.

ასეთი ბავშვები სხვებს არ ენდობიან,უჭირთ ნებისმიერი სახის ურთიერთობის დამყარება,ცდილობენ ყოველთვის შეინარჩუნონ დისტანცია.მათთვის უცხოა სხვაზე ზრუნვა,არ გასცემენ სიყვარულს და არც ღებულობენ სხვისგან.ისინი ცხოვრობენ ბავშვურად,ეგოცენტრულად, იმპულსურად.მათ ხშირად აქვთ წესების ან კანონების შესრულებასთან.პირველი,რაც მათ აინტერესებთ - რა სარგებელი მექნება მე აქედან?

ბავშვები,რომლებსაც აკლიათ მშობლიური სიყვარული,ხშირად განმარტოვდებიან სხვებისგან.ეს საქციელი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს.ზოგიერთი ბავშვი განმარტოვდება ფიზიკურად,ზოგი იქმნის დამცავ გარსს გარშემო.მათ შეუძლიათ იყვნენ თქვენს გვერდით და ამავე დროს ემოციურად ძალიან შორს.განმარტოება იწვევს შიშს.ხანდახან მშობელი ცდილობს მოფერებას,ბავშვი კი უკან იხევს და არ პასუხობს მას.მშობლის მიახლოებაზე იბუზება.ხშირად,სწორედ აქედან აკეთებს ოჯახი არასწორ დასკვნას,რომ ბავშვი ან გამუსულია მოფერების ასაკიდან,ან ნაკლებად უყვარს მშობლები.საჭიროების მომენტში,თუ ბავშვი დარწმუნებულია მშობლის გვერდით ყოფნაში,ის ნაკლებად ნერვიულობს.საშინელი მდგომარეობა იქმნება ბავშვისათვის მაშინ,როცა მას სჭირდება მშობელი,ის კი მასთან არ არის.შიში და ნერვიულობა გამოხატულია განსაკუთრებით იმ ბავშვებში,რომლებიც ხშირად გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე,წინასწარი გაფრთხილების გარეშე,ან რომელთა ცხოვრებაც არასასურველი მოულოდნელობებით იყო სავსე.ბავშვები,რომლებიც იმყოფებიან ქრონიკულ განცდაში,ხშირად არიან მიჯაჭვული მშობლებზე.ამჟღავნებენ მესაკუთრულ ინსტიქტებს.ასეთი საქციელი ფსიქიკურად თრგუნავს ოჯახის სხვა წევრებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტს გამოხედვით.ბევრი ბავშვი,რომელსაც აქვს სიძნელეები,ჩვეულებრივ პირდაპირ არ გიცქერიან,ისინი გვერდითი ხედვით აკონტროლებენ სიტუაციას.ზოგჯერ ბავშვი გიყურებს პირდაპირ,მაგრამ ეს ხდება გამოწვევის მიზნით.მშობლები ამგვარ საქციელს მიაწერენ თავხედობას-ამბობს ვერა ფალბერგი ნაშრომში ცალკეული ნაწილების ერთად აწყობა.

დისტანციას იჭერენ ბავშვები,მაშინ როცა ყოველი მიახლოვების დროს ურტყამენ,ფხაჭნიან,წიხლებით სცემენ,ან კბენენ.თუ ყოველი მოთხოვნის წაყენების დროს მშობელი ფეთქდება,შვილი თავს ანებებს მოთხოვნებს და ამ დროსაც შორს იჭერს თავს.ბავშვის მხრიდან ძალიან აქტიურობაც მშობლის გაღიზიანებას იწვევეს.ძნელია ისეთ ბავშვთან კონტაქტიც,რომელიც სულ მოძრაობაშია და ადვილად გადაერთვება ერთიდან მეორეზე.

არის შემთხვევა,როცა ბავშვისათვის დამახასიათებელია განუსხვავებელი სიახლოვე,შეიძლება მივიდეს უცნობთან,მოეხვიოს მას და უთხრას მე შენ მიყვარხარ , ეხვევა მას და კოცნის.ბავშვი,რომელიც ასე იქცევა თითქმის ყველა უცნობის მიმართ,თავისი გამომწვევი საქციელით გამოხატავს –სხვები ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის ვიდრე მშობელი.განუსხვავებელი სიახლოვე წარმოადგენს პრობლემას.

ზოგიერთი ბავშვი ქმნის ძალიან დამოუკიდებელი ბავშვის შთაბეჭდილებას. თითქოს მას მშობლები საერთოდ არ სჭირდება.ადრეულ ასაკში ისინი მოითხოვენ დამოუკიდებლად ადგომას,ჩაცმას,დაბანას,ოთახის დალაგებას. მშობლებს უჩნდებათ შეგრძნება,რომ ისინი შვილებს აღარ სჭირდებიან.

ისეთი ბავშვები,რომელთაც ჰქონდათ მძიმე ბავშვობა,კარგად აცნობიერებენ რა ხდება მათ გარშემო,მაგრამ თითქმის ვერ გრძნობენ საკუთარ სხეულს.მას შეუძლია ჭამა გულისრევამდე,ის არ რეაგირებს ტკივილზე და სხეულის ტემპერატურის მატებაზე.ხშირია ასეთ ბავშვებში ენურეზია.იქმნება შთაბეჭდილება,რომ ისინი არ რეაგირებენ თავიანთი სხეულის სიგნალებზე და არ სურთ არანაირი კომფორტის შექმნა საკუთარი თავისათვის.

ბავშვები,რომელთაც მძიმე წარსული ჰქონდათ და რომელნიც განიცდიდნენ სიყვარულის ნაკლებობას დამახასიათებელია ბრძოლა ძალაუფლებისათვის და უნდობლობა.მათ უჭირთ საქციელის მიღებულ ჩარჩოებში მოთავსება.იქმნება შთაბეჭდილება,რომ ისინი მუდმივად ცდილობენ წესიერების საზღვრების დარღვევას.მშობლების მხრიდან გონიერი რჩევები იწვევს სკანდალს.თუმცა რჩება შთაბეჭდილება,რომ ამ ბავშვებს თვითონ სურთ აკონტროლონ თავიანთი ცხოვრება.

მშობლიური სიყვარულის ნაკლებობა შეიძლება გახდეს მიზეზი განხეთქილებისა არაბიოლოგიურ მშობელსა და ბავსვს შორის.

მშობლიური სიყვარულის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ოჯახიდან გაქცევა.

ოჯახიდან მოზარდთა გაქცევა მსოფლიოს უდიდეს პრობლემად იქცა.ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ყოველწლიურად პოლიციაში რეგისტრირებულია არასრულწლოვანთა 3000 გაქცევა.უმეტესობა 10-დან 18 წლამდე ასაკისაა.

მოზარდთა ოჯახიდან გაქცევის პრობლემით პირველად იურისტები დაინტერესდნენ,შემდგომ ექიმები,ფსიქოლოგები,ფსიქიატრები და პედაგოგები ჩაერთვნენ.

გაქცევა არის მოზარდის ოჯახიდან მცირე ხნით გადაკარგვა.უმეტეს შემთხვევაში ბავშვი უკან ბრუნდება.როგორც მოვლენების შესწავლის ანალიზი გვიჩვენებს,გაქცევა ხდება წარმატების მიღწევის სურვილის,საქმის ჩავარდნის,დაძაბული მდგომარეობიდან გამოსავალის,კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის,გარემოებათა გავლენის გამო.გაქცევის მიზანია-როგორმე განეშოროს იმას,რაც აუტანელი გახდა,რადგანაც მოზარდს არ შეუძლია დაუპირისპირდეს ვითარებას.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვს არ შეუძლია მაიტოვოს ოჯახი მშობლების ნებართვის გარეშე.კოდექსი არ განიხილავს გაქცევას,როგორც სამართალდარღვევას.

გაქცეულ მოზარდს პირველად ხვდება საგზაო პოლიცია ან მცირეწლოვანთა დამნაშაობასთან მებრძოლი ჯგუფი.პოლიცია იძულებულია ყველა ძალისხმევის

მიუხედავად,მოზარდი განიხილოს როგორც პოტენციური სამართალდამრღვევი.მას დააკავებენ და დაკითხავენ.

გაქცევის მოსურვე მოზარდს ძირათადად ახასიათებს:ქცევის არასტაბილურობა,მღელვარების სიძლიერე და ემოციური უმწიფობა.

ბავშვები,რომლებიც გარბიანაინტერესო სურათს ქმნიან.უმეტესად გარბიან ის ბავშვები,რომლებიც იმყოფებიან აუტანელ სიტუაციაში,კრიზისის მდგომარეობაში,აგრეთვე ისინი,რომლებიც აწყდებიან ძალადობას,უხეშ მიმართვას,მშობლების მხრიდან სიმკაცრეს.ეს შეიძლება იყოს გოგონები და ვაჟები,რომელთაც უძნელდებათ დასძლიონ მათ წინასე არსებული წინააღმდეგობები.ოჯახიდან გამქცევი მოზარდების ყველაზე დამახასიათებელი ასაკი თოთხმეტი წელია.

გაქცევის გამომწვევი შეიძლება იყოს:პათოლოგიური გადახრები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა,მძიმე მემკვიდრეობა,უფროსების შეცდომა, დეპრესია.

ოჯახური ატმოსფერო და მშობლებს შორის ურთიერთობა ყველაზე დიდ როლს თამაშობს.მშობლებს შორის უთანხმოება,აზრთა სხვადასხვაობა, ურთიერთგაგების არასაკმარისობა,ოჯახის სხვა წევრებს შორის შეუთანხმებლობა.ასევე მშობლების ლოთობა,რომელიც თავის თავში მოიცავს ძალადობას ბავშვების მიმართ,ავტორიტეტის დაკარგვა,ზედმეტი მზრუნველობა ან პირიქით,ბავშვისაგან შორს ყოფნა,შეიძლება გახდეს გაქცევის საბაბი.

გაქცევის ფაქტები ძლიერდება იქ,სადაც არის ომი,რევოლუცია,სხვა სოციალური კატაკლიზმები.

საზოგადოების ყველა ფენაში გვხვდებიან გამქცევი ბავსვები.უფრო მეტად კი არიან ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებიდან.აღზრდასი ნაკლოვანებები,სკოლასი ხშირი დაგვიანება და არგამოცხადება.სკოლის ცხოვრებაში არსებული სიძნელეებისადმი უძლურება იწვევს გაქცევას.

გაქცევის დიდი ნაწილი ესაა მარტოსულის გამოვლენა,ემოციური მოვლენების არასაკმარისად მართვა.როცა მოზარდი გადაწყვეტს გაქცევას,იგი თავის მოქმედებას განიხილავს როგორც საბოლოო გამოსავალს.

გაქცევა თავისთავში მოიცავს საშიშროებას.გაქცეული მოზარდის წინაშე დგება საცხოვრებლისა და საკვების პრობლემა.ხშირად იგი დანაშაულს სჩადის:იპარავს,ნარკოტიკს მოიხმარს,იწყებს პროსტიტუციას,ექცევა ცუდ წრეში,მაწანწალობს,თუმცა არც იმის განცხადება შეიძლება,რომ გაქცევა ყოველთვის იწვევს სამართალდარღვევას.

გამქცევი ბავშვების მიმართ პრევენციური ღონისძიებები ხორციელდება ან მკურნალობენ.მშობლებისათვის შვილის გაქცევა ძირითადად მოულოდნელია.თუმცა წინასწარი ნიშნები შეიძლება ადრევე ყოფილიყო შენიშნული.

როცა გაქცევა უკვე ფაქტია,პოლიცია სასამართლოსთან შეთანხმებით გადაწყვეტს სად გაგზავნოს გაქცეული:დააბრუნოს ოჯახში,გაგზავნოს ბავშვთა გამანაწილებელში,მედიკოს-ფსიქოლოგიურ ცენტრში გამოკვლევისათვის თუ სხვა ადგილებში,სადაც შეიძლება განთავსდეს არასრულწლოვანი.

წარმოიქმნა სხვადასხვა სტრუქტურა,რომელმაც თავის თავზე აიღო გაქცეულ ბავშვთა პრობლემის მოგვარება,თუმცა ისინი მაინც მცირეა.ესაა:ნდობის ტელეფონი,მოკლევადიანი თავშესაფარის ორგანიზაცია, საცხოვრებელი ცენტრი და სხვა.ეს ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან დაეხმარონ მოზარდს კრიზისის დაძლევაში დასაწყისშივე.მოუხსნას კონფლიქტური სიტუაცია,რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ნგრევა გამოიწვიოს,დაამშვიდოს ორივე მხარე-ბავშვებიც და მშობლებიც.

ზოგიერთი ქვეყნის კანონი ცნობს ცნობს შესაძლებლობას,გააგზავნოს მოზარდი სადმე ბუნებრივ,კეთილმოწყობილ თავშესაფარში,რათა იქ იპოვოს სულიერი სიმშვიდე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1968 წლიდან იწყება თავშესაფრების გაფართოება,სადაც მოზარდს 24 საათის განმავლობაში ანონიმურობის გარანტიას

აძლევენ.იქ არის თბილი ოჯახური გარემო.ასეთი 200-ზე მეტი ცენტრია არასრულწლოვნებისათვის.ცენტრებს კარგი ურთიერთობა აქვთ პოლიციასა და საზოგადოებასთან,სასამართლოსთან,მთავრობასთან,სოციალურ სამსახურთან.ცენტრებში მოქმედების თავისუფლება მოზარდებს არა აქვთ,მაგრამ ყველაფერი კეთდება მათი სამომავლო გზის სწორად წარმართვისათვის.

გავეცანი წიგნის ,,სოციალური პედაგოგიკის" ავტორების მიერ ბოლო წლებში ჩატარებულ გასაუბრებებს,შვიდი ოჯახიდან გაქცეულ თორმეტ მოზარდთან და გაქცევის მსურველ სამ მოზარდთან დაკავშირებით.ასაკი 14-16 წელი.

გასაუბრების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

1. მშობლების მხრივ ძალადობა(ცემა,დასჯა) -2;
2. ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი(მამასა და ძმას შორის) -1;

(დედასა და მამას შორის) -2;

3. დედის სიმკაცრის გამო(მცირე მიზეზითაც კი ცემა.ამხანაგებთან ურთიერთობის აკრძალვა) -1;
4. პირადული არასრულყოფილების შეგრძნება(ეჩვენებოდა,რომ ყველასათვის მიუღებელი იყო) -3;
5. მამინაცვალთან ვერ შეგუება -1;
6. ეპოვა სოფელში ბებია და ბაბუა,რომლებთანაც პატარაობისას თავს კარგად გრძნობდა -2;
7. აუტანელი სიდუხჭირე,შიმშილი -3.

გასაუბრების გაცნობამ ცხადყო,რომ 8 მათგანს ოჯახი მოენატრა,ამათგან 6 დაბრუნებაზე თანახმა იყო,ოღონდ ცოტათი მაინც შეცვლილიყო ის პირობები,რამაც გაქცევა განაპირობა.2 მათგანისათვის კი სულერთი იყო,ოღონდ ოჯახში

დაბრუნებულიყო.4-ს ოჯახში დაბრუნების არავითარი სურვილი არ ჰქონდა.3-ს ვერ გადაეწყვიტა დაბრუნებულიყო თუ არა.

თვითოეულთან ჩატარდა ინდივიდუალური მუშაობა.ავტორებმა იზრუნეს,რომ ძალით ან შეშინებით არ დაბრუნებულიყვნენ ოჯახში. პირველ შემთხვევაში იმუშავეს მშობლებთან და დაარწმუნეს,რომ ძალადობა არ გამოეყენებინათ მოზარდის მიმართ.მეორე და მესამე შემთხვევაში გამოიკვლიეს კონფლიქტის მიზეზები და დაეხმარენ მის აღმოფხვრაში.დედა და ძმა მიიყვანეს ფსიქოლოგ-ფსიქიქტრთან კონსულტაციებზე.მეოთხე და მეხუთე შემთხვევაში მოზარდებს მისცეს რჩევები სავარჯიშოების გამოყენებით.მეექვსე შემთხვევაში ჩაიყვანეს სოფელში,შეახვედრეს ბებიას და ბაბუას,რამოდენიმე დღე დატოვეს იქ და შემდეგ მათივე სურვილით დააბრუნეს ოჯახში.მეშვიდე შემთხვევაში კი დააყენეს საკითხი სოციალური ჯგუფების ოფისების წინაშე.ორი მათგანის ოჯახს დაენიშნა დახმარება ბავშვის კვებისათვის,მესამეს მშობელს გაეწია დახმარება სამუშაო ადგილის შექმნაში.

ამრიგად:არიან ბავშვები სიყვარულის ნაკლებობით გამოწვეული პრობლემებით,რომლებიც თითქოს თავიანთ ასაკზე მეტ გონიერებას იჩენენ ზოგიერთ საკითხებში,ზოგში კი უმწიფარი ჩანან.იქმნება შთაბეჭდილება,რომ მათ არ აკმაყოფილებთ თავიანთი ასაკის შესაფერისი საქციელი,ისინი ცდილობენ იმ საქმის შესრულებას,რაც დამახასიათებელია მოზარდების,ან დიდებისათვის.როცა ისინი თამაშობენ თავიანთი ასაკის ბავშვებთან,ცდილობენ ლიდერობას.ზოგიერთ შემთხვევაში,როგორც კი ვინმე შეცდება მათ შეზღუდვას,ან განიცდიამ მარცხს,ისინი გამოხატავენ გაღიზიანებას და სიძულვილს.

მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დეფექტების შემჩნევა ეხმარება პედაგოგს მოსწავლესთან კეთილურთიერთობის მიზანმიმართულად წარმართვაში და ბავშვისადმი დახმარების სწორი ფორმის შერჩევაში.

მოზარდთა ოჯახიდან გაქცევის პრობლემამ ასახვა უნდა ჰპოვოს სასკოლო საქმიანობაში.წიგნის ,,სოციალური პედაგოგიკის" ავტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები კლასის ხელმძღვანელისათვის:

- ოჯახიდან ბავშვის გაქცევის თემა ნუ იქნება დახურული პრობლემა.სასურველია ჩატარდეს საუბარი:ოჯახიდან გაქცევა?-როდიდან და საიდან იწყება იგი?
- დებატები თემაზე:ოჯახიდან გაქცევა –პრობლემიდან გამოსავალი თუ პრობლემის წინასე უკან დახევა.
- დიალოგი თემაზე: მე რომ ოჯახიდან გაქცევა დავაპირო
- თავისუფალი წერა:ოჯახიდან გაქცეულის დახმარებას შევძლებ?!
- კლასის დამრიგებლის კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან და ოჯახის გაცნობა.შეხვედრა-დიალოგი მშობლებთან:ოჯახიდან ბავშვის გაქცევა-ნაცნობი თუ შორეული პრობლემა.

ერთი შეხედვით ქართული საზოგადოებისათვის არც თუ ისე ხშირად დამახასიათებელი,მაგრამ რეალურად არსებული პრობლემის ირგვლივ ღიად საუბარი განაპირობებს როგორც გაქცევის მცდელობის თავიდან აცილებას,ასევე მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილი მოზარდისადმი დახმარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

§. 5 სევდაშეპყრობილი ბავშვი

ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრობლემის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვეობის ერთ-ერთ დამახასიათებელ პრობლემას- სევდაშეპყრობილი ბავშვი ჩვენს გვერდით.

ტერმინი ,,სევდაშეპყრობილი ბავშვი" სოციალურ პედაგოგიკაში ბოლო ათწლეულში გაჩნდა.

სევდიანი მდგომარეობა შეიცავს ხუთი ძირითადი გრძნობის გამოვლენას: მწუხარება,დარდი,ბრაზი,სირცხვილი და ბრალეულობა.

ბავშვი შეპყრობილია მწუხარებისა და დარდის გრძნობით,როდესაც ის პიროვნებას კარგავს,რომელიც მნიშვნელოვანი იყო მისთვის,მასში ყოველთვის არსებობს ის ნაწილი,რომელსაც სურს,რომ ყველაფერი სხვანაირად დასრულებულიყო.მნიშვნელობა არ აქვს იმას,თუ რამდენად მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მის ცხოვრებასი ადმიანები,რომლებიც მოგვიანებით გამოჩნდნენ.მას ყოველთვის ექნება დაკარგულის აღდგენის სურვილი.

როდესაც ბავშვი შეპყრობილია ბრალეულობის გრძნობით,ის ფიქრობს: ალბად ოჯახიდან იმიტომ მივყავარ,რომ შეცდომა დავუშვი. როცა ბავშვი განიცდის სირცხვილის გრძნობას,ის ასე ფიქრობს: მე მინდობილი ბავშვი ვარ და ეს ყველამ იცის. ბავშვი სხვანაირია,როდესაც შვილობილად არის აყვანილი და შეიძლება გაუჩნდეს გრძნობა,რომ თითქოს დასჯილია,ისინი გრძნობენ,რომ ჩამოცილდნენ სხვებს რაღაც მიზეზების გამო.ასეთი გრძნობის ნაწილია უკონტროლობის შეგრძნება-არ ვიცი რატომ მოხდა ეს ან ჩემთვის არავის უთქვამს,რატომ მოხდა ეს.

სევდით შეპყრობილ ბავშვებთან ურთიერთობის ერთ-ერთი პრობლემა ისაა,რომ ბავშვებს არ შეუძლიათ აღწერონ თავიანთი განცდები იმიტომ,რომ მათ უჭირთ გრძნობების აბსტრაქტული აზროვნების სფეროშიგადატანა.ისინი გრძნობებს გამოხატავენ მოქმედებით,უფრო ხშირად უადგილო და შეუფერებელი მოქმედებით.ოჯახის თერაპევტი ცდილობს დაეხმაროს ბავშვებს სიტყვიერად

გამოხატონ გრძნობები,ისე,რომ მათ შეწყვიტონ აგრესიული ქცევა,გაკეთებულის დანგრევა და სხვა ბავშვებისათვის ზიანის მიყენება.

იმ ბავშვების ერთი მესამედი,რომლებმაც დანაკლისი განიცადეს, უნდობლობით არიან განწყობილი სხვების მიმართ.როგორ შეიძლება დავეხმაროთ ბავშვებს თავი გაართვან სევდიან გრძნობას?ბევრი გრძნობის გაზიარება არც თუ ისე უსაფრთხოა და ბავშვი ხშირად თავს დამარცხებულად,დარცხვენილად და უხერხულად გრძნობს.

რამდენიმე რჩევა არსებობს,რომელიც დაგეხმარება,რომ ბავშვი გაანთავისუფლოთ ამ განცდებისაგან.

ყველაზე მთავარი,რაც უნდა იცოდნენ აღმზრდელებმა სევდაშეპყრობილ ბავშვებზე,შემდეგია:საჭიროა ბავშვს მისცეთ გრძნობების გამოხატვის საშუალება.სწორედ აქ იჩენს თავს პრობლემები.მეტად ძნელია სევდაშეპყრობილ ბავშვებთან ცხოვრება.მწუხარე დადარდიანებულ მოზრდილ ადამიანებთან ცხოვრებაც არ არის მომხიბლავი.ბავშვის ქცევა შეიძლება შეიცვალიოს.ასეთ ბავშვებს ხშირად აქვთ ჰალუცინაციები.ისინი ხშირად ავად ხდებიან:ემართებათ სურდო,უჩივიან მუცლის ტკივილს.იმ დროს,როდესაც ისინი ცდილობენ გაუმკლავდნენ მოძალებულ გრძნობებს,აღმზრდელი ან სოციალური მუშაკი,რომელიც ბავშვს წაიყვანს და გადაარჩენს საშინელი სიტუაციისაგან,მიაღწევენ,რომ ბავშვმა შვება იგრძნოს.

ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ,თუ რას განიცდის სევდაშეპყრობილი ბავშვი.რაც შეეხება მოზრდილებს,სევდის მდგომარეობიდან გამოსვლის,გაჯანსაღების პერიოდი დაახლოებით ერთ წელს გასტანს.ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო,რომ მოზრდილთა 50%-ს უარყოფითი განცდები ერთი წლის მანძილზე დაუძლევია,და კიდევ 50%-ს უფრო მეტი დრო სჭირდება:18 თვიდან სამ წლამდე.ასე რომ სევდის გრძნობის დაძლევას შეიძლება ერთი წლიდან სამ წლამდე დასჭირდეს.საინტერესო იყო ხუთი შემთხვევა,რომელიც 70-72 წლის მოხუცებს ეხება.მათ კარგად ახსოვდათ რისთვის იყვნენ სევდიანი 10-15 წლის ასაკში და ისე დაწვრილებით აღწერდნენ,რომ სევდის კვალი არამც თუ ჩამქრალიყო,არამედ მომატებული იყო კიდეც.ბავსვს შეუძლია დაძლიოს დანაკარგის გრძნობა?ათი გღის ან ორი კვირის განმავლობაში.შემდეგ,თითქოს

ბავშვებმა თავი კარგად უნდა იგრძნონ .ბავშვი საიმედო ადგილზე იმყოფება,მასზე ზრუნავენ,კარგად კვებავენ,შესანიშნავად ეპყრობიან.რა დაემართა ბავშვს?ბავშვები მწუხარების მდგომარეობას განიცდიან.ამავე დროს,ისინი იტყუებიან,ნივთებს იპარავენ,უფროსებს კი უკვირთ, რატომ ხდება ეს.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ,რა დროის მანძილზე შეიძლება ბავშვი იმყოფებოდეს მწუხარების მდგომარეობაში.კვლევით ნაშრომში(ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი,1995 წლის აპრილი),მოყვანილია მონაცემები,რომელთა შესაბამისად ბავშვს შეუძლია მწუხარების გრძნობას განიცდიდეს შვიდი წლის განმავლობაში.ეს იმას არ ნიშნავს,რომ ისინი ამ გრძნობას ყოველდღე განიცდიან,მაგრამ ისინი დიდი დროის მანძილზე კვლავ უბრუნდებიან მწუხარებისა და ტკივილის გრძნობის განცდას.ამ შემთხვევაში იარსებებს როგორც მშვიდი მდგომარეობის,ისე კრიზისის პერიოდი.

ამრიგად,რეალურად უნდა გვესმოდეს ბავშვის გრძნობები და ვიცოდეთ,რომ შესაძლოა ბავშვი დიდი ხნის მანძილზე სევდითა და მწუხარებით იყოს შეპყრობილი და ჩვენ მას ვჭირდებით.

თავი II. ოჯახი და სკოლა

§ 6. წმინდა იოანე ოქროპირის მოძღვრება ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ.

მეოთხე საუკუნეში მოღვაწე წმინდა იოანე ოქროპირის შეხედულებანი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ დღევანდელობისთვისაც საჭირო და მნიშვნელოვანია.

აღზრდის, სწავლების, ზოგადად განათლების მთავარ მიზნად სათნოებათა სწავლება და შესწავლილი ცოდნის ქცევაში განხორციელება მიაჩნია. შექმნას მათ სათნოებანი ბუნებად და არღარა ენებოს კეთილისაგან მილევად, რაჟამს ჩვეულება სათნოების მიმართ მიჰზიდვიდეს... (წმინდა იოანე ოქროპირი განმარტება იოანეს სახარებისა. გამოცემული მხ.შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქციით, თბილისი 1993. გვ. 24).

სწავლა ადვილი არ არის, მაგრამ ნაყოფი ტკბილიაო - გვარიგებს წმინდა მოძღვარი სასასა ჩვენსა მწარედ ჩნდის წამალი იგი სწავლისაი, არამედ გვიხაროდენ, რამეთუ უკანასკნელ ფრიად ტკბილი ნაყოფი მოგვუეცეს ჩვენ.(წმინდა იოანე ოქროპირი "განმარტება იოანეს სახარებისა".გამოცემული მხ.შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქციით, თბილისი 1993. გვ.105).

სწავლისა და აღზრდის საფუძველი ოჯახია. მრავალთაგან ნაშრომში განვიხილავთ წმინდა იოანე ოქროპირის "ბავშვთა აღზრდის შესახებ", რომელიც დაბეჭდილია წიგნში "სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა", წიგნი I, თბილისი, 1990.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები მშობლების შვილების აღზრდისადმი მოვალეობის გაცნობიერება, კეთილად აღზრდის გზების აქტუალურია დღეს. საუკუნეების წინანდელი სწავლება უკეთ რომ გავითავისოთ, გადავწყვიტე ტექსტში დაახლოებით ზუსტად ჩამერთო დიდი წმინდანის ნაშრომი.

მამა ხშირად ყველაფერს აკეთებს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ შვილს ჰყავდეს კარგი ცხენი,ჰქონდეს შესანიშნავი სახლი ან ძვირფასი ადგილ-მამული, მაგრამ სულაც არ ზრუნავს იმაზე, რომ ის ღვთისმოშიშად და კეთილმსახურად აღზარდოს. სწორედ ეს არღვევს ამქვეყნიურ წესრიგს - ის, რომ ჩვენ დაუდევარნი ვართ ჩვენი ბავშვების მიმართ, სიმდიდრეზე ვზრუნავთ მათ სულებს კი არ ვუფრთხილდებით, რაც უკიდურესად უგუნური საქციელია. როგორი უხვი და ძვირფასიც არ უნდა იყოს სიმდიდრე, თუ ადამიანს არ ძალუძს მისი სათნოდ გამოყენება, გაქრება და დაიღუპება მასთა ერთად, და მის მფლობელს უდიდეს ზიანს მიაყენებს, ხოლო თუ კაცი კეთილმსახური და სიბრძნისმოყვარე იქნება, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი შეაგროვა, ღმერთი მას ყოველივეს სათნოდ მოახმარს. ამრიგად, იმას კი არ უნდა მივსდიოთ, რომ შვილები ოქრო-ვერცხლითა და სხვა მათი მსგავსი საგნებით გავამდიდროთ, არამედ უდა ვეცადოთ, ისინი კეთილშობილებით, სიბრძისმოყვარებითა და სათოებებით იყვნენ უმდიდრესნი, რათა ზედმეტს არაფერს საჭიროებდნენ და ამქვეყნიური საგნებითა და სურვილებით არ მოიხიბლონ. საჭიროა გულმოდგინედ ვადევნოთ თვალი მათ საქციელს, მათ მოქმედებასა და ნაცნობთა წრეს, - იმ რწმენით, რომ ამ საქმეში დაუდევრობას ღმერთი არ გვაპატიებს. თუ ჩვენ მოყვასზე ზრუნვისთვის ვაგებთ პასუხს, - "ნუ ვინ თავისისა ხოლო ეძიებს, არამედ მოყუასისაცა თვითოეული" (I კორ. 10,24), - უფრო მეტად არ ვაგებთ პასუხს ბავშვთა აღზრდაზე? განა შენი შვილი თავიდანვე შენთან არ დავამკვიდრე? - გკითხავს უფალი; არ დაგადგინე მის მოძღვრად, მზრუნველად და პატრონად? განა სრული ძალაუფლება არ მოგეცი მასზე: ჩვილ ასაკში გიბრძანე მისი ჩამოყალიბება და წარმართვა! რა გამრთლება შეიძლება გქონდეს შენ,თუ კი არ შეისმინე უფლის ბრძანება?რას იტყვი შენ? - იმას, რომ იგი აულაგმავი და ჯიუტია? ეს დასაწყისში უნდა გაგეთვალისწინებინა, როდესაც იგი ნორჩი იყო და აღსაზრდელად ადვილი. უნდა აგელაგმა, გულმოდგინედ გესწავლებინა თუ რა ევალებოდა, გამოგესწორებინა და დაგესაჯა სულიერი მანკიერებების გამო. ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ, სათუთ ასაკში ის უფრო ადვილი მოსაცილებელი და მოსაშუშებელია, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდნენ და არ გახდნენ ძნელად გამოსასწორებელნი. ამიტომ ამბობს ბრძენი:

არიან თუ შენდა შვილნი, სწავლენ იგინი და მოუდრიკენ სიყრმითგან ქედნი მათნი (ისუ ზირაქი. 7,25). უფალი არამხოლოდ გიბრძანებს, არამედ თავად გეხმარება ამ საქმეში. როგორ და რანაირად? - "ბოროტის მეტყველი მამისა ანუ დედისა თვისისაი სიკვდილით მოკუდეს"(გამ. 21,17). ხედავ, რა შიში ჩააგონა მან ბავშვებს? რა საფრთხეს აგარიდა? რა ძლიერი გახადა შენი ძალაუფლება? როგორი გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ თავს, თუკი თვით უფალი არ ზოგავს ბავშვების სიცოცხლეს, როცა ისინი ჩვენ შეურაცხვგვყოფენ, ხოლო ჩვენ ისიც არ გვინდა, რომ ვუსაყვედუროთ მათ.

ასე რომ, ნუ ვიქნებით უზრუნველნი, რადგან ვიცით, რომ ღვთისადმი კეთილგანწყობილი ბავშვები ამ ცხოვრებაშიც მართლები და კეთილგანწყობილნი იქნებიან. სათნოდ და მოკრძალებულად მცხოვრებ ადამიანს, თუნდაც ყველაზე ღარიბს, პატივს სცემენ და აღიარებენ, ხოლო უზნეო და გარყვნილი კაცი ეზიზრებათ, რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყოს იგი. კარგი შვილი არა მარტო სხვებისგან დაიმსახურებს პატივისცემას, არამედ შენთვისაც - მშობლისთვისაც კარგი და თავაზიანი იქნება, რადგან გარდა მშობლის მიმართ ბუნებრივი გრძნობისა, მას გაუჩნდება არანაკლები სიყვარული, რომლის წყაროც იქნება სიკეთე. ის არა მარტო თავაზიანი, არამედ უფრო სასარგებლო გექმნება შენ, რამეთუ პატივს მოგაგებს, მოგემსახურება და თანადგომას გაგიწევს სიბერეში.ურწმუნო შვილები მშობლებსაც უდიერად ექცევიან, ხოლო მოკრძალებულნი ღვთის მიმართ - მოწიწებით ეპყრობიან მათ. იმისათვის , რათა განმართლდე ღვთისა და ხალხის წინაშე, სასიამოვნო გახადო შენი ცხოვრება და სასჯელს თავი აარიდო, ყოველნაირად იზრუნე შენს შვილზე. ამ საქმეში დაუდევარნი, სხვა ყველაფერში წესიერები და ზომიერებიც რომ იყვნენ, მაინც საშინლად დაისჯებიან. ამის დასამტკიცებლად მოგიყვებით ერთ უძველებს ამბავს: იუდეველებს ჰყავდათ ერთი მღვდელი, ყოვლითურთ წესიერი და ზომიერი კაცი, სახელად ელი. მას ჰყავდა ორი ვაჟი,რომლებიც მეტად უზნეო იყვნენ. იგი არ აკავებდა და არ თოკავდა მათ, უფრო სწორად მართალია ამას ცდილობდა, მაგრამ არა სათანადო გულისხმიერებითა და ძალით. მაშინ, როცა მათი გამოსწორებისთვის გაწკეპვლა, სახლიდან გაგდება და ყველა ზომის მიღება იყო საჭირო, ელი მხოლოდ ასე ურჩევდა და არიგებდა : ნუ ეგრე შვილნო! არა კეთილ არს ამბავი ესე, რომელი მესმის თქვენთვის (I მეფ. 2,24). რას ამბობ შენ? მათ

ღმერთი შეურაცხყვეს, ხოლო შენ შვილებს უწოდებ? ამიტომაცაა ნათქვამი, რომ ელიმ შვილები სათანადოდ არ დაარწმუნა. დარწმუნება კი იმას ნიშნავს, თუ ჩვენ არამხოლოდ ვურჩევთ, არამედ გადამწყვეტ, ძლიერ ჭრილობასაც მივაყენებთ ავადმყოფის დაჩირქებულ ადგილს, რათა იგი სრულად განიკურნოს. მხოლოდ დარიგება არაა საკმარისი, საჭიროა ბავშვს უდიდესი შიში ჩაუნერგო, რათა მისი ყმაწვილური უზრუნველობა აილაგმოს. ასე, რომ რადგანაც ელი შვილებს მხოლოდ რჩევებს აძლევდა და სათანადოდ არ არწმუნებდა, ამიტომ უფალმა მტერს მათზე ძლევა მისცა და ისინი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ. ელიმ ამის გადატანა ვერ შეძლო და თვითონაც გარდაიცვალა. ხედავ, რა სამართლიანად ვთქვი, რომ მამები შვილთა მკვლელი ხდებიან, რადგან უმკაცრეს ზომებს არ მიმართავენ დაუდევარი ბავშვების მიმართ და ღვთისადმი კეთილმოშიშებას არ ითხოვენ მათგან. ასე გახდა ელი საკუთარი შვილების მკვლელი.მართალია მისი შვილები მტრებმა დახოცეს, მაგრამ დანაშაული მას მიუძღვის, რადგან თავისი დუადევრობით მათ ღვთის შეწევნა მოაკლო და დაუცველნი და უსუსურნი დატოვა ისინი.შვილებთან ერთად მან თავიც დაიღუპა.

დღევანდელი მშობელიც იგივე მდგომარეობაშია: არ სურს უზნეოდ მცხოვრები შვილების მხილება, არც გაწკეპვლა და სიტყვიერი დასჯა. მამები ხშირად ხედავენ შვილების მძიმე დანაშაულს. ამის გამო მათ ასამართლებენ და სიკვდილით სჯიან. როდესააც შენ არ მოძღვრავ და არ სჯი მათ, ისინი უზნეო და გარყვნილ ადამიანებს ეკედლებიან და მათ უპატიოსნო საქმეში მონაწილეობას იღებენ , რისთვისაც საერთო კანონებით გაიკითხებიან და ყველას თვალწინ ისჯებიან. როდესაც შვილის სიკვდილში დამნაშავე მამა თითით საჩვენებელი ხდება და საკრებულოში შესვლა ეკრძალება, მხოლოდ მაშინ უჩნდება სირცხვილის გრძნობა. როგორ უნდა გაუსწოროს მან თვალი შემხვედრთ შვილის ამგვარი უწესო და უპატიოსო საქციელის შემდეგ? ამიტომ გთხოვთ და გემუდარებით, უდიდესი მზრუნველობით მოეპყროთ ბავშვებს და გამუდმებით იღვაწოთ მათი სულის გადარჩენისთვის. წარმოიდგინე , რომ სახლში გაქვს ოქროს ქანდაკებები - შვილები. ყოველდღე გულდასმით შეამოწმე და მოაწესრიგე ისინი, ყოველნაირად შეამკე მათი სულები. მიბაძე ნეტარ იობს, რომელიც იმ შიშით, რომ მის შვილებს ფიქრშიდაც კი არ შეეცოდათ, ღმერთს მსხვერპლს სწირავდა და უდიდეს

მზრუნველობას იჩენდა მათდამი; მიბაძე აბრაამს, რომელიც საღვთო მცნებებისთვის იღვწოდა და არა სიმდიდრის შეძენისთვის, რათა შთამომავლობაში უფლის სიტყვის ზედმიწევნითი შესრულების სურვილი ჩაენერგა. უფალი ამ სათნოებაზე მიუთითებს, როდესა ამბობს: ვითარ მსჯავრისა (დაბ. 18).

სიცოცხლეშიც და სიკვდილის წინაც ჩვენს შვილებს უნდა ვუთხრათ და ჩავაგონოთ, რომ უდიდესი სიმდიდრე, უხრწნელი მემკვიდრეობა და მარადიული საგანძური არის შიში ღვთისა. უნდა ვეცადოთ, რომ მათ დავუტოვოთ არა წარმავალი ქონება, არამედ ღვთისმოსაობა მტკიცე და შეურყეველი. თუ შენ შვილს კარგად აღზრდი,ისიც ასევე კარგი მშობელი იქნება და მისი აღზრდილიც ამასვე გააგრძელებს. ამგვარად წარმოიქმნება ჯაჭვი მშვენიერი ცხოვრებისა და გაგრძელდება მარად, რომელსაც სწორედ შენმა შთამომავლობაზე ზრუნვამ ჩაუყარა საფუძველი. მამები რომ გულისხმიერებით ეკიდებოდნენ აღზრდის საქმეს, მაშინ საჭირო არ იქნებოდა კანონები, სასამართლოები, სასჯელები, არც წამებანი და სახალხოდ სიკვდილით დასჯანი, მართალსა სჯულ არა უძს - ამბობს მოციქული (Iტიმ. I),მაგრამ , რადგანაც ჩვენ მათთვის სათანადოდ არ ვიღვწით, ამიტომაც უდიდეს განსაცდელში ვაგდებთ, ჯალათებს ვაძლევთ ხელში და ხშირად უფსკრულისაკენ ვუბიძგებთ. სათნო მყოფელი ძისა შეაკრავს წყალობასა მისსა (ისუ ზირაქი, 30,7). რას ნიშნავს “სათნომყოფელი”? - მოსიყვარულეს, მიმტევებელს, ზედმეტად მზრუნველს. ის კი საჭიროებს მკაცრ მოპყრობას, ყურადღებასა და მშობლისადმი შიშს. ამას იმისთვის არ ვამბობთ, რომ ულმობელნი ვიყოთ შვილების მიმართ, არამედ იმისთვის, რომ მათ აბუჩად არ აგვიგდონ. თუკი ცოლს უნდა ეშინოდეს ქმრისა, შვილს - მითუმეტეს. ყოველი მანკიერება ჩვენივე უზრუნველობის გამო იბადება, რადგან თავიდანვე, პირველი წლებიდანვე, შვილებს ღვთისმოშიშებას არ ვაჩვევთ. ვზრუნავთ და ვიღვწვით, რომ მათ გარეგნული განათლება მივაღებინოთ, ვგზავნით სამხედრო სკოლაში სასწავლებლად, მაგრამ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ისინი ანგელოსთა მეუფისთვის იყვნენ სასარგებლონი. სანახაობაზე წასვლის უფლებას ხშირად ვაძლევთ, ხოლო ეკლესიაში სიარულს არასოდეს არ ვაიძულებთ. ბავშვი ტაძარში ერთი-ორჯერ კიდეც რომ მივიდეს, მაინც ამაო და უსარგებლოა მისი იქ ყოფნა, რადგან იგი ამით მხოლოდ ერთობა. არა, ასე

არუნდა იყოს, არამედ როგორც სასწავლებელში მოსიარულე ბავშვს ვთხოვთ ნასწავლის ანგარიშს, ასევე უნდა მოვიქცეთ, როცა მათ ეკლესიაში ვგზავნით. უმჯობესი იქნება, თუკი ჩვენ მივიყვანთ მათ ტაძარში, რადგან სხვებს კი არ უნდა ვანდოთ ისინი, თვითონვე უნდა მოვთხოვოთ დაიმახსოვრონ მოსმენილი და ნაქადაგები. ბავშვების გამოსწორება ამგვარად ადვილი და მოსახერხებელი იქნება, რადგან თუ ისინი ჩვენგან სახლშიც მოისმენენ კეთილგონიერ რჩევებს, მაშინ ეკლესიაში და სახლში მიღებული მოძღვრება ერთმანეთს შეავსებს და უმალ გამოიღებს კეთილ ნაყოფს. ჩვენ კი ასე არ ვიქცევით, ამ მეტად საჭირო საქმეს ზერელედ ვეკიდებით და საკმარისია, ვინმემ ამაზე მიგვითითოს, რომ გვეცინება.ამიტომაც დაკნინდა ყველაფერი და ვისაც მშობლები არ სჯიან, მათ საერო კანონები ასამართლებს.

მითხარი, ნუთუ შენ არ წითლდები და არ გრცხვენია, როცა შენს შვილს არიგებს და სჯის მოსამართლე და სხვისი გამოსასწორებელი ხდება ის, ვინც თავიდანვე შენთან ცხოვრობდა?როგორ არ იმალები? როგორ ბედავ შენს თავს უწოდო მამა, როცა არ აიძულე უკეთესად მოქცეულიყო და ამით უღალატე კიდეც, რადგან მის გამოსასწორებლად ყოველგვარ საშუალებას არ მიმართე და უურადღებოდ დატოვე, როცა იგი ყოველგვარი ბიწიერებით იხრწნებოდა? თუ დაინახე, რომ ვიღაც გამოქცეული მონა შენს შვილს სცემს, განა არ განრისხდები ან არ აღშფოთდები და მძვინვარე მხეცივით არ დააცხრები მას? ხოლო იმის შემყურეს, თუ სატანა დღითი-დღე როგორ სძლევს მას, როგორ ითრევენ ეშმაკები ცოდვებში, შენ გძინავს, არ განიცდი და არ ცდილობ შვილი მძვინვარე მხეცს გამოსტყუო. ასევე, თუ იგი ავი ზნითაა შეპყრობილი,შენ წმინდანებთან მიიჩქარი, რომლებიც მიუვალ ადგილებში ცხოვრობენ და ითხოვ შვილის განკურნებას. ხოლო თანდათანობით რომ იპყრობს მას ცოდვა, ყოველგვარ ცოფზე უარესი, ამაზე სულაც არ სწუხხარ? ამასთანავე, სიშმაგე იმდენად მავნებელი არ არის, რადგანაც ეშმაკს არ შეუძლია ჩაგაგდოს გეენიაში. თუ ჩვენ ფხიზლად ვიქნებით, მადლობით მივიღებთ და გადავიტანთ ბოროტის ამგვარ თავდასხმას, მაშინ ეს განსაცდელი დიდების გვირგვინით შეგვამკობს.

ამრიგად, მეოთხე საუკუნეში მოღვაწე წმინდა იოანე ოქროპირი თავის ნაშრომში “ბავშვთ აღრდის შესახებ” მშობლების, განსაკუთრებით მამის, წინაშე აცნობიერებს მის

პასუხისმგებლობას შვილების აღზრდის წინაშე.უპირველეს საზრუნავად მათი სულის კეთილშობილებით, სიბრძნისმოყვარეობითა და სათნოებებით გამდიდრება დავსახოთ.

გასათვალისწინებელია, რომ აღზრდა ადრეულ ასაკშივე დავიწყოთ, "ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდეს და არ გახდეს ძნელად გამოსასწორებელი.

გთხოვთ, გემუდარებით, უდიდესი მზრუნველობით მოეპყარით ბავშვებს და გამუდმებით იღვაწეთ მათი სულის გადარჩეისთვის, შენ ხარ მოძღვარი მთელი ოჯახისა, და შენ ჩაგაბარა უფალმა ცოლიცა და შვილებიც - მიმართავს წმინდანი მამებს.

მშობელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა სხვისი გამოსასწორებელი არ დარჩეს ის, რაც მას ადრიდანვე შეეძლო გამოესწორებინა თავის შვილში და ამით უღალატა კიდეც მას.

წმინდა იოანე ოქროპირი მშობლებს არიგებს: უკეთესი იქნება თუ შევაკავებთ, ავლაგმავთ, ვურჩევთ, დავარწმუნებთ, შევაშინებთ, ვუსაყვედურებთ და განვდევნით იმ სენს, რომელიც კეთილად აღზრდას აბრკოლებს.

სასარგებლოა ეკლესიაში მისვლა, ქადაგებების მოსმენა, დამახსოვრება, რომელსაც შეავსებს სახლში მოსმენილი კეთილგონიერი რჩევებით და უმალ გამოიღებს კეთილ ნაყოფს.

საჭიროა გავითვისოთ შეგონება: განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა (ეფეს. 6,4). ეს არის უპირველესი და უმაღლესი სათნოება

§ 7. მშობლის დალოცვა არის ბედნიერების მომაპოვებელი

ოჯახი ერის სიმტკიცეა. შვილთ მრავლობა ერის სიძლიერეა. 2007 წლის 17 დეკემბერს წმიდა სამების ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მთელი საქართველოს გასაგონად ბრძანა: თუკი მშობლები მოისურებენ, განურჩევლად ეროვნებისა, მათი მესამე შვილის ნათლია მე ვიქნებიო. ეს სიტყვები გახდა დასაბამი ქართულ ოჯახებში შვილების მატებისა. დიდებული ნათლია ჰყავთ ოჯახში არამხოლოდ მესამე, არამედ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე შვილებს.

ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებს ვრცელი ადგილი უჭირავს საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ქადაგებებში. ეს არის ოჯახში სიყვარულის შენარჩუნების, შვილების აღზრდაზე პასუხისმგებლობის, დედისა და მამის მოვალეობის, სოციალური ვითარების გამო ოჯახებში შექმნილი მატერიალური და სულიერი პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობანი. ტრადიციული ოჯახური აღზრდისა და ბიბლიური სწავლების შეგონებებით არიგებს, ურჩევს, ასწავლის მშობლებს ოჯახში ბავშვთა აღზრდის მნიშვნელობას ოჯახის, ერისა და ქვეყნისთვის.

შემოგთავაზებთ ამონარიდებს ქადაგებებეიდან. ... უნდა ვიფიქროთ, თუ რა მოვალეობა აკისრია ჩვენს ცხოვრებაში ქალს, როგორია მისი როლი. ამ ბოლო XX საუკუნეში და უფრო ადრეც ერთმანეთს გაუთანასწორეს მამაკაცები და ქალები. თითქოს კარგი გააკეთეს ქალისთვის, სინამდვილეში კი ეს ძალიან ცუდია. ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ ქალი გამოვიდა ოჯახიდან. ოჯახს გაუჭირდა, კაცის ხელფასი უკვე აღარ ჰყოფნით და იძულებულნი არიან ქალმაც იმუშაოს. მთავარი მოვალეობა დედისა, ღვთის ლოცვა-კურთხევა, რომელიც ქალს მიეცა, - ეს არის შვილების გაჩენა და გაზრდა. გაიხსენეთ ჩვენი წინაპრები, თუნდაც ძმები

ხერხეულიძეები. მაშინ დედები გმირებს ზრდიდნენ, ბავშვობიდან უნერგავდნენ სამშობლოსათვის თავდადებას და მათ იცოდნენ, თუ საჭირო გახდებოდა, იგი მამულს უნდა შეწირვოდა.

დღეს კი მოხდა ის, რომ ქალი გამოვიდა ოჯახიდან და კერა გაცივდა, ჩაქრა; სითბო აღარ არის ოჯახში და ბავშვები უპატრონოდ დარჩნენ. მათ დღეს ქუჩა ზრდით. ჩვენ გვინდა, რომ კარგი მომავალი გვყავდეს და როგორ იქნება კარგი მომავალი, თუკი ქუჩაში გაზრდილი ბავშვები გვეყოლება? არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ ჩვენ წინაშე დგას ერთი დიდი საკითხი - ეს არის შვილების აღზრდა.

განათლების სამინისტრო და სკოლების ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ბავშვის აღზრდა ოჯახში უნდა მოხდეს. ოჯახში ეს ვერ ხერხდება, რადგან მშობლები მთელი დღე სამსახურში არიან. ვფიქრობ, რომ ისეთი სამი რგოლი, როგორიცაა ოჯახი, სკოლა და ეკლესია - ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და სამივე ადგილზე უნდა ხდებოდეს ბავშვების აღზრდა. აი, ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ქალის როლი - ღვთის სამშობლოსა და ერის წინაშე; და უფრო საპასუხისმგებლო, ვიდრე მამაკაცის.

თქვენ იცით, როგორ იზრდებოდნენ ბავშვები წარსულში. როგორც კი ბავშვი ცოტათი წამოიზრდებოდა, უკითხავდნენ ზღაპრებს, ლექსებს. მას უკვე უყვარდა წიგნი. ყოველივე ეს არამარტო განათლებას, არამარტო ინტელექტუალურ ძალას აძლევდა, არამედ დიდ სულიერებას სძენდა. როგორი დიდებული წიგნები შეადგინა ბავშვებისთვის ჩვენმა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა?! აი, ამ წიგნებზე უნდა აღიზარდოს ჩვენი ბავშვები. ჩვენი სასახელო ისტორიული წარსულიც სწორედ სწორი აღზრდის შედეგი იყო; სწორი აღზრდის შედეგი იყო, რომ ქალები კაცების გვერდით იბრძოდნენ და გმირობას იჩენდნენ…

ძალიან სერიოზულად უნდა ვიფიქროთიმაზე თუ როგორ აღვზრდით ჩვენს შვილებს.

11.05.2003

უპირველეს ყოვლისა საქართველო სულიერ საუნჯეზე ზრუნავდა და არა მატერიალურზე. სწორედ სულიერი საუნჯეა ჩვენი ქართველობა, მართლმადიდებელი სარწმუნოება, ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები, მტკიცე ქართული ოჯახი, ტრადიციული ქართული ურთიერთდამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის. შვილი არსდროს არაფერს აკეთებდა მშობლის ლოცვა-კურთხევისა და ნებართვის გარეშე. საქართველოში ყველა ცდილობდა ისე ეცხოვრა, რომ დაეცვა ის ათი მცნება, რომელიც უფალმა კაცობრიობას მისცა. და ყველაზე მეტად ჩვენი წინაპრები იუნჯებდნენ რწმენას, მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

13.11.2003.

“იგავი უძღები შვილის შესახებ”...- ეს არის იგავი ოჯახურ ცხოვრებაზე და ის პრობლემა, რომელზეც საუბარია ამ იგავში, ყოფილა, არის და იქნება ყველა ოჯახში. ის გახლავთ პრობლემა მამათა და შვილთა ურთიერთობისა, თაობათა ურთიერთობისა, რომელიც ყოველთვის რთული იყო და დღეს კიდევ უფრო მეტად გართულდა. მაგრამ სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ადამიანის ბედნიერებისა, ადამიანის მეორე ადამიანთან თანხმობისა, ერთსულოვნებისა. თუ ადამიანი თავის ოჯახის წევრთან ვერ მოახერხებს ერთობას, ერთად ცხოვრებას,ძნელია მისთვის სხვასთან იპოვოს საერთო ენა.

…შეგახსენებთ ამ იგავის შინაარსს: ერთ ოჯახში მამას ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა მამისეული ოჯახიდან წასვლა და დამოუკიდებლად ცხოვრება განიზრახა.ერთი შეხედვით, თითქოს ამაში ცუდი არაფერია, - პიროვნება ფიქრობს დამოუკიდებლობაზე, თავისი პირადი ცხოვრების მოწყობაზე. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კარგია, როდესაც ადამიანი ამას მშობლის ლოცვა-კურთხევით აკეთებს, როდესაც მშობელი იწონებს მის განზრახვას, მის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში იყო საპირისპირო შემთხვევა,

როდესაც შვილმა მამის რჩევის გარეშე, თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტაეს. ამის მიზეზი კი გახლავთ, რომ მას ემძიმებოდა მამის ოჯახში ცხოვრება. როგორც ჩანს, მას უჭირდა იმ მოვალეობების შესრულება, რომელიც ოჯახში ეკისრებოდა, რადგან მისი ბუნება თავისუფლებას სთხოვდა.მაგრამ ეს თაცისუფლება არ იყო სათნო ღვთისათვის, ეს იყო თავისუფლება, რომელიც მას სჭირდებოდა თავისი ადამიანური ვნებების, ანუ ცოდვების დასაკმაყოფილებლად. რადგანაც მან პირდაპირ განაცხადა მამის წინაშე, რომ სურდა მამისგან მიეღო თავისი წილი ქონებისა; ეს ნიშნავს, რომ იგი, ფაქტობრივად, გაემიჯნა ოჯახს. მიუხედავად ამისა, მამას საყვედური არ უთქვამს, მან თავისი წილი გამოუყო შვილს და გაუშვა. მგავის ბოლოს ჩანს, როგორ დარდობდა მამა. თუმცა აოცარი კეთილშობილება გამოიჩინა მან, როცა ხელი არ შეუშალა შვილს, განზრახვა აესრულებინა.როცა შვილი ასე თვითდაჯერებულია , ძნელია, მამის შეგონება გაიგონოს და ამიტომ არ ეწინააღმდეგება მას და აძლევ საშუალებას, თვითონ დარწმუნდეს თავისი არჩეული გზის სიმცდარეში.რამდენიმე დღეში შვილი ტოვებს ოჯახს.ის განეშორება მამის სახლს და გამოჩნდება, რომ იგი თაავისუფლებას ეძიებდა არა შემოქმედებითი, სულიერი ამაღლებისთვის, არამედ თავისი მიწიერი ვნებების დაკმაყოფილებისთვის. ა წერია, რომ სულ მოკლე ხანში უცხო ქვეყანაში მან მთლიანად გაფლანგა თავისი ქონება, რამეთუ ცხოვრებდა არაწმინდებით, ანუ უწმიდურად.რასაკვირველია, იგი სრულად დაეცა - სულიერადაც და ფიზიკურადაც.იმ ქვეყანაში სიყმილი იყო, აუ შიმშილი და ამიტომ ამ გაჭირვებაში ჩავრდნილი კაცის მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაუარესდა.და როდესაც გამოსავალი უკვე აღარ ჰქონდა, მან სცადა მოჯამაგირედ დადგომოდა ერთ კაცს და ღორების მწყემსვა დაიწყო.ხშირად იმდენად მშიერი იყო, რომ ღორების საჭმელიც კი ენატრებოდა.ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს უკვე დაკარგული აქვს ყოველგვარი ადამიანური ღირსება.ასეთ დროს, შეიძლება კიდევ უფრო უარესი დაემართოს კაცს, შეიძლება კიდევ უფრო მეტად უბიძგოს ბოროტმა ძალამ ცოდვისკენ.იგი არის უკვე კრიტიკურ ზღვართან.აქამდე მისი დაცემები იყო თავისი სულის, ხორცის საზიანოდ;მაგრამ თქვე იცით, როცა ადამიანი ცხოვრებისგან ძალიან დიდ ტკივილს იღებს, შეიძლება მასში დაიბადოს კიდევ უფრო დიდი ბოროტება, ამ შემთხვევაში იგი მარტო თვის თავს კი არ აზიანებს, არამედ სხვა ადამიანის მიმართაც

შეიძლება გაბოროტდეს, გახდეს ბოროტი ძალის მატარებელი და მისი საქმის მკეთებელი.აი, სწორედ ამ ზღვართან იყო ძე მისული.და აქ ხდებაუმნიშვნელოვანესი მოვლენა.სახარებაში წერის, რომ იგი გონს მოეგო.რას ნიშნავს "გონს მოეგო"? ეს იმას ნიშნავს, რომ მან გაიაზრა, რა იყო მიზეზი მისი ტრაგედიისა, მისი გაჭირვებისა.გონს რომ არ მოგებულიყო, მაშინ მისი დაცემა გაგრძელდებოდა.მაგრამ იგი მიხვდა: "მამაჩემის სახლში მოჯამაგირეები უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე მე ვარ ახლა.წავა მამაჩემის სახლში და ვეტყვი: მამა, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა ვარ ღირს, რომ ვიწოდო შენი შვილი, არამედ მიმიღე როგორც ერთი მსახურთაგანი."ეს გონების განათება არის დიდი სათნოება, ეს არის სწორედ სინანული და ამ სინანულისა და სათნოებისთვის ღმერთმასაოცარი წყალობა მოიღო ამ ადამიანზე.და მე მინდა გითხრათ, რომ სინანული არის გმირობა.გმირობა, იმიტომ, რომ სინანული ძნელია.თუ ადამიანი აჰყვა თავის დაცემულ ბუნებას, ანუ თავის ამპარტავნებას, საკუთრ ვნებებს, საკუთრი ნების აღსრულებას, მიენდო თავის გონებას, თვის ძალებს, - მან ძალიან ძელია აღიაროს, რომ ყოველი, რაც მოხდა მის ცხოვრებაში, მისივე ბრალი იყო.უძღებმა შვილმა ყველაფერი დაკარგა, რადგან თავის დროზე უარი თქვა მამის ოჯახში ცხოვრებაზე, მამის მორჩილებაზე, ანუ ურჩობა იყო მთავარი მიზეზიამ ტრაგედიისა.ამპარტავნება იმდენად მძიმე ცოდვაა, რომ ზოგჯერ ადამიანს ურჩევნია იტანჯოს, იწვალოს, ვიდრე აღიაროს, რომ თავისი უბედურება თავისივე ბრალია.ასე ხშირად ხდება... უძღებმა შვილმა კი გაიმარჯვა საკუთარ თავზე, საკუთარ ამპარტვანობაზე.

სინანულის სათვე არის სიმდაბლე, აღიარება იმისა, რომ ადამიანში არ არის საკმარისი ძალა იმისთვის, რომ მან ამ ცხოვრებაში დაძლიოს ბოროტება.ამისთვის მას აუცილებლად სჭირდება ახლობლების თანადგომა, უოირველეს ყოვლისა, მშობლებისა, რადგანაც მშობლები არიან სახე უფლისა.მშობლის ლოცვა-კურთხევა უფლის კურთხევაა.ამიტომაცაა, რომ ათი მცნებიდან ერთ-ერთი, მეხუთე მცნება, გვეუბნება: პატივეც მამასა და დედასა შენსა, რათ კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა".სწორედ ეს არის აუცილებელი პირობა, რომ ადამიანი მიენდოს თავის მშობელს.მშობლის დალოცვა კი არის სახე ღვთაებრივი ლოცვა-კურთხევისა, ადამიანი უნდა მიენდოს უფალს და ასევე მშობელს, როგორც უფალს.

23.02.2003.

მინდა, რომ თქვენს ოჯახებში არ ისმოდეს ხმამაღალი, ცუდი სიტყვა, უხეში მიმართვა, არამედ სუფევდეს მშვიდობა და ერთსულოვნება.ჩემს ბავშვობაში არ მახსოვს, დედაჩემს ან მამაჩემს ჩემთვის დაეყვირებინა ან თნდაც ხმამაღლაეთქვათ რამე.და ამან ძალიან დიდი გავლენა იქონია ჩვენზე.გაიხსენეთ მცნება ღვთისა: პატივ ეც მამასა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა. აი, თურმე რაზეა ადამიანის ბედნიერება დამოკიდებული!..

შენს მშობელს მეტი გამოცდილება აქვს, უნდა დაუჯერო.უნდა გახსოვდეს, რომ მათ გაგზარდეს, დაგაყენეს ფეხზე, გასწავლეს.არსებობს ერთი მშვენიერი ქრისტიანული წესი: ადამიანი დილით რომ გაიღვიძებს, ადგება თუ არა, მიდის დედასთან და მამასთან და ეუბნება: “დამლოცეთ, ჩემო საყვარელო მშობლებო და როცა კურთხევას მიიღებს, ხელზე ემთხვევა.თქვენც, როგორც მოძღვარს, ისე ემთხვიეთ ხოლმე თქვენს მშობლებსაც ხელზე.ეს უფლის მაკურთხეველ ხელზე ამბორის სიმბოლური განსახიერებაა.გაახარეთ ხოლმე თქვენი მშობლები, ერთი კანფეტი რომ მიაწოდოთ მათ, გულით დაგლოცავენ.ამიტომ ჩემი სიტყვები მინდა მიიღოთ, როგორც ლოცვა-კურთხევად: დილით რომ მოწესრიგდებით, მიდით დედასთან და მამასთან, ემთხვიეთხელზე და უთხარით - დამლოცე, დედა!, დამლოცე, მამა! გახსოვდეთ, რომ მათი ლოცვა არის ღვთის ლოცვა-კურთხევა და ბედნიერების მომაპოვებელი.

01.01.07.

წარმოიდგინეთ მცირე სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ოჯახს ვუწოდებთ.ბოლო წლებში ხშირადაა საუბარი იმის შესახებ, რომ ცოლ-ქმარი თავისი უფლებებით თანასწორი უნდა იყოს.საღვთო წერილში კი წერია, რომ მამაკაცი არის თავი ოჯახისა.უნდა ვიცოდეთ, რომ თანასწორობა სპობს და ანადგურებს საზოგადოებას.ჩვენ რომ გადავხედოთ ძველ ფილოსოფიას, თუნდაც ქრისტიანობამდელს, - ძველ

აღმოსავლურ ფილოსოფიას - იგი დამყარებულია იმაზე, რომ უმცროსმა პატივი უნდა სცეს უფროსს, მათ შორის უნდა იყოს ერთსულოვნება და ამით გადარჩება კაცობრიობა.

როდესაც ჩვენ ერთსულოვნებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არა მარტო ადამიანს,არამედ ბუნებასაც.ადამიანსა და ბუნებას შორის უნდა იყოს ჰარმონია, უნდა იყოს გაგება, უნდა იყოს ურთიერთთანადგომა.დღეს ძალიან აქტუალურია ეკოლოგიის პრობლემები; დაბინძურებულია ჰაერი, წყალი, საკვები, - მრავალი გასაცდელი ემუქრება კაცობრიობას.ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ თავისი ცხოვრების წესით დაუახლოვდეს ბუნებას, დაიცვას და გაუფრთხილდეს მას და ეს კეთილ ნაყოფს გამოიღებს მომავალში.

29.10.06.

ამრიგად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ქადაგებებში განფენილი სწავლებანი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ მოიცავს საკითხებს იმის თაობაზე, რომ

- ჩვენს წინაშე დგას ერთი დიდი საკითხი - ეს არის შვილების აღზრდა.
- მთავარი მოვალეობა დედისა, ღვთის ლოცვა-კურთხევა, რომელიც ქალს მიეცა - ეს არის შვილების გაჩენა და აღზრდა.
- ჩვენი წინაპარი დედები გმირებს ზრდიდნენ, ბავშვობიდანვე უნერგავდნენ სამშობლოსათვის თვდადებას, სიყვარულს.
- ძალიან მნიშვნელოვაია ქალის როლი ღვთისა, სამშობლოსა და ერის წინაშე.
- ისეთი სამი რგოლი, როგორიცაა ოჯახი, სკოლა და ეკლესია ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და სამივე ადგილზე უნდამ მოხდეს ბავშვების აღზრდა.
- ბავშვებს უნდა წავუკითხოთ წიგნები, რომელიც არა მარტო ინტელექტუალურ ძალას აძლევს, არამედ სულიერებასაც შესძენს.

- ჩვენი სასახელო ისტორიული წარსულიც სწორი აღზრდის შედეგი იყო.

- ტრადიციის მიხედვით მტკიცე ქართულ ოჯახებში იყო კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის.შვილი არაფერს არ აკეთებდა მშობლის ლოცვა-კურთხევისა და ნებართვის გარეშე.

- სინანულის სათვე არის სიმდაბლე, აღიარება იმისა, რომ ადამიანში არ არის საკმარისი ძალა იმისთვის, რომ მან ამ ცხოვრებაში დაძლიოს ბოროტება, ამისთვის მას აუცილებლად სჭირდება ახლობლების თანადგომა, უპირველეს ყოვლისა, მშობლისა, რადგანაც არიან სახე უფლისა.

- შვილებო, დილით რომ მოწესრიგდებით, მიდით დედასთან და მამასთან, ემთხვიეთ ხელზე და უთხარით: დამლოცე დედა, დამლოცე მამა. გახსოვდეთ, რომ მათი დალოცვა არის ღვთის ლოცვა-კურთხევა და ბედნიერების მომაპოვებელი.

~

§ 8.წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ჩართვა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

წმინდა გაბრილე ეპისკოპოსის ქადაგებებში განფენილ პედაგოგიურ დამრიგებლურ სწავლებათა შორის გამოვყოფთ ოჯახში აღზრდისა და მშობლებისადმი შვილების პატივისცემის პრობლემას.

ზემო აჭარაში ოჯახში აღზრდისა და მშობლებისადმი პატივისცემის ტრადიცია ძველთგანვე მოგვდგამს.დღევანდელი მოსწავლეები მომავალი მშობლები არიან და მათთვის წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა გაცნობა სასარგებლოა.

ნაშრომში ჩავრთეთ ამონარიდები ორი ქადაგებიდან და აქტივობები, რომელთ შესრულება დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ ჩაწვდნენ ქადაგების სწავლებას.აღნიშნული

მასალა გამოვიყენეთ სამ პრაქტიკულ შემთხვევაში. 1. მხოლოდ მოსწავლეებთნ, 2.მოსწავლეთა მშობლებთან, 3.მოსწავლეებთნ და მშობლებთან ერთობლივად.უკეთესი შედეგი მესამე შემთხვევის დროს იყო.

გთავაზობთ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებს.

აღზრდა ოჯახსა შინა პატიოსანსა

წინაპირველად ის უნდა ვთქვათ, რომელ კეთილი შინაური ცხოვრება და პატიოსანი ყოფა-ქცევა თავის საკუთრს სახლში არის საფუძველი ქრისტიანობრივისა ცხოვრებისა და ზნეობისა.ყოველი კაცი თავის სახლში და თვის ოჯახში მიიღებს პირველთა აზრთ და ჩვეულებათა, თვის ოჯახში ისწავლის ცუდსა და კარგსა ყოფა-ქცევას, თავის სახლში შეითვისებს კეთილსა ანუ ბოროტსა ხასიათსა.

თქვენც გეგონებათ, ძმანო ჩემნო, რომ იტყვიან კაცზე: ეს კაცი კარგის ოჯახითგან არისო და თვითონაც კარგი უნდა იყოსო; ანუ ეს კაცი ცუდი სახლითგან არისო და თვითონაც კარგი ვერ იქნებაო.რას ნიშნავს ეს თქმა? მას, რომელ კეთილს, ღვთისმოყვარეს და წმიდას ოჯახში კაცი თვითონაც კარგი გაიზრდება და კარგი კაცი გამოვა, ხოლო ცუდს, გაფუჭებულს სახლში კაცი გაფუჭდება.

მეორედ, კეთილი შინაური ცხოვრება მისთვის არის საფუძველი კეთილისა ქრისტიანობრივისა ზნეობისა, რომელ ქრისტიანე ვერსად ისრე კარგად ვერ აღასრულებს ქრისტეს მცნებას, როგორადაც თავის სახლში.პირველი ქრისტეს მცნება არის სიყვარული მოყვასისა, განა სად შეგიძლიან შენ, ძმაო ჩემო, გამოაჩინო სიყვარული ისრე, როგორადაც შენ სახლში.აქ ნამდვილად დამტკიცდება, თუ როგორი გული გაქვს და თუ ნამდვილად შეგიძლიან შენ შეყვარება მოყვასისა.თუ დედ-მამა შენი ვერ შეიყვარე, თუ ძმები და დები არ გიყვარს, თუ ნათესავებში და მოყვრებში ცუდად ხარ განწყობილი, მაშასადამე როგორღა შეგიძლიან შეყვარება ყოველთა სხვათა მოყასთა შენთა?

კარგი სათნოება არის მოთმინება: მოთმინებითა კაცი თავის სულს აცხოვრებს, გარნა სად შეგიძლიან შენ მიეჩვიო და აღასრულო იგი ისრე, როგორადაც შენს სახლში?

იქ ყოველს დღეს და ყოველს წამს შენ უნდა იქცეოდე მოთმინებითა და სულგრძელად.როდესაც კაცნი ერთი მეორის სიახლოვეს სცხოვრობენ, თუ ერთმა მეორესა ნაკლულევანებანი და შეცდომანი არ დაუთმო და არ მოითმინა, ვერ გასძლებენ ერთად.

დიდი და ფრიად საჭირო არს ყოვლისა კაცისათვის თვის უარის-ყოფა, ესე იგი თავის შეწირვა სხვისათვის;გარნა შენს სახლში ყოველს დღეს გაქვს შემთხვევა აღასრულო ეს სათნოება.აქ დედ-მამანი თვის თვს დაივიწყებდნენ და თავი შესწირონ შვილთა;შვილმა დედ-მამა უნდა შეიყვაროს თავის უმეტესად;ცოლმა თავის თავი უნდა შესწიროს ქმრის სიყვარულსა;ქმარს თავის თავი ისრე არ უნდა ახსოვდეს, როგორც ცოლი და შვილები.

კარგნი არიან: სიწმინდე სულ-გრძელება, სიმშვიდე და სხვანი ქრისტიანობრივი სათნოებანი; გარნა ამათ ყოველთა ვერსად ვერ შეიძენს კაცი ისრე და ვერ დაამტკიცებს, როგორადაც სახლში.

მესამედ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომელ კაცის ხასიათი ისრე ვერსად ვერ გამოსჩნდება, როგორადაც შინაურს ცხოვრებასა შინა.კარგი ხარ შენ, ძმაო, თუ ავი ხასიათითა,იქ შეგეტყობა, შენს ოჯახში.როდესაც შენ უცხოთა კაცთა შორის იქცევი, როდესაც სხვაგანა ხარ, გარეშედ შენისა ოჯახისა, მაშინ შენ ძვირად გამოაჩენ შენსა ნამდვილსა ხასიათსა;როდესაც შენ ელაპარაკები ან საქმე გაქვს უცხო კაცთან, მაშინ შენ იმას ცდილობ, რომ დამალო შენი ნამდვილი ხასიათი და კარგ კაცად ეჩვენო;გარნა შენს ოჯახში ვერ დაფარავ შენ ყოფა-ქცევას და შენს ხასიათს;იქ ყოველს წამსდა ყოველს შემთხვევაში გამოჰჩნდება, კეთილი ხარ თუ ბოროტი.შინაური ცხოვრება არის სარკე, რომელსა შინა ცხადად ამოიხატება ნამდვილი შენი ხასიათი და თვისება.

აჰა, ძმანო ჩემნო, თუ ვითარ დიდი საქმეა შინაური კეთილი ცხოვრება ჩვენი, ქრისტიანეთათვის.სახლი ანუ ოჯახი ჩვენთვის არის მეორე ეკლესია.როგორც ეკლესიაში იქცევი შენ შიშით, ეგრედვე შენ ოჯახში უნდა იქცეოდე სიწმინდით და მორიდებით;ასე უნდა გახსოვდეს, რომ რასაც შენ სახლში იტყვი ანუ იქმ, ის მარტო შენთვის არ არის,

არამედ მრთელისა შენისა სახლეულობისთვის.ყოველი შენი შინაური სიტყვა და საქმე არის თესლი, რომელიც თავის დროზედ გამოიღებს, კეთილსა ანუ ბოროტსა ნაფსა.

თუ შენ ხარ მამა, ანუ დედა და გყვანან ძენი, ყოველი შენი ღონისძიება უნდა იხმარო, რომ იგი გამოვიდნენ კეთილნი და ღვთის-მოყვარენი.გახსოვდეს, რომ იგინი ყოველთვის შენ გიყურებენ და შენგან ისწავლიან ყოფა-ქცევას.როგორადაცა გაზრდი და რასაც მიაჩვევ, ისინიც ისეთნი გამოვლენ.თუ შენ გულ-ფიცხელი კაცი ხარ, ხშირდ ჰყვირი, სჯავრობ ოჯახში, ჩხუბობ, შენი შვილებიც ამას მიეჩვევიან.რისთვის არის, რომ ძმები ერთი მეორესთან ვერა სძლებენ და მაშინვე ცდილობენ გაეყარნონ და თვისად დადგნენ? მისთვის, რომ პატარაობითგანვე დედ-მამამ არ დანერგა მათსა გულში სიყვარული და ერთობა.კეთილი და გონიერი მამა, ვიდრემდის შვილნი არიან წვრილნი, თვითონ უყურებს მათ და ცდილობს, რომ დანერგოს მათს გულში სიყვარული და ერთობა.იგი თვითონვე დაისვამს მათ თავის მუხლზედ, ასწავლის ლოცვებს, შეაგონებს ერთობასა და სიყვარულსა, უყურებს, რა ხასიათი აქვსთ მათ და, ცუდი ყოფა-ქცევა თუ შენიშნა მათში მაშინვე გაუსწორებს და ესრედ ცდილობს, რომ სიყრმითგანვე კარგი ხასიათი მისცეს მათ და კარგს გზაზედ დააყენოს.

შვილს უნდა ჰქონდეს მორჩილება, სიყვარული, მინდობილობა თავის დედ-მამასთან.იმას ყოველთვის უნდა აჰხსოვდეს, რომ, თუ დედ-მამის კურთხევა არ არის მის თავზედ, იგი ბედნიერი არ იქმნება ქვეყანაზედ.დიდი ძალა აქვს და მოქმედება დედ-მამის ლოცვასა და კურთხევასა.

ამონარიდი ქადაგებიდან: პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა.

მაგალითი ისმინეთ.ხომ გაგიგონიათ და იცით, თუ ვითარი დიდი ღვთის მცნება არის ძეთა თვისთა კეთიად აღზრდა და შვილთათვის დედ-მამის პატივისცემა და შენახვა.საღვთო წერილი მრავალ-გზის და მრავალფერად ასწავლის, თუ ვითარითა შიშითა და ერთგულებითა მშობელნი უნდა ჰზრდიდნენ შვილთა თვისთა, თუ ვითარ იგინი ცდილობდნენ, რომ შვილნი მათნი გამოვიდნენ კეთილნი ქრისტიანენი, ღვთის-მსახურნი და ჭეშმარიტების თაყვანისმცემელნი ღვთისა;ეგრეთვე შვილნი როგორ უნდა

პატივსცემდენ მშობელთა თვისთა, ემორჩილებოდენ, ინახავდენ, უვლიდენ.ერთი სიტყვით, ამაზე უკეთესი ღვთისმსახურება და სულიერი თაყვანისცემა ქვეყანაზედ არ იქმნება, როდესაც მშობელნი კეთილად ჰზრდიან ძეთა თვისთა და ძენი პატივს ცემენ და ემორჩილებიან მშობელთა თვისთა;

გარნა რას ვხედავ მე აქ, ამ მონასტერში: განმავლობასა შინა ხუთისა ანუ ექვსისა დღისასა მრავალნი მოვიდნენ ჩემთან მოჩივარნი, რომელთაგან ზოგი უჩივოდა შვილთა თვისთა, რომელ იგინი არ ემორჩილებიან მათ, პატივს არა სცემენ, ჰსურთ განყოფა მათგან და წარსვლა თვისათ;სხვანი უჩიოდნენ დედ-მამათა თვისთა;იყვნენ ზოგნი, რომელნი ამბობდნენ, რომ არ ჰსურთ შენახვა მშობელთა თვისთა.

ერთი სიტყვით, დავინახე მე, თუ ვითარ დარღვეულ-არს საღმრთო ესე კავშირი მამა-შვილობასა შორის მრავალთა დედმამიშვილთა?დავინახე, რომელ, როგორც გამოიზრდებიან ზოგნი შვილნი და ცოლს შეირთავენ, მაშინვე მოსძულდებათ დედ-მამასთან ცხოვრება და ყოფნა;დავინახე, რომლ ზოგიერთნი უღმერთონი შვილნი ჰცდილობენ, რომელ დედ-მამა თავისი აშალონ და წაკიდონ სხვათა შვილთა თანა იმ განზრახვით, რომ მხოლოდ მათ დაშტეს სამკვიდრებელი მშობელთაგან;დავინახე, რომ სხვათა, რომელთამე უღმრთოთა შვილთა ესოდენ დავიწყებიათ ღმერთი და მცნება მისი, რომელ ემძიმებათ და კიდეც სძულსთ შენახვა მოხუცებულთა მშობელთა თვისთა, ხოლო იმავე დროს, როდესაც ამისთანა საშინელს უსჯულოებასა იქმონან, მარხვის დარღვევა ეძნელებათ და მარხის დღეს ხორცს არა სჭამენ.ღმერთო, რა საშინლად დაბნელებულ-არს გონება ჩვენი!პირველსა და უმთავრესსა მხნებასა ვარღვევთ და ნაცვლად მისა ვასრულებთ უმცირესსა და უკანასკნელსა მცნებასა!

პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.ეს მცნება მოგვცა თვით უფალმან ღმერთმან;ამ დიდს და უსაჭიროესს მცნებას ვარღვევთ ადვილად, და რაც ესოდენ საჭირო არ არის, იმას ვასრულებთ.ეს არის ღვთისმსახურება?ეს არის სულიერი თაყვანისცემა ღვთისა?გარნა სხვანიცა მრავალნი მაგალითნი და ჩვეულებანი ჩვენნი ამტკიცებენ, თუ ვითარ შორს ვართ ჩვენ სულიერისა თაყვანისცემისგან;

გარნა ვინაითგან განგრძელდა სიტყვა ჩვენი, აღარ მოვიყვან დღეს სხვათა მაგალითთა;მხოლოდ, უკანასკნელ, გლოცავ თქვენ, ძმაო ჩემნო, გახსოვდესთ მტკიცედ, რომ ღმერთი არს სული უხილავი და სულიერი მსახურება და თაყვანისცემა ჯერ-არს მისდა, ხოლო სულიერი თაყვანისცემა არის კეთილი ყოფაქცევა, სიმართლით და სიწმინდით ცხოვრება.

გთავაზობთ აქტივობების კითხვარს,რომელიც პრაქტიკულად იყო გამოყენებული მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან:

- რას ნიშნავს თქვენთვის სწავლება: ოჯახში ისწავლის ცუდს ან კარგ ყოფაქცევასა.გთხოვთ დაასახელოთ მაგალითი.
- რატომ არის შინაური(ოჯახური)ცხოვრება საფუძველი კეთილის ზნეობისა
- მსჯელობა: კაცის ხასიათი ისე ვერსად ვერ გამოჩნდება როგორც შინაურ ცხოვრებაში.რატომ?
- შვილთა რომელი ქმედებაა მიუღებელი
- წაიკითხეთ ამონარიდები და ჩაწერეთ: როგორ უნდა ზრდიდნენ მშობლები თავიანთ შვილებს
- მსჯელობა: როგორ ფიქრობთ რატომაა მშობელთა პატივისცემა საფუძველი ქვეყანაში (ცხოვრებაში)დღეგრძელობისა,სიმშვიდისა და სიყვარულისა

ამრიგად, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების პირობითი სათაურებია: “აღზრდა ოჯახსა შინა პატიოსანსა” და “პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა” ჩართვა მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით სასარგებლოა.იგი ხელს უწყობს ოჯახში კარგი ყოფაქცევის აღზრდაზე ზრუნვას.გაცნნობიერებას იმისა, რომ ოჯახში, სადაც სუფევს მშვიდობა, ერთობა და სიყვარული, სადაცა მშობლები აჩვენებენ შვილთა თვისთა კეთილთა მაგალითთა, შვილნი ემორჩილებიან და პატივს სცემენ მშობლებს, ოჯახი - სიწმინდით, სიმართლით, სიყვარულით ცხოვრებაა.

შვილების კეთილად აღზრდა და შვილებისგან დედ-მამის პატივისცემა საფუძველია ქვეყანაში დღეგრძელობის, სიმშვიდისა და ურთიერთსიყვარულის.

§ 9. პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლება

პირველ ცოდნასა და ჩვეულებებს, რომელსაც ბავშვი მცირეწლოვანების ასაკში ოჯახში მიიღებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.მისი ყოფაქცევა,მისი ხასიათი,ზნე, სულიერება დამოკიდებულია მასზედ,თუ რა სახით გაიზარდა იგი,რა შეაგონეს,რა ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობლებმა.

სკოლაში მისვლისთანავე ვლინდება ბავშვის თვისებები,თავისებურებები.ხშირია შემთხვევა,როცა ბავშვი ოჯახში სხვაა და სკოლაში სხვა.ბავშვს სჭირდება დახმარება, რათა გამოავლინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები,გაიზარდოს განათლებული და ზნეკეთილი.საამისოდ კი საჭიროა მშობლები თანამშრომლობდნენ მასწავლებლებთან,კლასის დამრიგებლებთან.

მოსწავლეთა სწავლების,სწავლისა და შეფასების მოთხოვნებში სისტემური ცვლილებებია.ინერგება ახალი ფორმები,ახალი მიდგომები.თუ მშობელი არ არის ინფორმირებული სიახლეების შესახებ,შესაძლებელია წამოჭრილი საკითხი ან პრობლემა განიხილოს საკუთარი გამოცდილების მიხედვით.შეუსაბამობა კი უთანხმოებასა და კონფლიქტს იწვევს მასწავლებელსა და მშობელს შორის.რისი თავიდან აცილებისთვის სასურველია მშობელთა გარკვევა პედაგოგიურ საკითხებში.

წყაროების შესწავლითა და ანალიზით გავარკვიე,რომ პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა გაცნობიერებას დიდი ხნის ისტორია აქვს.გასულ საუკუნეში სკოლებში მოქმედებდა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური სემინარები მშობლებისთვის.ზოგიერთ სკოლაში მშობელთა უნივერსიტეტებიც კი შექმნეს, სადაც თვეში ერთხელ ტარდებოდა ლექციები.

აღნიშნულ საქმიანობას წარმართავდნენ სკოლის დირექტორების მოადგილეები აღმზრდელობით დარგში და მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარეები, ჩართული იყვნენ სოფლის/ქალაქის ხელმძღვანელები. XX საუკუნის დამდეგს ეს მუშაობა შეჩერდა. მშობლები სკოლას დაშორდნენ.აქცენტი გადატანილი იქნა ბავშვთა უფლებების დაცვაზე.რეალურად ხშირ შემთხვევაში ეს იყო უზნეობის სწავლება. ბავშვს უფლება აქვს...-ეს ფრაზა ტრიალებდა მედია საშუალებებში და ფაქტიურად ბავშვს ყველაფრის უფლება მისცეს.იგი ყოველთვის მართალია,დამნაშავე უფროსები:მასწავლებლები და მშობლები იყო მიჩნეული.განხორციელდა ისეთი პროექტიც,რომლის მთავარი სწავლება იყო თუ მსობელმა დაგსაჯა,დარეკეთ 112-ზე და მშობელს პასუხს მოსთხოვენ.იყო რამდენიმე შემთხვევა,როცა 10-12 წლის ბავშვმა ეს სწავლება გამოიყენა.თუმცა პოლიციის მიერ მშობლის დასჯის შემდეგ გააცნობიერა რა გააკეთა და ძალიან შეწუხდა.

ცხადია მშობლის მიერ სასტიკი მოპყრობისაგან ბავშვი დაცული უნდა იყოს, მაგრამ ბავშვსაც სჭირდება გაცნობიერება იმისა, თუ რისი უფლება აქვს და რა მოვალეობა აკისრია. ეს კი მიიღწევა მშობლის–მოსწავლის-მასწავლებლის თანამშრომლობით, რომელსაც ერთი მიზანი აქვს-ბავშვის კეთილად აღზრდა, განათლებულ და ზნეობრივ ადამიანად ჩამოყალიბება.

ბოლო პერიოდში დაიწყო მუშაობა:სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ამაღლებისატვის,რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას: კომუნიკაცია,პერსონალიზაცია და,მშობელთა პედაგოგიური ცნობიერების ამაღლება.

კომუნიკაცია გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივ რეგულარულ კომუნიკაციას,როცა მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას იმის შესახებ,თუ რა ხდება ბავშვის ცხოვრებაში,რა არის გასაკეთებელი უკეთესი შედეგისატვის,რა ღონისძიებებია დაგეგმილი.

პერსონალიზაცია გულისხმობს მოსწავლის ქცევის,სწავლის შედეგების,სხვა წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას.ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ისეთი

საქმიანობის წარმართვას,რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის სწავლისა და ყოფა-ქცევის გაუმჯობესებას.

მიმართულება –მშობელთა პედაგოგიური ცნობიერების ამაღლება გულისხმობს მშობელთა ინფორმირებას ბავშვის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად.

ჩავატარე კვლევა,რომლის მიზანი იყო მშობელთა პედაგოგიურ საკითხებში გარკვევის საჭიროების დადგენა.

კვლევის მეთოდი: გამოკითხვა

რესპოდენტები: 1-9 კლასის 36 მშობელი

კვლევა ჩატარდა 2019 წლის ნოემბერში

კვლევის შედეგების მიხედვით ორივე(დაწყებით და საბაზო)საფეხურის მშობელთა უმრავლესობამ 78-82% გამოთქვა სურვილი პედაგოგიურ საკითხებში გარკვევისათვის.

მომდევნო კვლევა ჩავატარე იმავე მშობლებთან 2019 წლის დეკემბერში.

კვლევის მიზანი:დაზუსტდეს საკითხები,რომელთა გაცნობა სურთ მშობელს პედაგოგიური ცნობიერების ამაღლებისათვის.

კვლევის მეთოდი:ანკეტური გამოკითხვა

რესპოდენტები:1-9 კლასის მოსწავლეთა 36 მშობელი

ანკეტის შეკითხვა:ჩაწერეთ თემები,პრობლემა,რომელთა გარკვევაში გსურთ დახმარება.

კვლევის შედეგების მიხედვით დაწყებითი და საბაზო საფეხურის მშობელთა მიერ განსხვავებული თემები და პრობლემები გამოიკვეთა;მაგალითად,დაწყებით საფეხურზე ჭარბობდა ისეთი თემები,როგორიცაა:რატომ იტყუებიან ბავშვები;რატომ ეჭვიანობს ბავშვი უმცროსი დის/ძმის მიმართ;რატომ არ შეუძლია დაწყებული საქმე თუნდაც თამაში ბოლომდე დაასრულოს;რატომ იწვევს კონფლიქტს.

საბაზო საფეხურზე გამოიკვეთა თემები:რატომ ვერ ვუგებ მე ან რატომ ვერ მიგებს ჩემი შვილი;როგორ ვიპოვო ჩემი შვილის მეგობრებთან მისასვლელი ნდობის გზა და სხვა.

უმეტეს წილ თემები საერთო პრობლემებს შეეხებოდა.ეს იყო:საშინაო დავალების შესრულება;პასუხისმგებლობის აღება საკუთარ სწავლასა და ქცევაზე;სხვადასხვა ღონისძიებებში ერთობლივი მუშაობა;კომპიუტერი და ბავშვთა ჯანმრთელობა;რას ითხოვენ შვილები მშობლებისაგან და როგორ მოიქცეს მშობელი და სხვა.

კვლევის შედეგების გასაცნობად ჩავატარეთ რესპოდენტებთან შეხვედრა-დიალოგი.აღსანიშნავია,რომ ნაშრომის პირველ თავში განხილული თემების განხილვამ გაკვირვება და კამათი გამოიწვია.გაკვირვება იმიტომ,რომ ამ პრობლემაზე არ დაფიქრებულან,არადა რეალურად არსებობს.შეიძლება ჩვენ კონკრეტულად არ გვეხებოდეს,მაგრამ შვილები საზოგადოებაში ცხოვრობენ და ჯანსაღი გარემო თუ არ იქნა,ზიანი ყველას მიადგება.მოწონებით შეხვდნენ საეკლესიო მოღვაწეთა შეხედულებებს და გამოთქვეს სურვილი,რომ უფრო მეტი სწავლება მიიღონ ამ მიმართულებით.

პედაგოგიურ საკითხებში ცნობიერების ამაღლებისათვის მშობლებს შევთავაზეთ სემინარები.გთავაზობთ სემინარებში გამოყენებულ მასალებს,რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ ,,საპატრიარქოს უწყებანში”2008 წლის მარტში და 2011 წლის მაისში.

რატომ იტყუებიან თქვენი შვილები

განსაზღვრულ ასაკამდე ბავშვები საერთოდ არ ცრუობენ-არ შეუძლიათ და არც კი იციან,რომ ეს შესაძლებელია.სამწუხაროდ ტყუილის ნამცეცებს ბავშვებში სწორედ ჩვენ,უფროსები ვაღვიძებთ.ბავშვი მაშინ ამბობს ტყუილს,როცა აღმოაჩენს,რომ სიმართლის თქმა სახიფათოა:დასჯიან,დასცინებენ ან არ დაუჯერებენ.დაუშვებელია, არასდროს არ დაისაჯოს ბავშვი,მაგრამ სასჯელი ისეთი უნდა იყოს,რომ პატარა მიხვდეს

არა თავად ისაა ცუდი,არამედ კონკრეტულად ის საქციელიდა თავად სწორედ იმიტომაა დამნაშავე,რომ ასეთი რამ ჩაიდინა;და არა იმიტომ,რომ ამის შესახებ დედამ შეიტყო.უმჯობესია,თუ საზღვრების გადალახვის ზომები ლოგიკურად გამოვლინდება თავად საქციელიდან,ხოლო დამსჯელი უფროსის როლი მინიმუმამდე დავა.

რაღა თქმა უნდა,პატარა ბავშვები იმიტომ კი არ გვაწვდიან ყალბ და საეჭვო ინფორმაციას,რომ ისინი ცრუობენ,არამედ იმიტომ,რომ უბრალოდ არ ახსოვთ რა მოხდა სინამდვილეში ან არასწორად,თავისებურად გაიგეს.ბავშვთან ყურადღებით მოპყრობისას თქვენ იოლად განარჩევთ ასეთი შემთხვევის ,,მონაჩმახს" სხვა დანარჩენისაგან.რაღა საკვირველია,ასეთ სიტუაციაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის გაკიცხვა და მისთვის იმის მტკიცება,რომ მან იცრუა.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი,თუ რატომ ამბობენ ბავშვები ტყუილს.ან უკეთ რომ ვთქვათ,კიდევ უფრო ხშირია,როცა ისინი არ ამბობენ სიმართლეს,რადგან მობეზრდათ თქვენი დაჟინებული გამოკითხვები.როგორ უნდა მოვიქცეთ?

მშობლებს ყოველთვის ურჩევენ დაწვრილებით გამოჰკითხონ ბავშვებს ყოველდღიური ამბები,რომელიც საბავშვო ბაღში გადახდათ: რა ჭამეს,როგორ ეძინათ,რით იყვნენ დაკავებული და ვისთან ერთად თამაშობდნენ.

თავისთავად ეს მართებული ხერხია,მაგრამ თუ ბავშვი ნაკლებად გახსნილი და კონტაქტურია,ხოლო მშობლები მეტისმეტად დაჟინებული და მომთხოვნები,ბავშვი შეიძლება უბრალოდ დაიღალოს.მისთვის უფრო იოლია,დადუმდეს ან რაიმე რიგითი ფრაზით დაიძვრინოს თავი,როგორიცაა არაფერიც არ მომხდარა,ყველაფერი რიგზეა,ვიდრე თითოეული თავისი ნაბიჯის ანგარიში ჩააბაროს მშობლებს.ასე,რომ, როცა ბავშვისადმი ყურადღებას ვიჩენთ,მაინც უნდა დავიცვათ გარკვეული ზღვარი.თუ თქვენ გრძნობთ,რომ ბავშვი ეწინააღმდეგება ზოგიერთი თემის განხილვას,თავი დაანებეთ და შეეცადეთ,საუბარს ცოტა მოგვიანებით დაუბრუნდეთ.შეიძლება ახლა თქვენი პატარა მართლა დაღლილია და არ შეუძლია დიდხანს საუბარი;ან იქნებ მისთვის ლაპარაკის სურვილის არქონის უკან ნამდვილი ემოციური დაძაბულობა იდგეს.ასეთ შემთხვევაში საკითხი მთლიანად არ უნდა დაიხუროს,არამედ უნდა

ეცადოთ სიტუაცია ფაქიზად გაარკვიოთ;შესაძლოა,გარკვეული ირიბი გზებით-თამაშით,ზღაპრის მოგონებით,ნახატებით.

ამრიგად,ბავშვი მაშინ ამბობს ტყუილს,როცა აღმოაჩენს,რომ სიმართლის თქმა სახიფათოა.

სასჯელი ისეთი უნდა იყოს,რომ ბავშვმა გაიგოს მის მიერ ჩადენილი კონკრეტული საქციელია ცუდი და არა მან თვითონ.

პატარები ხშირად ცრუობენ,ან უბრალოდ არ ახსოვთ,რა მოხდა სინამდვილეში.

ათი რჩევა მშობლებს შვილებთან ურთიერთობისათვის

თქვენ ვერასოდეს გამიგებთ მე, აზრი არ აქვს თქვენთან საუბარს! -ეს მეტ-ნაკლებად ნაცნობი გამოთქმებია,რომლებსაც ხშირად ისმენენ მშობლები შვილებისაგან.როგორც წესი,ამ ყველაფერში სიმართლის მარცვალი დევს,რადგან მშობლები ერთი თაობის ადამიანები არიან,შვილები კი-სხვა თაობისა.ამიტომაც,ჩვენმა თანამედროვე საზოგადოებამ პრობლემა მარტივად გადაჭრა:ის უბრალოდ ხელს არ უწყობს მშობლებისა და შვილების ურთიერთობას.როცა ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობა ან ყურადღება არ სუფევს,ზოგიერთი ბავშვი ცუდ წრეს უმეგობრდება,სკოლაშიც ცუდად იქცევა,სახლიდან გარბის.მშობლები კი თავის მხრივ გაოცებულნი კითხულობენ: რატომ არ მოდიან ისინი ჩვენთან სალაპარაკოდ? ასეთ დროს უფროსებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ: ვქმნიდით სათანადო პირობებს ოჯახში ჯანსაღი ურთიერტობისათვის? ამ საკითხის მოსაგვარებლად ფსიქოლოგები ათ ძირითად რჩევას სთავაზობენ მშობლებს:

1. სანამ მოუსმენთ ან განსჯით(საუბრის დაწყებამდე),შეყოვნდით

ნუ იქნებით მეტისმეტად დაკავებულნი,როცა ბავშვს თქვენთვის რაიმეს მოყოლა მოუნდება.რაც თქვენ შეიძლება უმნიშვნელოდ ან უადგილოდ მოგეჩვენოთ,ის,შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს თქვენი შვილისათვის.როცა პატარა რაღაცას დიდი

ენთუზიაზმით გიზიარებთ,გაესაუბრეთ ამის შესახებ.ძალა მოიკრიბეთ არ მოადუნოდ მისი ენთუზიაზმი,შემოქმედებითობა და ცნობისმოყვარეობა.აჩვენეთ,რომ თქვენც გაინტერესებთ ეს ყველაფერი.ამის გარდა,უმთავრესია,ბავშვებმა იცოდნენ,დაინახონ,რომ ინტერესი და დისკუსია ერთი მონეტის ,,ორ მხარეს" წარმოადგენს და მათში მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

2. ყოველთვის ნუ ეტყვით უარს,ერიდეთ სარკაზმს

თუ ბავშვი იგრძნობს,რომ რასაც ის ლაპარაკობს,აკეატებს ან უყვარს,უფროსები მას სასაცილოდ იგდებენ,მომავალში საერთოდ შეწყვეტს დიდებთან გულითად ურთიერთობას.ბოლოს და ბოლოს ვის სურს დამცირებულად იგრძნოს თავი ყოველთვის,როცა ის რაღაცას ამბობს?მოზარდს უნდა,რომ აღიარებდნენ და არა-უარყოფდნენ.

3. შეინახეთ პირობა

ეცადეთ არ მისცეთ ბავშვს პირობა,რომლის ასრულებაშიც ეჭვი გეპარებათ. გსურთ სწრაფად დაკატგოთ თქვენი შვილის პატივისცემა?ვთქვათ,რაღაცის გაკეთება გჭირდებათ,ხოლო შემდეგ საკუთარი სიამოვნებისათვის ან უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ვერ შეძლებთ იმის გაკეთებას,რაზეც სწორედ თქვენი იმედი ჰქონდა.იცოდეთ,ეს სერიოზული ჩავარდნაა,ასე მეორე ადამიანს-ბავშვს ან თუნდაც უფროსს,ნელ-ნელა ეკარგება თქვენდამი ნდობა.ამიტომაც,ძალიან მნიშვნელოვანია,ბავშვი პატივს გცემდეთ და თქვენი იმედი ჰქონდეს.

4. უთანხმოება და ჩაძიება-ეს შესანიშნავია!

მიეცით თქვენს შვილს უფლება,არ დაგეთანხმოთ.არ უნდა გეშინოდეთ ან გრცხვენოდეთ იმის აღიარების,რომ არ გაქვთ პასუხი ყველა კითხვაზე.გარდატეხის ასკში ბავშვები იწყებენ ფასეულობათა სხვა სისტემის შესწავლას;ისინი ითხოვენ ერთმნიშვნელოვან პასუხს და,როგორც წესი,ცდილობენ,უპირველესად,საკუთარ მშობლებზე გამოსცადონ ყველაფერი.რაოდენ დამამცირებლად და მიუღებლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს,მიეცით შვილებს უფლება,ამ დროს ისე გამოხატონ საკუთარი

ემოციები და ინტერესები,როგორც გრძნობენ.ურთიერთპატივისცემა ხმის ტემბრით გამოხატეთ და ისინი იგრძნობენ,რომ სამომავლოდ ნებისმიერ რთულ წუთებში შეეძლებათ მოგმართონ და თქვენი მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ.

5. არ იჩქაროთ,ხელაღებით ნუ დაგმობთ თქვენი შვილის სამეგობროს ან ნაცნობთა წრეს

ყმაწვილური გატაცებები იშვიათად არის ხოლმე აბსოლიტურად მისაღები მშობლებისა და,ზოგადად,უფროსებისათვის.მიუხედავად ამისა ახალგაზრდობა არ ჩერდება,ეძებს,სწავლობს,ეწაფება სიახლეს.

ზოგიერთი საბაზო ფასეულობის დაცვის მოთხოვნისას ყმაწვილური წინააღმდეგობა უფროსების კულტურით შეაფასეთ,როგორც წესი,ეს იმის გარანტი იქნება,რომ თქვენს ბავშვს ექნება ნამდვილი და ნორმალური სანაცნობო წრე და,ამავე დროს,თქვენც დაგიგდებთ ყურს,როცა ნამდვილად უნდა გამოხატოთ წინააღმდეგობა თქვენი შვილისა ან მათი მეგობრების არანორმალური ქცევისა და საქმიანობის წინააღმდეგ.

6. არ შეგეშინდეთ არას თქმის

ბავშვი თქვენგან ელის სტანდარტებსა და მითითებებს,როგორც დადებითს,ასევე უარყოფითს.იგი საჭიროებს იმ საზღვრების ცოდნას,რომლებსაც რეალურ სამყაროს აღუმართავს წინ.თუმცა,გახსოვდეთ,საგულდაგულოდ შეარჩიეთ დრო არას სათქმელად.დააკავშირეთ და დააბალანსეთ ნორმა კანონიერი ადამიანური მოთხოვნილებებისა და თქვენი ბავშვის მოლოდინის დასაკმაყოფილებლად.აჩვენეთ ბავშვებს,რომ უფროსებს შეუძლიათ იყონ ადამიანურნი,თანმიმდევრულნი,გამგებიანნი და გონიერნი ,,კისა” და ,,არას” თქმისას,ყოველდღიურ ცხოვრებაში.

7. თვითპატივისცემის შექმნა

გამუდმებით უთხარით ქათინაურები ბავშვებს,შეაქეთ,ჩაიკარით გულში,გამოამჟღავნეთ სიყვარული თქვენი შვილებისა და მეუღლისადმი.ეს შესაძლებლობას მოგცემთ,გაუმყაროთ ბავშვებს აუცილებლობისა და საკუთარი

ღირსების განცდა,ასევე განამტკიცოთ თქვენი,როგორც მაგალითის პოზიცია.კარგი მაგალითი საკუთარი თავის შესახებ,ცოდნა,რომ იგი (ბავშვი) წარმოადგენს ,,გარკვეულ ფასეულობას",ბავშვს აგრძნობინებს,რომ მყარად დგას საკუთარ ფეხებზე. ღოცა ბავშვი თავდაჯერებულია,აუცილებლობის შემთხვევაში,ზედმეტი ძალდატანების გარეშე,თავად შეუძლია ბევრ არასასურველ და მავნე ჩვევაზე,მოთხოვნილებაზე უარის თქმა.

8. ნუ უქადაგებთ და ნუ ებუზღუნებით

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა იძაბება და წარუმატებელია მტკიცე ცხოვრებისეული ფასეულობების სწავლება,როცა ბავშვებს გამუდმებით ვეჩიჩინებით ან ვუკითხავთ მორალს.ნუ შედრკებით:ჯეროვნად,შესაბამის დროს გადაანაწილეთ რელიგიური,მორალური და ეთიკური ფასეულობების მიწოდება.თუმცაღა,არ არის აუცილებელი და უსარგებლოცაა ყოველ წამს ჭკუის დარიგება მაშინ,როცა ბავშვები ისეთ რამეს აკეთებენ,რაც არ მოგწონთ.

9. გამონახეთ თავისუფალი დრო თამაშისათვის

ოჯახური მეცადინეობების ნაცვლად გაცილებით მნიშვნელოვანია ბავშვების ინტერესები და თამაშები.გამუდმებული სწავლა შვილისა და მშობლის ურთიერთობას ფორმალურს ხდის და ოჯახს სიხარულს უკარგავს.

10. ერთად ილოცეთ

გქონდეთ ოჯახური საკურთხეველი სახლის პირობებში.მოაწყვეთ სალოცავი კუთხე მყუდროდ და გულდასმით.ილოცეთ ჭამის წინ და საზრდელის მიღების შემდეგ,მუშაობის ჟამს,სწავლისას,ყოველგვარი საქმიანობის დროს.მიაჩვიეთ შვილები ღმერთთან საუბარს,უჩვენეთ,როგორ ლოცულობთ და როგორ ილოცონ.რაც შეიძლება ხშირად ეზიარეთ ქრისტეს საიდუმლოს მათთან ერთად...

სემინარმა მოსალოდნელზე უკეთესი შედეგით ჩაიარა.მშობლები აქტიურად ჩაერთვნენ,გაიმართა მსჯელობა და გამოითქვა მოსაზრება,რომ გამოიყენებენ მასალებს თავიანთი შვილის საჭიროებებზე მორგებით.

კოლეგებთან თანამშრომლობით,მშობელთა აქტიური მონაწილეობით დავგეგმეთ და ჩავატარეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

მშობელთათვის პედაგოგიური საკითხების გასაცნობად რეკომენდირებულია შემდეგი თემები:

- საშინაო დავალების მოსამზადებლად პირობების შექმნა,შეფასების კრიტერიუმების გამოყენება მიღწეული შედეგის შესამოწმებლად.
- რას მიაქციოს ყურადღება ბავშვის ქცევაში(ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რჩევები)
- მშობლის ოთახის მოწყობა და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება.
- ინფორმაციის მიწოდება (სკოლის გეგმა,შეფასების სიტემა,საგნობრივი სტანდარტები,სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა).
- ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა (თავის მოვლა,კვება,მეცადინეობით დატვირთვა,თავისუფალი დრო და სხვა).
- ლექცია შეკვეთით (მაგალითად: ბავშვი და კომპიუტერი)
- სსმ მოსწავლისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინდივიდუალური გეგმის შემუშავება მშობლისთვის როგორ დავეხმარო ჩემი სვილის თანაკლასელს; რა დახმარება სჭირდება ჩემს შვილს სხვა მშობლისგან.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოვიყენე პროექტები,რომელიც ჩემთან ერთად განახორციელეს კოლეგებმა.ეფექტური გამოდგა ისეთი პროექტები ,როგორიცაა:

- ✓ მათემატიკის ოჯახური დღე

მოსწავლემ სახლში გააკეთა პრეზენტაცია რა ისწავლა სკოლაში.მშობლებს მიაწოდა სავარჯიშოები,აქტივობები.მშობელმა შეამოწმა მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები.

ინფორმაცია წარმოადგინა გაკვეთილზე.პროექტი ძალიან სახალისო და სასარგებლო აღმოჩნდა.

- ✓ თამაშის დღე

მოსწავლემ მშობელთან ერთად მოაწყო ,,ჭადრაკში სეჯიბრი” და ინტელექტუალური თამაში რა,სად,როდის, რომელშიც ჩართეს ოჯახის წევრები: და-ძმა,ბებია,ბაბუა,მამიდა.

საინტერესო გამოდგა ძველი საბავშვო თამაშების მოძიება,ჩაწერა და მშობლებთან ერთად ჩატარება.

- ✓ მივუსწროთ,ჩავწეროთ,გადავარჩინოთ

ხანდაზმულებისაგან წარსული ამბების გახსენება,ფოლკლორის ჩაწერა,მათი სკოლაში მიწვევის ორგანიზება.

- ✓ სურათი მშობელთან ერთად

მოსწავლეებმა გადაიღეს მშობლებლთან ერთად სურათები სხვადასხვა სიტუაციებში-შინ,ეზოში,მდინარეზე,მაღაზიაში,ბოსტანში,ყანაში,სათიბში და სხვა.ბავშვებმა მშობლებთან ერთად მოამზადეს სლაიდშოუ,პოსტერებით და წარმოადგინეს.

- ✓ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა: მე ვხედავ მშვიდობას,ჩემს სამშობლოს და ჩემს მშობლებს

გამოფენაზე მიიწვიეს მშობლები. მხატვრები წახალისებულ იქნა საჩუქრებით.

- ✓ მხიარული სტარტები _მშობელთა მონაწილეობით.

სხვადასხვა სახის ვარჯიშებში ჩაერთო მშობლები.განსაკუთრებით სახალისო იყო ტომრებით ხტუნვა, ბურთი კალათში, ჩემი სოფლის სურათები.

ბავშვებმა მშობლებთან ერთად გადაიღეს თავისი სოფლის სურათები და მოაწყვეს გამოფენა-ფესტივალი.

ეფექტური შედეგით აღინიშნა კვლევები,რომელიც კლასის დამრიგებლებმა ჩაატარეს პრობლემებზე:

- მშობელთა ჩართულობის კვლევა სახლი/სკოლა;
- მშობელთა კმაყოფილების კვლევა.

კვლევებმა დაწყებით საფეხურზე შემდეგი შედეგი მოგვცა:

- ამაღლდა მშობელთა ნდობა სკოლისა და მასწავლებლისადმი
- მოსწავლეთა ყოფაქცევა გაუმჯობესდა
- მშობლებმა მასწავლებლებთან თანამშრომლობა გააძლიერეს

მშობლები აქტიურად ჩაერთვნენ საკლასო საქმიანობაში.ხშირი კომუნიკაცია აქვთ დამრიგებლებთან,რაც სასარგებლო ინფორმაციებში გადაიზარდა:ვუთხრათ ერთმანეთს მხოლოდ სასიამოვნო ამბები.

პედაგოგიურ საკითხებში გაცნობიერების ეფექტურ გზად მივიჩნიე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა(ც.დუმბაძე, ნ.ბოლქვაძე, მ.პაქსაძე, ქ.მიქელაძე, თ. მიქელაძე) გამოცდილება,რომელიც მდგომარეობს შემდეგში:საწავლო წლის ბოლოს კლასის მოსწავლეები საგნის მასწავლებელთა,დირექციასა და მშობლების წინაშე ატარებენ შემაჯამებელ ღია შეხვედრას: მობრძანდით,ნახეთ,როგორ ვიზრდებით სამშობლოს გასახარადა.

შეხვედრაზე მოსწავლეები წარმოადგენენ კომპოზიციას საგნების მიხედვით:საგნობრივი პროგრამის მიხედვით რა შედეგისათვის უნდა მიეღწიათ და რას მიაღწიეს.წაპმოდგენა ხდება პრეზენტაციით,კითხვებზე პასუხით,ვიქტორინით, ბარათებით,ფლივჩარტით,იუმორის,სიმღერის ჩართვით.

მოსწავლეები ამ შეხვედრისათვის მონდომებით ემზადებიან.მთელი წლის ნასწავლს იმეორებენ,ახალ ცოდნას და უნარებს ითვისებენ.წარმოდგენის ფორმა გამორიცხავს სტრესს და საგამოცდო განცდას.ხალისიანი და აქტიური მომზადებით ბავშვები განიცდიან სიხარულს მიღწეული შედეგების გამო.

ეს ფორმა ერთგვარი ანგარიშია მასწავლებელსა და მშობლის მიერ გაწეული საქმიანობისა.მოსწავლეს აძლევს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის,მიღწეული შედეგის გაუმჯობესების საშუალებას.

მშობლები ემოციებს ვერ მალავენ,ამბობენ:დღეს ჩემი შვილი სხვაგვარად დავინახეო;ამდენი თუ შეეძლო არ მეგონაო.

ბავშვის სწავლა ,მიღწეული შედეგი,ყველასათვის საზრუნავი,დამაინტერესებელი გახდა.ამასთან მშობლებმა გააცნობიერეს რა შედეგზე უნდა გავიდეს მისი შვილი კლასის დამთავრებისას,ეს კი საშუალებას მისცემს უკეთ დაეხმაროს,შეუქმნას წარმატებული სწავლის პირობები.

რაც მთავარია ბავშვები ავლენენ იმ ზნე-ჩვეულებას,სამშობლოს სიყვარულს,ერთგულებას,მოყვასის სიყვარულს,მშობლების, ბებიების ,ბაბუების, სკოლის, მასწავლებლის სიყვარულს,მოკრძალებასა და პატივისცემას ეკლესიისადმი.

ამრიგად,პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ეფექტურია ისეთი ფორმების გამოყენება როგორიცაა:პროექტები (მშობლებთან ერთად განხორციელებული)_თამაშის დღე;მივუსწროთ,ჩავწეროთ,გადავარჩინოთ;სურათი მშობლებთან ერთად;ჩემი სოფლის სურათები;ვიზრუნოთ ერთმანეთზე.

ლექცია შეკვეთით-სადაც მშობელთა სურვილის მიხედვით წაიკითხება ლექციები პედაგოგიურ საკითხებზე.

სემინარები,სადაც განიხილება ოჯახში,კლასში წამოჭრილი პრობლემები.

ღონისძიებაში გამოფენებში ჩართულობა.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დონის შესამოწმებლად ეფექტურია მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიში: მობრძანდით,ნახეთ,როგორ ვიზრდებით სამშობლოს გასახარადა.

ოჯახში აღზრდის შედეგები ვლინდება სხვადასხვა სახის ერთობლივ საკლასო ღონისზიებებზე : მაინც რა არის სამშობლო, სამშობლო ჩემი ეზოდან იწყება, ღმერთი,სამშობლო,ადამიანი, როცა ბავშვები მღერიან,ქვეყანაში საქმე კარგად მიდის.

მშობელთა გაცნობიერება პედაგოგიურ საკითხებში ამაღლებს მოსწავლეთა ინტერესს,მოტივაციას,მასწავლებელთან მშობლის თანამშრომლობის ხარისხს,აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

დასკვნები

ბავშვის უპირველესი არმზრდელად ოჯახური გარემოა მიჩნეული ტრადიციული, ხალხური შეხედულებებით,წმინდა მამათა სწავლებით.ოჯახის აღმზრდელობით ფუნქციასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში.

- დღევანდელობისათვის მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის სწავლება მშობლის როლის შესახებ ღირსეული ქართველის აღზრდის საქმეში.თუ გვსურს ბავშვის აღზრდის საქმის გაუმჯობესება,ეს პირველ რიგში ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით,მშობლის შეგნებაში შვილის კარგად აღზრდის მოვალეობების გაცნობიერებითა და განმტკიცებით დაიწყოს.
- აღზრდაში სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა დასაბუთებულია პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.
- ოჯახური ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე გლობალიზაციის ეპოქის გავლენა ოჯახის სიღრმისეულ ცვლილებებში აისახა. პროტოპრესვიტერი,პროფესორი ვ.ზენკოვსკი ამ მიმართულებით რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს:ოჯახურ გარემოში შრომის თითქმის გაქრობა,ურბანიზაცია,ქალის მდგომარეობის შეცვლა(დატვირთვა საზოგადოებრივი საქმით,საშოვარზე უცხოეთში წასვლა,ოჯახის ძირითადი მარჩენალის როლი).
- მწვავე პრობლემად წარმოჩინდა ოჯახის სოციალური ფუნქცია,სოციალური ვითარების ასახვა ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე
- წმინდა მამათა სწავლებით ოჯახური ცხოვრება არის წმინდა,ბავშვების ურთიერთობა მშობლებთან ერთადერთი და განუმეორებელია.შვილების აღზრდაზე პასუხისმგებლობა მშობლებს ღვთისაგან დაეკისრა და ისინიც ვალდებულნი არიან ყველაფერი იღონონ შვილების კეთილად აღზრდისათვის.

ოჯახის თანადგომის განხილული საკითხები მრავალფეროვანია:ოჯახის განვითარებადი თანადგომა,ოჯახის კომპენსატორული თანადგომა,ოჯახის დაცვითი თანადგომა.მათი გაცნობა საჭიროდ მიგვაჩნია,რათა კარგად გავიაზროთ რა საქმიანობები მიმდინარეობს სამყაროში,როგორია მათი განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში ოჯახური აღზრდის ტრადიციების დაცვასთან მიმართებაში.ეს საკითხი ფართო კვლევის თემა შეიძლება გახდეს.მიმოხილვა ჩავრთეთ,რათა წარმოგვეჩინა ოჯახის წინაშე არსებული პრობლემები.

პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან გზად მიმაჩნია,საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის სურვილი,რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ოჯახებს,პირველ შვილზე გაეწიოს დახმარება და ყველა მომდევნო შვილზე ეს დახმარება გაორმაგოს.ოჯახისადმი თანადგომის ეს გზა მრავალშვილიანობას შეუწყობს ხელს.

დანგრეული ოჯახური ატმოსფერო იქმნება სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით:

- მშობლების განქორწინებით
- მშობელთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში
- მატერიალური გაჭირვებით
- მშობლებსა და შვილებს შორის უსიტყვო ურთიერთობით,რომელიც გაამძაფრა კომპიუტერთან და ტელევიზორთან მიჯაჭვულობამ.

პედაგოგები,აღმზრდელები გაცილებით მეტი ყურადღებით უნდა იყვნენ განქორწინებული ოჯახების ბავშვებთან.ჩაატარონ მათთან პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საქმიანობა.დაეხმარონ მათ დაძლიონ წამოჭრილი პრობლემები,საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ფსიქიატრს,ფსიქოლოგს.

სახლში მარტოობაში აღზრდილი ბავშვი ძალიან ძნელად იტანს გარდატეხის პერიოდს,ვიდრე დიდ ოჯახში არზრდილი.მარტოსული ბავშვი დიდხანს ცხოვრობს მშობლების ოჯახში ან ტოვებს ოჯახს,რათა შეუერთდეს სხვა უფროსების კომპანიას.

მარტოობაში აღზრდილ მოზარდს ზოგჯერ უჩნდება სურვილი გაექცეს თავისი ოჯახის დამანგრეველ ატმოსფეროს,მაგრამ თავისი სისუსტის გამოწარმატების ნაცვლად მახეში ებმება.

აუცილებლად მიმაჩნია მასწავლებელმა ყურადღებით შეისწავლოს მარტოობით არასასურველ გარემოში მყოფი ბავშვები.გამოიძებნოს მათთვის ისეთი საქმიანობა,რომელიც დაინტერესებს,დაეხმარება მოზარდს დადგეს ცხოვრების პირისპირ.

ოჯახის დანგრევა ეს არის კატასტროფა მშობლებისათვის და შვილებისათვისაც. შედეგი არაპროგნოზირებადია.როცა ოჯახი ინგრევა,ბავშვს მთელი სამყარო თავზე ენგრევა,შემდგომში მისი აღდგენა და შეკოწიწება ძალინ ძნელია.ბავშვი კარგავს უსაფრთხოების შეგრძნებას,რომელიც მანამდე ჰქონდა.ეკარგება მომავლის იმედიც.ის პიროვნულად თავის თავსაც აბრალებს ამ ნგრევას და თვითშეფასება ძალიან უქვეითდება.ეს კი პიროვნული განვითარებისათვის მეტად შემაფერხებელი ფაქტორია.

არიან ბავშვები სიყვარულის ნაკლებობით გამოწვეული პრობლემებით,რომლებიც თითქოს თავიანთ ასაკზე მეტ გონიერებას იჩენენ ზოგიერთ საკითხებში,ზოგში კი უმწიფარი ჩანან.იქმნება შთაბეჭდილება,რომ მათ არ აკმაყოფილებთ თავიანთი ასაკის შესაფერისი საქციელი,ისინი ცდილობენ იმ საქმის შესრულებას,რაც დამახასიათებელია მოზარდების,ან დიდებისათვის.როცა ისინი თამაშობენ თავიანთი ასაკის ბავშვებთან,ცდილობენ ლიდერობას.ზოგიერთ შემთხვევაში,როგორც კი ვინმე შეცდება მათ შეზღუდვას,ან განიცდიან მარცხს,ისინი გამოხატავენ გაღიზიანებას და სიძულვილს.

მშობლიური სიყვარულის ნაკლებობის დაფექტების შემჩნევა ეხმარება პედაგოგს მოსწავლესთან კეთილურთიერთობის მიზანმიმართულად წარმართვაში და ბავშვისადმი დახმარების სწორი ფორმის შერჩევაში.

მოზარდთა ოჯახიდან გაქცევის პრობლემამ ასახვა უნდა ჰპოვოს სასკოლო საქმიანობაში.წიგნის ,,სოციალური პედაგოგიკის"ავტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები კლასის ხელმძღვანელისათვის:

ა. ოჯახიდან ბავშვის გაქცევის თემა ნუ იქნება დახურული პრობლემა.სასურველია ჩატარდეს საუბარი: ოჯახიდან გაქცევა?-როდიდან და საიდან იწყება იგი

ბ. დებატები თემაზე: ოჯახიდან გაქცევა-პრობლემიდან გამოსავალი თუ პრობლემის წინაშE უკან დახევა.

გ. დიალოგი თემაზე: მე რომ ოჯახიდან გაქცევა დავაპირო.

დ. თავისუფალი წერა: ოჯახიდან გაქცეულის დახმარებას შევძლებ?!

ე. კლასის დამრიგებლის კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან და ოჯახის გაცნობა.შეხვედრა-დიალოგი მშობლებთან: ოჯახიდან ბავშვის გაქცევა ნაცნობი თუ შორეული პრობლემა.

ერთი შეხედვით ქართული საზოგადოებისათვის არც თუ ისე ხშირად დამახასიათებელი,მაგრამ რეალურად არსებული პრობლემის ირგვლივ ღიად საუბარი განაპირობებს,როგორც გაქცევის მცდელობის თავიდან არიდებას,ასევე მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილი მოზარდისადმი დახმარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ყოველივე ჩვენთაგანს რეალურად უნდა გვესმოდეს ბავშვის გრძნობები და ვიცოდეთ,რომ შესაძლოა ბავშვი დიდი ხნის მანძილზე სევდითა და მწუხარებით იყოს შეპყრობილი და ჩვენ მას ვჭირდებით.

მეოთხე საუკუნეში მოღვაწე წმინდა მამა იოანე ოქროპირი თავის ნაშრომში ,,ბავშვთა აღზრდის შესახებ" მშობლების,განსაკუთრებით მამის,წინაშე აცნობიერებს მის პასუხისმგებლობას შვილების აღზრდის წინაშე.უპირველეს საზრუნავად მათი სულის კეთილშობილების,სიბრძნისმოყვარეობითა და სათნოებებით გამდიდრება დავსახოთ.

გასათვალისწინებელია,რომ აღზრდა ადრეულ ასაკშივე დავიწყოთ, ,,ყოველგვარი ეკალი ბავშვსხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ,რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდეს და არ გახდეს ძნელად გამოსასწორებელი"

,,გთხოვთ,გემუდარებით,უდიდესი მზრუნველობით მოეპყარით ბავშვებს და გამუდმებით იღვაწეთ მათი სულის გადარჩენისათვის,შენ ხარ მოძღვარი მთელი ოჯახისა,და შენ ჩაგაბარა უფალმა ცოლიცა და შვილებიც"-მიმართავს წმინდანი მამებს.

მშობლებმა ყველაფერი უნდა გააკეთოს,რათა სხვისი გამოსასწორებელი არ დარჩეს ის,რაც მას ადრიდანვე შეეძლო გამოესწორებინა თავის შვილში ამით უღალატა კიდეც მას.

წმინდა იოანე ოქროპირი მშობლებს არიგებს: უკეთესი იქნება თუ შევაკავებთ,ავლაგმავთ,ვურჩევთ,დავარწმუნებთ,შევაშინებთ,ვუსაყვედურებთ და განვდევნით იმ სენს,რომელიც კეთილად აღზრდას აბრკოლებს.

სასარგებლოა ეკლესიაში მისვლა,ქადაგებების მოსმენა,დამახსოვრება,რომელსაც შეავსებს სახლში მოსმენილი კეთილგონიერი რჩევები და უმალ გამოიღებს კეთილ ნაყოფს.

საჭიროა გავითვალისწინოთ შეგონება: ,,განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა"(ეფეს.6,4)-ეს არის უპირველესი და უმაღლესი სათნოება.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის,უუწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ქადაგებებში განფენილი სწავლებანი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ მოიცავს საკითხებს იმის თაობაზე,რომ:

- ჩვენს წინაშე დგას ერთი დიდი საკითხი-ეს არის შვილების აღზრდა.
- მთავარი მოვალეობა დედისა,ღვთის ლოცვა-კურთხევა,რომელიც ქალს მიეცა –ეს არის შვილების გაჩენა და აღზრდა.
- ჩვენი წინაპარი დედები გმირებს ზრდიდნენ,ბავშვობიდანვე უნერგავდნენ სამშობლოსადმი დავდადებას,სიყვარულს.
- ძალიან მნიშვნელოვანია ქალის როლი ღვთის,სამშობლოსა და ერის წინაშე.
- ისეთი სამი რგოლი,როგორიცაა:ოჯახი,სკოლა და ეკლესია ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და სამივე ადგილზე უნდა ხდებოდეს ბავშვების აღზრდა.
- ბავშვებს უნდა წავუკითხოთ წიგნები,რომელიც არა მარტო ინტელექტუალურ ძალას აძლევს,არამედ სულიერებასაც შესძენს.
- ჩვენი სასახელო ისტორიული წარსულიც სწორი აღზრდის შედეგი იყო.
- ტრადიციის მიხედვით მტკიცე ქართულ ოჯახებში იყო კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის.შვილი არაფერს არ აკეთებდა მშობლის ლოცვა-კურთხევისა და ნებართვის გარეშე.
- სინანულის სათავე არის სიმდაბლე,აღიარება იმისა,რომ ადამიანში არ არის საკმარისი ძალა იმისათვის,რომ მან ამ ცხოვრებაში დაძლიოს ბოროტება,ამისთვის მას აუცილებლად სჭირდება ახლობლების თანადგომა,უპირველეს ყოვლისა,მშობლისა,რადგან მშობლები არიან სახე უფლისა.
- შვილები,დილით რომ მოწესრიგდებით,მიდით დედასთან და მამასთან,ემთხვიეთ ხელზე და უთხარით: ,,დამლოცე დედა", ,,დამლოცე მამა".გახსოვდეთ,რომ მათი დალოცვა არის ღვთის ლოცვა-კურთხევა და ბედნიერების მომაპოვებელი.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების პირობითი სათაურებია: ,,აღზრდა ოჯახსა შინა პატიოსანსა" და ,,პატივი ეც მამასა და დედასა შენსა" ჩართვა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით სასარგებლოა.იგი ხელს უწყობს ოჯახში კარგი ყოფაქცევის აღზრდაზე ზრუნვას.გაცნობიერება იმისა,რომ

ოჯახში,სადაც სუფევს მშვიდობა,ერთობა და სიყვარული,სადაცა მშობლები აჩვევენ შვილთა თვისთა კეთილთა მაგაკითთა,შვილნი ემორჩილებიან და პატივს სცემენ მშობლებს,ოჯახი-სიწმინდით, სიმართლით, სიყვარულით ცხოვრობაა.

შვილების კეთილად აღზრდა და შვილებისგან დედ-მამის პატივისცემა საფუძველია ქვეყანაში დღეგრძელობის,სიმშვიდისა და ურთიერთსიყვარულის.

პედაგოგიურ საკითხებში მშობელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ეფექტურია ისეთი ფორმების გამოყენება,როგორიცაა:

- პროექტები(მშობლებთან ერთად განხორციელებული)_თამაშის დღე; მივუსწროთ, ჩავწეროთ,გადავარჩინოთ;სურათი მშობლებთან ერთად;ჩემი სოფლის სურათები;ვიზრუნოთ ერთმანეთზე.
- ლექცია შეკვეთით_სადაც მშობელთა სურვილის მიხედვით წაიკითხება ლექციები პედაგოგიურ საკითხებზე.
- სემინარები,სადაც განიხილება ოჯახში,კლასში წამოჭრილი პრობლემები.
- ღონისძიებაში გამოფენებში ჩართულობა.

საწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დონის შესამოწმებლად ეფექტურია მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიში: მობრძანდით,ნახეთ,როგორ ვიზრდებით სამშობლოს გასახარადა.

ოჯახში აღზრდის შედეგები ვლინდება სხვადასხვა სახის ერთობლივ საკლასო ღონისძიებებზე: ,,მაინც რა არის სამშობლო”, ,,სამშობლო ჩემი ეზოდან იწყება”, ,,ღმერთი,სამშობლო,ადამიანი”, ,,როცა ბავშვები მღერიან,ქვეყანაშისაქმე კარგად მიდის”.

მშობელთა გაცნობიერება პედაგოგიურ საკითხებში ამაღლებს მოსწავლეთა ინტერესს,მოტივაციას,მასწავლებელთან მშობლის თანამშრომლობის ხარისხს,აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ლიტერატურის დასახელება

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 2005
- ბავშვთა უფლებების დეკლარაცია 1995
- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014
- ამონაშვილი შალვა-ცხოვრების სკოლა-მოსკოვი 2000
- ანზორგი ლ.-ბავშვები და ოჯახური კონფლიქტი-მოსკოვი 1988
- ბარამიძე ნ.-ნებისყოფა,მოთხოვნილება,სწავლა-ბათუმი 2008
- ბიბილეიშვილი ლ. ტუღუში მ._სოციალური პედაგოგიკა-თბილისი 2002
- გობრონიძე ა. პედაგოგიკა-ბათუმი 2002
- გოგებაშვილი ი. ხუთტომეული-თბილისი 1996
- დალტო ფრანსუაზ-მოზარდის გვერდით-სანკტ-პეტერბურგი 2004
- დარჩია დ. ბავშვთა აღზრდა ოჯახში-თბილისი 1984
- თომას ვაისი-ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ-თბილისი 2001
- ვილსონი ვ.-სოციალური გარემოს გავლენა ბავშვებზე-ლონდონი 1997
- ზენკოვსკი ვ.-პედაგოგიკა-პარიზი 1998
- თანამშრომლობის პედაგოგიკა-თბილისი 1988
- წმინდა იოანე ოქროპირი ,,ბავშვთა აღზრდის შესახებ" წიგნში-,,სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა"-თბილისი 1990
- მახარაშვილი ხ.-ბავშვთა სოციალური სამართლიანობის დაცვის პედაგოგიურ პრობლემებზე ჟურნალში ,,საზრისი" თბილისი 2006
- მახარაშვილი ხ.-სკოლის სოციალური მუშაკი ჟურნალში ,,განათლების აკადემიის მოამბე"-თბილისი 2006

- ობოლაძე უ.-დედაშვილობა ქუთაისი 1988
- მეგრელაძე ც.-მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი დახმარება ბათუმი 2004
- მეგრელაძე ც. მახარაშვილი ხ. გელაძე მ.-სოციალური პედაგოგიკა ბათუმი 2009
- უზნაძე დ.-სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია-თბილისი 1998
- საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II_ქადაგებები,ეპისტოლეები-1995-2019
- ჩარტიშვილი შ.-ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა თბილისი 1958
- პინტი-თქვენთვის მშობლებო თბილისი 1986
- შეროზია ნ. გელაძე გ._შემობრუნება სიკეთისაკენ ბათუმი 2008
- ჯუეთი კ.-როგორ დავეხმაროთ ბავშვს დასძლიოს დანაკარგის გრძნობა-ლონდონი 2002
- ცეტლინა ვ._მოსწავლეთა ჩამორჩენის პრობლემები
- ინტერნეტ რესურსები-ქუჩის ბავშვები
- ინტერნეტ რესურსები-საზოგადოება და ბავშვები.